

ციური გარუჩავა



გზა ცოცხალი წმიდანებისაენ...

ციური გარუჩავა

გზა ცოცხალი წმიდანებისა...

ჩემი შეხვედრები მამა გიორგისთან
მონამეთასა და ჭოგნარში

2014

ჩემო თანამეგობარო!

ნიგნების ათტომეულის „ანასტასიას“
მთარგმნელის გაცნობის შემდგომ
მივხვდი, რომ იგი ძალზედ საშური
და სასიცოცხლოდ აუცილებელია
ჩვენთვის, ქართველებისთვის! ამიტომაც
გადავწყვიტე ჩემი წვლილი უნგაროდ
შემეტანა და მათი გამოცემით თქვენთვის
მისაწვდომი გამეხადა ისინი.

მამა გიორგის ნიგნების წაკითხვამ
უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.
ვწუხვარ, რომ პირადად ვერ მოვახერხე
მასთან შეხვედრა...

როცა ქალბატონმა ციურიმ თავისი წიგნი
– „გზა ცოცხალი წმიდანებისკენ...“
მომიტანა დასაბეჭდად, მივხვდი, რომ ეს
წიგნიც უნგაროდ უნდა დამებეჭდა და
ასე მიმეგო პატივი მამა გიორგის ხსოვ-
ნისთვის...

*პატივისცემითა და
თქვენდამი დიდი სიყვარულით
დავით დოლუაშვილი
გამომცემლობა „დანის“ დირექტორი*

*ჩემო თანამემამულენო! გიძღვნით თქვენ
და ყველა სამშობლოზე გულანთებულ,
საქმით მოღვაწე ნამდვილ მამულიშვილთ
„რამეთუ სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არს...“*

წიგნი მწვანე შუქით სვალზე

სანუთრო ისეა მოწყობილი, ზოგს მთელი ცხოვრება ფულთან და ოქრო-ვერცხლთან უხდება ურთიერთობა, ზოგი მხოლოდ საკუთარ სულზე ზრუნვაში აბანდება უფლით მოცემულ დღეთა კრიალოსანს, ძალიან იშვიათნი კი საკუთართან ერთად ერის სულს და ერის სულის მეციხოვნეებთან სიახლოვეს მიეღწვიან მუდამ.

პირველი ჯგუფის წევრობა-მიმდევრობა მერკანტილურ საზოგადოებასთან გისჯის ცხოვრებას და ასეთები უმრავლესობაა, მეორე ჯგუფის ერთგულნი უფროსე საკუთარ სულიერ სამყაროზე მომუშავენი არიან, აი, მესამე კი იშვიათნი და, შეიძლება ითქვას, თითებზე ჩამოსათვლელნი არიან.

პირადად მე, ჩემი არცთუ დიდი ხნის მეგობრობის მიუხედავად, ქალბატონი ციური გარუჩავა მესამე ჯგუფის მარადიული ბინადარი მგონია. ასე მოვიდა იგი აქამომდე და აწი, რა ღმერთი გაუწყნრება, რომ შეიცვალოს.

სულის წვრთნამ და სულის ძახილით ცხოვრების წესმა მიიყვანა იგი იმათ კარის ზღურბლთან, ვისზეც გულწრფელად და უშურველად მოგვითხრობს ამ მცირე წიგნში. ჩვენი თანამედროვეობის ცოცხალ წმინდანებთან მეტად საინტერესო გადაკვეთის ეპიზოდებია აქ მოყვანილი.

დღევანდელი გადასახედიდან შესაძლოა, ეს ჩანანერები არ ჩანდეს ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მამა გიორგის (ბასილაძე), მამა ნიკოლოზის (მაქარაშვილი) და მამა იოანეს (ოლარი) მებოგრაფეებს და არა მხოლოდ მათ, ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს იგი. დაახლოებით ისეთს,

თავის დროზე დიდ ნიკო მარს რომ გაუწია მისი შეგირდის ოლგა ფრეიდენბერგის ჩანაწერებმა.

ქალბატონი ციური ახერხებს ძალიან უშუალო და ყოფი-სეული დიალოგების ფონზეც კი ამ ღირსი საეკლესიო მსახურე-ბის პორტრეტების საჩინო დეტალების გამოკრისტალებას. ასე მსუბუქად, კალმის ერთი მოსმით ასურათხატებს იგი თითოეუ-ლი გმირის სულიერებას და მადლ-ძალას.

ეს წიგნი სიახლე არ იქნება მრევლის იმ ნაწილისთვის, ვინც ახლაც ერთგულებს ამ დიდი საეკლესიო მოღვაწეებს, რადგან მათ საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი მამაოთა მადლ-ძალმო-სილება. ციური გარუჩავას ეს მშვენიერი მონათხრობი უდაოდ არაერთ ადამიანს მიიყვანს ამ მამაოთა კართან თუ დატოვებულ მოძღვრება-მემკვიდრეობასთან.

მე პირადად, სწორედ ეს მიმაჩნია ციური გარუჩავას წიგნის უპირველეს ღირსებად. წიგნისა, რომელიც დაინტერესებული მრევლისკენ სულ მწვანე შუქზე ივლის.

ისლა დამრჩენია, გზა-სავალი დავულოცო წიგნს, ხოლო ავ-ტორი სხვა მნიშვნელოვანი ჩანაფიქრებისა და საქმეების საკეთ-ებლად დავგეზო.

გიგლა გობეჩია

ჩირვედი შეხვედრა მონამეთაში...

ქველ „ფენომენში“ მამა გიორგიზე გიგლა გობეჩიას წერი-
ლი წავიკითხე... ადრეც მქონდა იმავე „ფენომენში“ მამა
გიორგიზე ინფორმაციები წაკითხული, მაგრამ ამ ჯერზე, მასზე
გამოცემული წიგნის შეძენის ძლიერი სურვილი გამიჩნდა!

2009 წლის 13 აგვისტო იდგა... ჩემი შვილიშვილის დაბადებ-
ის დღე... გავემართე სიონის ეკლესიისკენ. ჩასასვლელი კიბის
თავში პატარა საეკლესიო მაღაზიაში შევედი და წიგნი „ფეხ-
ითმოსიარულე“ შევიძინე... ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე და
მეორე დილით, 14 აგვისტოს დავურეკე ზესტაფონში ჩემი კონ-
სერვატორიის თანაკურსელს ომარ მეღქაძეს. ვუთხარი, რომ იმ
დღეს ვაპირებდი ჩასვლას ქუთაისში და ვკითხე, თუ მოახერხ-
ებდა ჩემს დახვედრას და მონამეთაში აყვანას. მან მითხრა თუ
აუცილებლობას არ წარმოადგენდა იმ დღეს ჩემი ჩასვლა, ერ-
ჩივნა რომ ხვალ ჩავსულვითყავი და მაშინ მთელი დღე ჩემთვის
უპრობლემოდ ეცლებოდა. შევთანხმდით. 15-ში დილით გავემგ-
ზავრე ზესტაფონში და იქიდან მისი მეგობრის, ალიკას მანქან-
ით მე და ომარი ავედით მონამეთაში... თურმე მამა გიორგი 11
აგვისტოს თბილისში ბრძანებულა და უკან, მონამეთაში 14-ში
დაბრუნებულა!.. ამ გადასახედიდან, უკვე ვხვდები, რომ არც ეს
არ იყო შემთხვევითი... მამა გიორგის თეზიდან გამომდინარე: –
„წმიდანებთან ნურავის ეგონება, რომ თავისი ნებით მიდის, ან
ვინმე მეგობარს მიჰყავს იგი, – ამას თავად წმიდანი „ანყოზს“-
ო“. ჰოდა, როგორც სჩანს, მან თბილისში ყოფნისას „ჩაანყო“
ჩემი მასთან სტუმრობა და გაცნობა.

მთელი ღამე არ მეძინა... სათუთად და მთელი გულისყურით
ვამზადებდი პატარა აბგას. ჩავანყვე შიგნით ჩემი „გამოგონილი“
და დამზადებული ტუიას მურაბა, მამა ანტონის (ჩემი შვილის
ნათლიაა, ბერი) მიერ იერუსალემიდან და ათონის მთიდან ჩამო-
ტანილი ზეთის ფლაკონები, სანთლები, გერმანიიდან ჩამოტ-
ანილი შავი, უსახელო, დალიანდაგებული მოსაცმელი და ჩემი

თარგმნილი წიგნი „ანასტასია“. წიგნი, რისი გულისთვისაც გამინჩნდა დიდი სურვილი მამა გიორგის ვხლებოდი და მისგან თანადგომა და შენევნა გამომეთხოვა...

ომარი ზესტაფონის შესასვლელში დამხვდა. მე მოკლედ ვუამბე, რომ მამა გიორგის ნახვა მსურდა. ვუთხარი, რომ შესაძლოა მონამეთაში არც დაგვხვედროდა და მაშინ მის სახლში, ჭოგნარში მოგვინევდა წასვლა. ომარმა მითხრა:

– შენ გვითხარი და ყველგან ნაგიყვანთ, სადაც მოისურვებ!... მოდი, იქნებ ჯერ ჭოგნარში გაგვევლო, ეგ მონამეთას გზაზეა და თუ იქ არ იქნება, მაშინ უკვე მონამეთაში ავიდეთ. ასე არ აჯობებს?!

– კარგი, ომარი. როგორც შენ იტყვი... მანამდე რომელიმე მარკეტში შევიაროთ: ჰალვა, რუხი პური, ბანანი და შაქარი მსურს ვიყიდო...

– კარგი, რა პრობლემაა... – მხიარულად დამეთანხმა ომარი.

ჩვენ ქუთაისისკენ გავემართეთ. გზაში მარკეტში შევიარეთ. რაც მსურდა, ყველაფერი ვიყიდე და ჭოგნარში წავედი.

სოფლის შესასვლელში ეკლესიას მივადექით, რომლის ეზოს ნინ, ძელ-სკამზე რამოდენიმე მამაკაცი იჯდა. ვკითხეთ:

– მამა გიორგის სახლს ხომ ვერ მიგვასწავლით? საით უნდა წავიდე?...

– მამა გიორგი სახლში მაინც არ იქნება, დიდი ხანი არ არის რაც ჩაიარა და ალბათ მონამეთაში იქნება. – გვიპასუხეს დინჯად და თან ყურადღებით შეგვათვალიერეს.

– დიდი მადლობა! – კრძალვით ვუპასუხე და უკან გამოვბრუნდი.

მონამეთაში ავედი. ეზოში რამოდენიმე ათეულ ადამიანს მოეყარა თავი... ჩვენ ვიკითხეთ ბოლო ვინ იყო. ომარი და ალიკა იქვე ჭასთან ჩამოსხდნენ. მე ფეხზე ვიდექი. დაჯდომა არ შემეძლო. ვნერვიულობდი. ეზო ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა. როგორც იქ მდგომ ადამიანებისგან შევიტყვე, მამა გიორგის კელიაში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად შედიოდა. მე, რატომღაც ვისურვე, რომ მხოლოდ ჩვენ სამნი შევსულვიყავით. ვიფიქრე, ხალხში მო-

მერიდება ჩემი თხოვნის თქმა მეთქი... ცოტა ხანში მამა გიორგის კელიის კარი გაიღო, გამოვიდა მისი სტიქაროსანი და მოუწოდა რიგში მყოფ ხალხს შესვლისკენ. დაახლოებით 10-12 ადამიანი შეუშვა და კარები მიიხურა. მეორე ჯგუფშიც დაახლოებით მაგდენივე ადამიანი იქნებოდა და მერე უკვე ჩვენი ჯერი დგებოდა. ჩემს უკან მდგომებს ვთხოვე, მარტო გვინდა შესვლა და ხომ არ მიწყენთ მეთქი.

– არა, რას ამბობთ. ეტყობა პირველად ხართ და იმიტომ გაქვთ ასეთი სურვილი, თორემ მაგას აზრი არ აქვს, მამა გიორგი მაინც მოგაქცევთ ყურადღებას! – კეთილგანწყობით მიპასუხეს მათ.

მე დიდი მადლობა გადავუხადე მათ ახსნა-განმარტებისთვის და მაინც მარტო მოვისურვე შესვლა. ისინიც ღიმილით დამეთანხმნენ. ეტყობა, ჩვენს შემდეგ მოსულ ადამიანებსაც მარტო სურდათ შესვლა... ამასობაში, პირველი ჯგუფი გამოვიდა კიდეც და მეორე ჯგუფიც შევიდა კელიაში.

კარგა ხანს ვიცადეთ. კელიის კარები როცა გაიღო, იქ შესული ქალები, კაცები და ბავშვები ჟრიაბულთ გამოვიდნენ. გახარებულები იყვნენ. ერთი ბავშვისთვის მამა გიორგის მღვდელი გამოხვალა უთქვამს და ამის გამგონე ბავშვი და მისი მშობელი სიხარულით „მეშვიდე ცას“ სწვეოდნენ!

ის იყო, სტიქაროსანი გამოგვეგება და შესაყვანად კარებისკენ წაგვიძღვა, რომ ეკლესიის ზარებმა რეკვა დაიწყეს. ყველამ ისეთი გაკვირვებით გახედა სამრეკლოს, თითქოს კითხულობდნენ „ნეტა ზარი რატომ ჩამორეკესო“... ჯერ კიდეც სამის ნახევარი იყო და საღამოს ლოცვის დრო არ დამდგარიყო... ამასობაში ჩვენ სამნი კელიაში შევედით...

კელიაში შესვლისთანავე წინ წარმოგვიდგა ფანჯარასთან ძელ-სკამზე მჯდარი, ფეხი-ფეხზე გადადებული მხრებზე დაშვებული გრძელი თეთრი თმითა და მკერდზე დაფენილი სპეტაკი წვერით, მაგრამ საოცრად ახოვანი, მედიდური გამომეტყველების ბერიკაცი, რომელსაც ხელები კალთაზე ეწყო და მშვიდი, მაგრამ არწივისებური გამჭოლი მზერით პირადად მე შემომცქეროდა...

– გამარჯობათ, მამა გიორგი!... რატომღაც ჩემდაუნებურად თვალეზში შევხედე და ოდნავ თავის დახრით მივესალმე.

– გაგიმარჯოს! – დინჯად, ოდნავ დაღლილი ინტონაციით მომესალმა და დაამატა, – გისმენ!

რატომღაც დავიბენი, არ ვიცოდი საიდან და როგორ დამენ-ყო საუბარი... ომარი და ალიკა იქვე, სკამებზე ჩამოსხდნენ, მე კი მის წინაშე გამოცდაზე გასული აბიტურიენტისვით ოდნავ დაბ-ნეული ვიდექი...

მამა გიორგი მშვიდად შემომცქეროდა და თან მაკვირდებო-და.

ოდნავ სული მოვითქვი და დავინწყე საუბარი:

– მე თქვენს შესახებ ორი დღის წინ სტატია წავიკითხე „ფენომენში“... სხვა დროსაც მქონდა წაკითხული, მაგრამ ამ-ჯერად, სასწრაფოდ გავიქეცი სიონის მალაზიაში და შევიძინე აი, ეს წიგნი... მეოთხე... „ფეხთმოსიარულე“... წინა სამი წიგნი არ ჰქონდათ...

უცებ შემანწყვეტინა საუბარი და მკვეთრად მომიჭრა:

– მე არაფერ შუაში არა ვარ... მე არ ვერევი მაგ წიგნების გამოცემაში!

– არა, არა... მე სხვა რამის თქმა მსურს... მე... მე, მივხვდი... თქვენ უდიდესი ძალა... თქვენ დიდი ძალის პატრონი ხართ... თუმცა, ამას რას გეუბნებით... მე ვინ ვარ, თქვენ რომ შეგაფა-სოთ... მინდა გითხრათ, აი, ვთარგმნე ეს წიგნი...

და, ახლა უკვე ჩემი თარგმნილი წიგნი გავუწოდე... მსურს თქვენ წაკითხოთ და... მსურს ეს წიგნი ბოლომდე გამოვცე... და იქნებ თქვენ დამეხმაროთ მის გამოცემაში...

უცებ წამოდგა, მაგიდისკენ შებრუნდა და მკაცრად მითხრა:

– არა, არა... მე, საიდან უნდა დაგეხმარო... მე სადა მაქვს მაგის საშუალება?!..

მივხვდი, რომ რაღაც ისე ვერ გამოვთქვი, ან უბრალოდ, არ-ასწორად გამიგო და სწრაფად მივუგე:

– არა, არა... რას ამბობთ.... მე თქვენი ფინანსური დახმარება კი არ მინდა.... არა! მე, ჩემი სახლის გაყიდვა მსურს და შენვენას

მხოლოდ თქვენ, ლოცვა-კურთხევით გთხოვთ...

ეს ვუთხარი და შეცბუნებულმა თავი დავხარე... რაც, როგორც სჩანს ჩემი შეცბუნება და უხერხულობა მას არც გამოჰპარვია... ამჯერად, ღმირილნარევი გამომეტყველებით შემომხედა, მერე გულიანად გაიცინა და მითხრა:

– ჰა, ჰა, ჰა... მეც მინდა სახლის გაყიდვა და ხელის მომართვა... ეგრე ადვილია სახლის გაყიდვა?!...

– ჰოდა, ზუსტად ამიტომაც გთხოვთ, რომ... – კიდევ უფრო დაბნეულმა მივმართე..., – მე, უბრალოდ თქვენგან დალოცვა მსურს!...

– ეგ ლოცვაა მთავარი! – ახლა უკვე სერიოზულად მომმართა და თვალი – თვალში გამიყარა – აი, ზუსტად მაგას მიშლის ეს მთავრობა! ლოცვით ვეხმარები ადამიანებს და ეგ არ უნდათ!... ფეხები მტკივა... სულ უანგაროდ ვემსახურები და ვეხმარები ადამიანებს, მაგრამ არავინ მიფასებს... ეს მთავრობა რომ წავა, აი, მერე დავდგები ფეხზე და მერე ყველაფერს შევძლებ... მერე კარგად ვიქნები...

მამა გიორგი გაჩუმდა და კვლავ დაჟინებით შემაცქერდა...

აღარ ვიცოდი რა მექნა... ადამიანს თურმე მთავრობა ებრძვის და ახლა ჩემს გამოც ხომ არ შევანუხებდი... და, უხერხულად მივმართე:

– კეთილი... როგორც გენებოთ... რა ვიცი... ვიფიქრე, ცუდს არაფერს გთხოვდით... – და უკან, გასასვლელი კარისკენ დავიხიე, რომ მეტი აღარ შემენუხებინა და დრო არ დამეკარგვინებინა. შემატყო, რომ გასვლას ვაპირებდი და შემაჩერა:

– მოიცა... რა წიგნია ეგ?!.. რატომ უნდა წავიკითხო?..

უცებ გამოვცოცხლდი და ახლა უკვე თამამად ვუპასუხე:

– ამ წიგნის ფილოსოფია და თქვენი შეხედულებები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან!.. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა ამ წიგნის გამოცემა და ადამიანებისთვის მიწოდება... ზუსტად ამიტომაც მოვედი თქვენთან და წასაკითხად მოგიტანეთ ეს პირველი წიგნი და, თუკი თქვენ საჭიროდ ჩათვლით მის გამოცემას, მაშინ თქვენი ლოცვა-კურთხევა მომცეთ, ძალა შემმატოთ, სახლი გავყიდო და

საკუთარი სახსრებით გამოვცე დანარჩენი წიგნები რათა...

უცებ შემანყვეტინა და მკითხა:

– მერედა ვინ ხარ შენ, ლოცვა-კურთხევა რომ მოგცე?!
მე კვლავ დავიბენი... არ ვიცოდი რა მეპასუხა:

– მე?... არავინ... მე, უბრალოდ ადამიანი ვარ... ადამიანი, რომელსაც სურს საკუთარი სახლი გაყიდოს, ამ წიგნების საკუთარი თარგმანი გამოსცეს, რათა თანამემამულეებს ამ დიდებულ განდევილის რჩევების საკუთარ ენაზე ნაიკითხვის საშუალება მიცეს... ასევე, დიდი სურვილი მაქვს თქვენი წიგნების გამოცემაშიც მივიღო მონაწილეობა... სამსახურიც...

კვლავ შემანყვეტინა სიტყვა და მითხრა:

– მომეცი ერთი ეგ წიგნი... – და ფურცვლა დაუწყო.

მერე ისევ მე შემომხედა:

– კარგი! წავიკითხავ! – მითხრა გადაჭრით და მტკიცედ.

კვლავ წიგნს დახედა, გადაფურცლა... მერე სიღრმისეული მზერა მომაპყრო და წიგნი თავის სტიქაროსანს მიაწოდა... ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მიმართა სტიქაროსანს: – „მოიცა, ერთი მომეცი ეგ წიგნიო“ უთხრა. უკან გამოართვა და ისევ ფურცვლა დაუწყო... დაფიქრდა, შემომხედა, ახლა უკვე თბილი ღიმილი დაეწერა სახეზე და მითხრა:

– კარგი, ვილოცებ... მაგრამ, რომ ვილოცო, ხომ შეიძლება აქ არასწორი სიტყვები ეწეროს და კურთხევა როგორ უნდა მოგცე... როგორ ვილოცო..., – კვლავ მიაწოდა წიგნი სტიქაროსანს. მან ჩამოართვა იგი და იქვე მაგიდაზე დადებულ დიდი ზომის წიგნს ზემოდან დაადო.

მე დავიბენი... ისე შევცქეროდი, თითქოს კიდეც „რალაცის“ თქმას ველოდი მისგან... მართლაც კვლავ მიმართა სტიქაროსანს:

– ერთი მომაწოდე ეგ წიგნი!

ჩემს წიგნზე თვალთ მიაწიშნა და თან დააყოლა:

– ხომ იცი, შენ... ძალიან მაგარი წიგნია...

სტიქაროსანი დაიბნა, ველარ გაიგო რომელ წიგნზე უთხრა, ამიტომ, ჩემი წიგნი გვერდზე გადასდო, ქვედა წიგნი მიაწოდა და თან ჰკითხა:

– ეს წიგნი მოგანოდოთ მამაო?...

– კაი... კაი, მომეცი... ეგ წიგნიც მომეცი... გამოართვა, ყდა გადაშალა და შიგნით ჩადებულ 100 ლარიანს დახედა, მერე მე შემომხედა... ჩაიღიმა და ფული ჯიბეში ჩაიღო, წიგნი კვლავ სტიქაროსანს მიაწოდა და ახლა უკვე მკაცრად უთხრა:

– ეს კი არა, აი, ის წიგნი მომანოდე, კაცო... – და ჩემს წიგნზე მიუთითა. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

– **წავიკითხავ მე შენს წიგნს... წავიკითხავ და კურთხევასაც მოგცემ...**

ამ სიტყვებით გამოართვა სტიქაროსანს წიგნი, გადაშალა, ზედ რაღაც წააწერა. მე გაკვირვებულმა შევნიშნე, რომ წარწერა უფრო იეროგლიფურ ნახაზებს ჰგავდა, ვინემ ასოებს...

მერე კვლავ მომიბრუნდა და უკვე დიდი სითბოთი მკითხა:

– ხომ მე მაჩუქე ეს წიგნი, ანიჩკა?!

– დიახ, რასაკვირველია!

– ჰოდა, მე ამ წიგნს სხვას მივცემ ნასაკითხად, ხომ შეიძლება?..

– დიახ, რასაკვირველია! როგორც თქვენ გენებოთ...

– ჰოდა, როცა ის წავიკითხავს, მეტყვის თავის აზრს! მე მას ვენდობი!.. ახლა წადი...

– დიდი მადლობა, მამა გიორგი! ძალიან მიხარია თქვენი ნახვა. თქვენ უდიდესი ბერი ბრძანდებით! ნამდვილი წმიდანი!.. ვიცი მე ეს...

მერე, ჩემს პატარა აბგაზე მივუთითე, რომელიც იქვე ახლოს დავდე და ვუთხარი:

– აი, მამა გიორგი, ესეც თქვენ ჩემგან... ჩემი გაკეთებული ეგზოტიკური მურაბაა... ვფიქრობ, უნდა მოგეწონოთ...

გახედა აბგას. მომეჩვენა, რომ ძალიან თბილად და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა... მერე ჩემსკენ გამოიხედა და მკითხა:

– რა გვარის ხარ?...

– მე... ციური გარუჩავა ვარ!

კვლავ ყურადღებით დამაცქერდა, სიღრმიდან შემომხედა... მერე ფანჯარაში გაიხედა... ცოტა ხანი ასე იდგა გარინდული,

მერე სახე კვლავ ჩემსკენ შემოაბრუნა და უკვე, როგორც შინაურმა, უფრო მეტიც, თითქოს ოჯახის უფროსმა ისე მომმართა:

– ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს! ახლა წადი!

– კი, მაგრამ, როგორ შევხვდებით... თქვენ ხომ ჩემი ნომერი არ...

– კაცო, მომეცი მერე შენი ნომერი! რას დამდგახარ!

ცოტა არ იყოს, დავიბენი... მერე ჩემი წიგნის ბოლო გვერდი გადავუშალე და მივუთითე, რომ იქ ეწერა მთელი ჩემი რეკვიზიტი და ტელეფონის ნომრებიც...

– ჰო, კარგი... ისე, მეც მეგრული ვარ... ბასილაია ვარ მე...

– მართლა?! – გაკვირვებულმა ავხედე...

და გამახსენდა, რომ წინა ღამეს „ფეხითმოსიარულის“ კითხვისას, რატომღაც მისი გვარი რომ წავიკითხე, ჩემთვის გავიფიქრე: – „ეს ბასილაძე კი არა, ნამდვილად ბასილაია იქნება მეთქი“...

– ჰო, კარგი... წადი ახლა, ვილოცებ შენზე! აუცილებლად გადავიხდი პარაკლისს... ახლა წადი...

მე მადლიერმა და დიდად დაბნეულმა შევხედე:

– ნახვამდის... მამა გიორგი!... დიდი მადლობა!... კარგად ბრძანდებოდეთ...

ჩემდა უნებურად, კვლავ თვალებში შევხედე... ისეთი სიღრმიდან მიცქერდა, რომ... ასე მომეჩვენა, ჩემი მოსიყვარულე, შორეული წინაპარი და ჩემთვის ძალზედ ახლობელი ადამიანი შემომცქეროდა!

ნეტავი ვის „მინსახიერებდა“ მამა გიორგი?! მამას? ბაბუას? თუ... ძალიან ძველ წინაპარს?!.. იმ წუთას ნამდვილად ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ უდიდესი რწმენა რომ დამეუფლა და სითბო ჩამელვარა სულში ეს აშკარად შევიგრძენი! დიდება უფალს!

ერთი რამ ცხადი გახდა ჩემთვის: – მამა გიორგი ყველაზე ახლობელ და ძვირფას ადამიანად მომეველინა და უკვე ვიცოდი, – თუკი ღმერთს „ფეხად ჩამოსულს“ ვიხილავდი, – იგი მამა გიორგის ემგვანებოდა!

კარებისკენ შევბრუნდი, სტიქაროსანმა გამილო იგი და თან მითხრა:

– ნუ ხარ შეცბუნებული, ძალიან კარგად შეგხვდათ... კარგი რამ გითხრათ: – „კიდევ შევხვდებითო“!... ამას ყველას კი არ ეუბნება და ყველას კი არ ხვდება ასე... ახლა ეს გეყოფათ... მშვიდად იყავით.

კელიიდან ძალიან დაბნეული გამოვედი... კარგა ხანს ჩაფიქრებული მივაბიჯებდი... ომარიც და ალიკაც უტყვად მომყვებოდნენ... მე კი ჩემთვის ვფიქრობდი: – „ზღვა ხალხს ემსახურება! ღმერთო ჩემო, რა ტიტანური ძალა და ენერგია სჭირდება ამდენ შრომას!... ღმერთო მიეცი ძალა და ენერგია ამ ბერიკაცს! მადლობა და დიდება უფალს, აქ რომ მომიყვანა და შემახვედრა ამ დიდებულ ბერს!“

იმ დღიდან მიწიერ სამყაროში მამა გიორგი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი გახდა! არ ჰქონდა მნიშვნელობა, მას ხშირად ვნახავდი თუ არა. მთავარი იყო რომ, – იგი არსებობდა! და, მე მას უფალმა შემახვედრა!

მადლობა და დიდება უფალს ამისთვის!

*ციური გარუჩავა.
15.08.2009 წ. ღამის 3 სთ-ი*

კობახიძის და ანდრონიძის სტუმრობა

20.08.2009 წ. ხუთშაბათი. ღლის 3 სთ-ია...

მონამეთადან ჩამოსვლის დღიდან ვზივარ და მამა გიორგიზე ვფიქრობ! ვიხსენებ, ვაანალიზებ, რა მითხრა... ვიცოდი, რომ ყოველ მის სიტყვასა და მიხვრა-მოხვრას თავისი შინაარსი და მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ რადგან ეს ყოველივე ჩემს თავს ხდებოდა, ძალიან ვფრთხილობდი დასკვნის გამოტანას... დარწმუნებით და ცალსახად მხოლოდ ამის ფიქრი შემეძლო: – „რა ტიტანურ შრომას ეწევა ეს ბერიკაცი! ღმერთო! უფალო, შენ დაიფარე და შეაძლებინე ამ კეთილ ბერიკაცსა და დიდ ღვთისმსახურს თავისი უანგარო შრომა და ღვანლი! მიეცი ჯანმრთელობა და დღეგრძელობა! ამინ!“

მართლაც, ძალიან მსურდა, რომ დაველოცე! დარწმუნებული ვიყავი, მისი ლოცვის ძალით ამ სახლს გავყიდდი და აუცილებლად შევიძლებდი ყოველივეს აღსრულებას!...

რამდენიმე დღე ამ ფიქრებში ვიყავი, რომ უცებ აზრ-ფიქრმა გამიელვა თავში... მამა გიორგიმ რომ მითხრა: – „ამ წიგნს სხვას წავაკითხებ, ვისაც ვენდობი და ის მეტყვის თავის აზრსო“, – ნეტა მისი წიგნების გამომცემელს ხომ არ გულისხმობდა?! ეს გავიფიქრე თუ არა და, გადავწყვიტე კიდევ არიადნა ჩავუნავასთავის დამერეკა.

მეორე დღით დავრეკე, გამოვემცნაურე და ვესაუბრე. ძალიან კარგად შემხვდა. ვუთხარი, რომ მამა გიორგი ვნახე და მოფუყევი ჩემი განცდების შესახებ. მან სახლში მიმიწვია. შევეთანხმდით, რომ დამირეკავდა. მართლაც, ორ დღეში დამირეკა. მითხრა, რომ მანქანას გამომიგზავნიდა და მასთან მისი ოჯახის მეგობარი ვინმე პაატა საჯაია მიმიყვანდა.

თან წავილე უკვე გამოცემული ჩემი თარგმანის პირველი წიგნი და დანარჩენი ექვსი წიგნის, – თაბახის ფურცლებზე უკვე დასაბეჭდად გამზადებული თარგმანები.

კარები ძალზედ სათნო იერ-სახის სიმპათიურმა მანდილოსან-

მა გაგვიღო, რომელიც ოჯახის დიასახლისი, არიადნა ჩაგუნავა აღმოჩნდა.

როცა უკვე სახლში შევედით, ჰოლში ოჯახის უფროსი და არიადნას მეუღლე, კობა ვეკუა ღიმილითა და მეგრული სიღარბისლით შემოგვეგება:

– აბა, ეს შენ ხარ ციური გარუჩავა?.. ნამდვილად არ ვიყავი უცხო სტუმრის მიღების ხასიათზე, მაგრამ არიადნამ რომ ამიხსნა, ვინ უნდა გვსტუმრებოდა, ვუთხარი:

– კარგი, მოვიწვიოთ. უნდა დავხვდეთ, აბა რა ვქნათ, სტუმარ-მასპინძლობა ხომ უნდა გავწიოთ მეთქი?! – ამ სიტყვას რომ ამბობდა თან მისაღები ოთახისკენ შეგვიძღვა.

ოთახში რომ შევედი, ისე დავიბენი უხერხულობისგან არ ვიცოდი რა მექნა... სანიმუშოდ განყობილ სუფრასთან ორი ახალგაზრდა იჯდა... როგორც ჩანს, სხვებსაც ელოდნენ, რადგან სუფრა დაახლოებით 7-8 ადამიანზე იყო განყობილი:

– როგორც ჩანს, სტუმრებს ელოდებით და მე დიდ დროს არ ნაგართმევთ...

– რას ამბობ თუ იცი, – უცერემონიოდ მომმართა კობამ, – ეს სტუმარი შენ ხარ და ეს სუფრაც შენს საპავტიცემულოდაა! ქართული ადათ-წესით ხომ უნდა გავიცნოთ ერთმანეთი!

არიადნაც, როგორც დიასახლისს შეეფერება ისეთი სითბოთი მომექცა და მაგიდასთან მიმიპატიჟა:

– აქ დაბრძანდით ქალბატონო ციური და მე ახლავე მოვალ... ღომი უნდა ამოვაგო...

მოკლედ, მივხვდი, დიდი „თავპატიჟი“ არ უნდა დამეწყო, მასპინძლები რომ არ გამენაწყენებინა, – და, როგორც ოჯახის ახლობელი ისე მივუჯექი სუფრას.

ამჯერად კობას და სუფრის წევრებს მოვუყევი, თუ რატომ გამიჩნდა მათთან შეხვედრისა და გაცნობის სურვილი და რომ იგი მამა გიორგისთან შეხვედრისა და გასაუბრების შემდგომ დამებადა.. ვსაუბრობდი ჩემს მიზანზე და მისი შესრულების გზის ძიებაზე... კობა საკმაოდ მჭერმეტყველი და კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. ისიც შევიტყვე, რომ მამა გიორგიზე წიგნის გამოცე-

მის მსურველი და სულისჩამდგმელი არიანა კი არა – თავად კობა ყოფილა. უბრალოდ, იგი „ჩრდილში ყოფნას“ არჩევდა იმ მოტივით, რომ ძალიან იღლება ამ „ბნელი ძალების“ შემოტევისგან! ორივე ცოლ-ქმარმა, მეტწილად კი კობა საუბრობდა, დანვრილებით მიაბმეს თავიანთი ისტორია, თუ რამდენი პრობლემების გადალახვამ მოუწიათ და დღემდეც კვლავ და კვლავ რომ უწევთ...

ქართული სუფრა მოგეხსენებათ, საჭირობოროტო საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის მშვენიერი საჩუალებაა. ამჯერადაც ასე მოხდა. მე თავს უფლებას ვერ მივცემ მათი საკუთარი ცხოვრების ისტორია მათი ნებართვის გარეშე მოვყვე. მხოლოდ რაც მე მეხება, იმას მოვყვები...

კობამ პაატას სთხოვა მისაქციელში წავეყვანე და იქ მამა გაბრიელისთვის ჩემი სახლის გაყიდვაზე ლოცვა—კურთხევა ეთხოვა. ბევრი ისაუბრა მის პეტერბურგში ცხოვრებაზე, იქაურ „ბატიუშკაზე“ და მისი ძალისხმევით ეკლესიურად მის მოქცევაზე...

მასზე საუბრისას თითქოს რაღაც გაახსენდაო, – არიანას მიუბრუნდა და უთხრა:

– გუშინ თუ გახსოვს ვინ დარეკა?! გახსოვს, ვინ მოგვიკითხა?

– როგორ არ მახსოვს, მამა იოანემ!

– ჰოდა, ორი წელია არ დაურეკავს, – უთხრა კობამ, – რაღა მაინცა და მაინც გუშინ დარეკა!... და გახსოვს რა გვითხრა?!

– უი, ჰო... მართლა... – თითქოს მასაც რაღაც გაახსენდაო... გაოცებულმა უპასუხა არიანამ კობას, – „თქვენთან ამ დღეებში მნიშვნელოვანი ვინმე მოვა და ყურადღებით იყავით, არ გამოგეპაროთო!“ მგონი ასე გვითხრა, არა?!

– ჰო... ზუსტად ასე სთქვა, – დაადასტურა კობამ.

მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

– ჩემო ციური, შესაძლოა ეს შენს ჩვენთან მოსვლასაც ეხებოდეს...

– ბატონო კობა, რას ამბობთ!... მე რა შუაში ვარ...

– შენ ხომ გსურს მამა გიორგის წიგნების გამოცემაში წვ-

ლილის შეტანა... ჰოდა, მე მადლობის მეტი რა მეტქმის... შენს სახლს ნამდვილად გაყიდი და თუ არ დაგავინწყდებით, – ნამდვილად მადლობლები დაგრჩებით! ჩემთვის ფინანსების მოცემა ბევრს უნდოდა, მაგრამ ყველას კი არ ვართმევ ფულს! ეს წიგნები ვალებით მაქვს გამოცემული... აი, შენ კი, უარს არ გეტყვი, დიდი სიხარულით დაგთანხმდები!... შენ კიდევ არ იცი, ვინ ხარ!.. შენ რომ იცოდე რა დიდი სული ხარ!..

მისმა საუბარმა, ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა, არიადნამ ეს შემატყო, ჩემსკენ გადმოინია, მომეხვია და ჩამეხუტა...

ახლა კიდევ უფრო დავიბენი და მათ მივმართე:

– მე სახლს როცა გავყიდი, ერთ წიგნს მართლა დაგაბეჭდინებთ, ეჭვი არ შეგეპაროთ. ეს ნამდვილად ასე იქნება. ოღონდაც კი დროზე გავყიდო! ამ ჩემი თარგმანების გამოცემაც აუცილებელია. დრო აღარ ითმენს! საჭიროა რაც შეიძლება მეტმა ქართულმა ოჯახმა დროზე დაინყოს თავის გადარჩენაზე ქმედითი ფიქრი და მერე უპირობოდ მოქმედება!..

კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ... დრო ძალიან სწრაფად გავიდა. საათს დავხედე და უკვე ღამის ორი საათი დაწყებულიყო:

– ახლა უკვე გვიანია. ხედავთ, დრო როგორ გაპარულა?!.. წავალ, აღარ შეგანყენო. აი, ამ ჩემს თარგმანებს გიტოვებთ. ერთი ეგზემპლარი მაქვს. ეცადეთ, მალე წაიკითხოთ, რომ მეორედ ჩასწორება დავინყო...

– აუცილებლად ციური. მე ნამდვილად წავიკითხავ, – მითხრა არიადნამ.

კობამ თავისი მხრიდან მამა ნიკოლოზის „წერილები ბიძას ჭადრაკზე“ მაჩუქა და მისი დის დაწერილი წიგნი „ბერი ნიკოლოზი“. მერე ყველანი წამოვდექით. კიდევ ერთხელ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, მე და პაატა გარეთ გამოვედით, ის იყო მანქანაში ჩავჯექით, რომ კობამ ზემოდან გადმოგვძახა „დამელოდეთო“ და ისიც მანქანაში ჩავვიჯდა. იქვე შორიახლოს, სუპერმარკეტთან ჩამოვიდა, მშვიდობით მგზავრობა გვისურვა, კიდევ ერთხელ დამემშვიდობა და პაატას დაუბარა:

– აბა, გელოდები, მალე მოდი, ის ბიჭები მართლაც დღესვე სჯობია, რომ ქუთაისში წაიყვანო...

პაატამ სახლში მიმიყვანა. მამა გაბრიელთან(ოდიშელიძე) რომ წავალ აუცილებლად დაგიკავშირდებით და წაგიყვანთო მითხრა. დაელოდეთ ჩემს ზარსო. და წავიდა.

ციური გარუჩავა
22.08.2009 წ. ღამის 2/45 სთ. შაბათი.

მამა გაბრიელთან (ოდიშელიძე) მისაქციელები სცუმრობა

02. 09. 2009 წ.

სადღაც ოქტომბერში (თარიღი არ მახსოვს), კობას და ზარიადნას მეგობარმა პაატა საჯაიამ, მამა გაბრიელთან, მისაქციელის ეკლესიაში წამიყვანა. მამა გაბრიელი საღამოს წირვას ატარებდა. ლოცვის შემდგომ, ეზოში გამოსულს მივუახლოვდი, გავესაუბრე. მოვუყევი წიგნის ამბავი. ჩემი თარგმნილი პირველი წიგნი გადავეცი და სახლის გაყიდვასთან დაკავშირებით დალოცვა ვთხოვე. ძალიან ყურადღებით მომისმინა, თბილად გამიღიმა, დამლოცა და მითხრა:

- ერთი სახლი გაყიდე.
- რომელი. მამა გაბრიელ?..
- მხოლოდ ერთი სახლი! – ხაზგასმით მითხრა.

კიდევ ერთხელ თავზე ხელი დამადო, დამლოცა, წიგნს აუცილებლად წავიკითხავო მითხრა, დამემშვიდობა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

ჰო, მართლა იმ ღამეს სიზმარი ვნახე: „კორპუსის ბინაში ვიყავი, ვითომ ჩემი სახლი იყო, ტელეფონის ხელოსანი ხაზებს არემონტებდა. მეც ვთხოვე, ჩემი ტელეფონის ხაზიც გამოეცვალა.

- ახლა, მოკლე სადენი არ მაქვს. ერთი მაქვს და ისიც ძალიან გრძელია. ხვალ მოკლეს მოვიტან და შეგიცვლიო.

- არა უშავს, მაგ გრძელით შემიცვალე!
- კარგი! – მითხრა და სადენი ახლით, მაგრამ გრძელი სადენით შემიცვალა.

ამ დროს ყურმილი ავიღე და მამა გაბრიელთან დავრეკე. მამა გაბრიელმა ყურმილი აიღო. ვხედავ ჩემს წინ დგას, ყურმილი ხელში უჭირავს და მესაუბრება.

ვუთხარი:

- თქვენთან მსურს მოსვლა. სათხოვარი მაქვს...

მიპასუხა:

– კარგი, კარგი, მოდი....

შავი ანაფორა ეცვა, თავზე ქუდი ეხურა, შავი თმა და გრძელი წვერი ჰქონდა.

მეორე დღეს როცა მამა გაბრიელი ვნახე, – ზუსტად ის იყო, ვინც სიზმარში ვნახე.

დალოცოს ღმერთმა. დიდება და მადლობა ღმერთს! ძალიან კეთილი და ხალასი ადამიანის შთაბეჭდილება დამიტოვა. ღმერთმა მისცეს მამა გაბრიელს ძალა და შეენიოს ყველა მის სურვილსა და საქმიანობაში.

ციური გარუჩავა

მეორე შეხვედრა მამა გიორგისთან მონამეთაში

12.09.2009 წ.

მე და ლალი 12.09.2009 წელს ქობულეთში წავედით. მანამდე ვთხოვე, რომ საჯარო ბიბლიოთეკიდან მამა გიორგის ყველა წიგნი წამოეღო, რათა იქ წამეკითხა. მართლაც, პირველი სამი წიგნი წამოიღო, მეოთხე, – „ფეხითმოსიარულე“, ხომ უკვე შექნილი მქონდა. მოკლედ, სამივე წიგნი წავიკითხე და ქობულეთიდან უკან დაბრუნებისას გადავწყვიტე, რომ კვლავ შემევლო მამა გიორგისთან. დავურეკე ზესტაფონში ამჯერად ელდარის და ვთხოვე, თუ ეცალა მამა გიორგისთან ავეყვანე.

– რას მეკითხები, გოგო! ახლავე ომარს დავურეკავ და დაგვადებით ქუთაისში! მართლაც ელდარი და ომარი დამხვდნენ. სამარშრუტო ტაქსიდან ელდარის მანქანაში გადავჯექი და პირდაპირ მონამეთისკენ წავედით.

იდგა 2009 წლის 12 სექტემბერი. ელდარმა და ომარმა კელიაში შესვლაზე უარი თქვეს და იქვე, მონამეთას ეზოში, კელიის წინ ჭასთან ჩამოსხდნენ. მე კი, რიგი დავიჭირე და დაახლოებით ნახევარ საათში ერთ-ერთ მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად მომიწია კიდეც შესვლა. გარეთ, ეზოში დგომისას ქუდი ხელში მეჭირა და სანამ კელიაში შესვლას ველოდებოდი ჩემთვის გავიფიქრე, – „რა საჭიროა ახლა ამ ქუდის დახურვა, ეკლესიაში ხომ არ შევდივარ... ბერთან სასაუბროდ კი, თავზე რალატომ უნდა დავიხურო“...

და, ქუდი არ დამიხურავს, ისე შევედი კელიაში.

– სათვალე გაუკეთებია... – ჩაილაპარაკა თავისთვის...

მიხვდით, რომ ჩემი მისამართით სთქვა, რადგან ამას რომ ამბობდა, მე მიცქერდა...

შემოსულ მანდილოსნებს რომ გადავხედე, რომლებსაც შარფები საგანგებოდ ჰქონდათ თავზე მოხვეული, მომერიდა და ხელში დაკავებული ქუდი დასახურად თავისკენ წავიღე... ამ

დროს მამა გიორგიმ შემაჩერა:

– არ დაიხურო. აქ, ჩემთან რა საჭიროა... ეკლესიაში ხომ არ ხარ... – დინჯად მითხრა და ჩაილიმა.

მეც გამელიმა და თავი დავხარე...

მაშინვე მივხვდი რომ ჩემი ფიქრი „ნაიკითხა“...

ცოტა ხნის შემდეგ, მამა გიორგიმ საუბარი დაიწყო.

– 20 თვეში საქართველო გაბრწყინებას დაიწყებს... – კვლავ მე შემომხედა, ოღონდ ამჯერად კითხვის ნიშნად... მივხვდი რომ მისვლის მიზანს „მეკითხებოდა“:

– მამა გიორგი, მე, ამ დღეებში თქვენი პირველი სამი წიგნი ნავიკითხე და კვლავ თქვენთან მომინდა მოსვლა... ჩემი ფუნქცია და მისია მაინტერესებს...

– მერედა სად არის წიგნები?! – კითხვაზე კითხვით მიპასუხა მან.

ვიფიქრე, ჩემს თარგმანზე მეკითხებოდა და შენუხებულმა ვუპასუხე:

– მე ხომ თბილისიდან არ მოვდივარ... ამიტომ თან არ მომიტანია..., მაგრამ, ერთი თვის წინ პირველი წიგნი მე ხომ უკვე მოგართვით?!

– მერედა სად არის?... ხომ ხედავ, – აღარ არის!... მოიტანე წიგნები!...

– მე ახლა ქობულეთიდან მოვდივარ... ისე შემოგიარეთ...

– შემოიარე არა?!... თბილისში მიდიხარ?

– დიახ, მივდივარ...

– მოიტანე წიგნები... მოიტანე...

მერე გვერდით მდგომ ქალებსა და მამაკაცს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– თქვენ რაღა გინდათ ჩემგან?

– ჩვენ სახლში პრობლემები გვაქვს... ჩემი ქმარი უმუშევარია და სამსახური უნდა...

– მერე რომელი კადრების ბიურო მე ვარ, კაცო!...

კვლავ ჩემსკენ გამოიხედა, მერე ფანჯარას გახედა და ამბის მოყოლა დაიწყო:

– 20 თვეში საქართველო გაბრწყინებას დაიწყებს... მე, წარმოშობით მეგრელი ვარ, ჰო, ჩემი გვარი გურიაშიცაა.. აი, რა სოფელია? – და მე შემომხედა...

– მგონი ფამფალეთი არა მამა გიორგი? – გამახსენდა რომ იქ ბასილაშვილები ცხოვრობენ...– ჩემი თბილისელი მეზობელია იქიდან და მისგან ვიცოდი ეს სოფელი...

– ჰო, ჰო... ეგ არის... შენ რა გვარის ხარ?

– გარუჩავა...

– ვინ არის შენი მოძღვარი? სად დადიხარ?

– სიონში, მამა ამირანია,... ამირანაშვილი...

– არ ვიცნობ... მე დევდარიანმა მაკურთხა მღვდლად და აქ გამომიშვა... ძალიან მაგარი პატრიარქი იყო...

მერე მეგრული გვარები ჩამოთვალა: – ფლავა, ტყეზუჩავა, ფარცვანია, ჯღამაია, – ეს გვარი ყურში მომხვდა, – მამაჩემის მამინაცვლის გვარი იყო... მერე მკითხა:

– შენ იცი როდის დაიბადე?

– როგორ არა! – კითხვისგან გაკვირვებულს გამელიმა და სხარტად ვუპასუხე: - 1 მარტს!

– არა, კაცო,– რომელ დღეს?

– მგონი სამშაბათს...

– ხუთშაბათს დაიბადე შენ!... ორი წლის ვიყავი... ჩემს საბანს აკვანში ნაკვერჩხალი მოხვდა, შუაზე გადაიხსნა, მაგრამ მე დანვას გადავრჩი... მამიდაჩემმა მიაბო ეს ამბავი...

გამახსენდა, რომ მარჯვენა ფეხის ქედზე მეც მაქვს აკვანში მოხვედრილი ნაპერწკლისგან მიღებული დანამწვრობის ნაკვალევი...

როგორც მამამ მომიყვა, ზამთარში ნავთქურაზე ბამბას შეათბობდნენ ხოლმე, აკვანში მწოლიარეს ფეხებზე მადებდნენ, მერე ზემოდან არტახს გადამიჭერდნენ და ასე ფეხებ—დათბილულს მაძინებდნენ. ერთ დღესაც, ამ „პროცედურიდან“ ცოტა ხანში ტირილი დამიწყია. თავიდან, დედა და მამა ვერ მიმხვდარან რატომ ვტიროდი. მაგრამ მე ტირილს უფრო და უფრო რომ მოვუმატე და ვერაფრით მაჩერებდნენ, მამას რატომღაც

არტახები მოუხსნია და კინალამ გაგიჟებულა, – ბამბას ბოლი ას-
დიოდა... თურმე, ნავთქურაზე შეთბობისას ბამბას ნაპერწკალი
შეჰყოლია. მას ცეცხლი მაშინათვე არ ნაჰკიდებია, მაგრამ გად-
აჭერილ არტახებში შიგნით ნაპერწკალი გაღვივებულა და მარ-
ჯვენა ფეხის ქედზე კანი დამწვრობისგან დიდზე ამომბურცვოდა
და უზარმაზარ ბებერად მაჩნდა...

შინაური მალამოებით მოურჩენიათ, მაგრამ დამწვრობის ნა-
კვალევი დღესაც მამჩნევია ...

რატომღაც ვიფიქრე, რომ ნაკვერჩხლის ამბის მოყოლით „გა-
მაგებინა“, რომ შენი ამბავიც ვიცო...

ეს ამბავი რომ მოყვა, მივუბრუნდი და ვუთხარი:

– მამა გიორგი, მე ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან. შეი-
ძლება გკითხოთ?

– მკითხე... მაგრამ, ახლა ჯერ მე მინდა დავსვა შეკითხვა და
მიპასუხეთ. მიპასუხებთ?!

ჩემს გვერდით ცოლ-ქმარი იდგა. ქმარმა უთხრა:

– დიახ, მამაო, გიპასუხებთ.

მეც ვუთხარი:

– თუ შევძლებთ...

შემომხედა და ჯიქურ მეუბნება:

– ვეფხისტყაოსანი რომ არ ყოფილიყო დაწერილი, დღეს
დაინერებოდა?!

იქ მყოფი ცოლ-ქმრიდან, ცოლმა უპასუხა, – კიო; ქმარმა,
– არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრიაო; მესამე ქალმა, რომელიც ჩემ-
სავით მარტო იყო შემოსული უპასუხა:

– კი, აუცილებლად დაინერებოდა!

მამა გიორგიმ მე შემომხედა და ჩემს პასუხს დაელოდა:

– არა, მამა გიორგი, ვეფხისტყაოსნის „ფილოსოფია“ რუსთვე-
ლამდე იყო ქართველების ცხოვრების წესი, შოთამ იგი პროზის
სახით „ჰპოვა“, ლექსად გარდასთქვა და პოეზიით დაადასტურა
ის, რაც უკვე ჰქონდა ცხოვრების წესად ქართველებს...

– ეს ვინ არის კაცო! რა კომუნისტივით მიპასუხობს!...

– მამა გიორგი, მე კომუნისტი არასდროს ვყოფილვარ... –
ცოტა არ იყოს განანწყენებულმა მივუგე...

მამა გიორგის ჩემს ნათქვამზე ჩუმად ჩაელიმა და კვლავ კითხვა დასვა:

– კი, მაგრამ მე გეკითხებით: – რომ არ დაენერა რუსთველს, დღეს თუ დაინერებოდა მეთქი?...

სხვებმა კვლავ უპასუხეს, რომ კი, – დაინერებოდაო.

მე მაინც მტკიცედ განვაცხადე:

– არა, ამ პერიოდის საქართველოში ვეფხისტყაოსანი არავითარ შემთხვევაში არ დაინერებოდა, იმ მარტივი მიზეზით, რომ მისი დამწერი „ტვინი“ უკვე არ ჰყავს ჩვენს ქვეყანას!

მამა გიორგიმ ცოლ-ქმარისკენ გაიხედა და ცოლს მიმართა:

– ე.ი. შენ იძახი, რომ დაინერებოდა, არა?...

– კი, ნამდვილად. – გახარებულმა მიუგო მან.

– ჰოდა, შენ ამისთვის 20%-ს გაძლევი. – ახლა ერთ აფორიზმს მე გეტყვით, – და მე გადმოიხედა, – ჰოდა ვეფხისტყაოსნიდან საპასუხოს თუ მეტყვით!

ლექსი წაიკითხა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ დავიმახსოვრე... თუმცაღა იმ წუთას მისი „სიღრმით“ მოვიხიბლე. ყველა დუმდა. მე ვეუბნები:

– მამა გიორგი, მე ვერ ვპოულობ მის საპირწონე აფორიზმს ვეფხისტყაოსნიდან, – თუმცაღა იმ წამს თავში მიტრიალებდა: – „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდაც ხვაღია“ – მაგრამ მაინც ვერ გავბედე მისი თქმა და ხმამაღლა ასე ვუთხარი:

– ეგ თქვენი ლექსი ძალზედ პატრიოტულია, მაგრამ ვეფხისტყაოსანი მაინც სულ სხვა სულისკვეთებისაა...

– ჰო, ჩემი უფრო მაგარია!... ეს პირადად ჩემი ლექსია, არავისთვის არ მითქვამს და პირველად შენ გეუბნები...

– რასაკვირველია, თქვენი ლექსი ნამდვილად მშვენიერია და დიდი ენერჯია მოდის მისგან!

– ჰოდა... – გვეუბნება: – მე რა, ვეფხისტყაოსანზე: – „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვაღია!...“-ზე მაგარს ვერ დავენერდი თუ?! შემომხედა და სახეზე ღიმილი გადაეფინა.

მისგან ეს აფორიზმი რომ მოვისმინე – მეც გავუღიმე და ვუპასუხე:

– მამა გიორგი, შესაძლოა თქვენ ძალზედ ძლიერ ლექსებსაც და აფორიზმებსაც სწერთ... მაგრამ ვეფხისტყაოსანი მაინც სულ სხვა რამეა... იგი ხომ ქართველების ცხოვრების ნირი და ტრადიციებია...

– მართალი ხარ... – თავის დავთარი აიღო, გადაშალა და ჩაილაპარაკა, – ჰო... ჰო... რა მტკიცე ხასიათია, კაცო!...

მერე დავთრიდან თავი ასწია და ცოლ-ქმარს გვარ-სახელი ჰკითხა, ჩაიწერა, მეორე ქალისაც ჩაიწერა...

ამის შემდეგ რვეული გვერდზე გადადო და კვლავ საუბარი დაიწყო.

ჰყვებოდა საკუთარ თავგადასავალს, როგორ დადიოდა ფეხით, როგორ ჩავიდა ერთხელ სტამბულში და იქ მისვლას 8 დღე როგორ მოუწდა... მერე ფეხები ასწია და სთქვა:

– ახლა უკვე ფეხები აღარ მტკივა...

ხან იმ მთის მოჰყვა, ხან ამ მთის... თბილისიც საფრთხილოა და ქუთაისიცო გვითხრა...

– მე კარგად ვიცი წერა, მე ქართული ძალიან კარგად ვიცი, გრამატიკაც კარგად ვიცი და მეტყველებითაც კარგად ვმეტყველებ!... კარგი წიგნის წერაც შემიძლია, მაგრამ ვინ მაცლის... ყველას ჩემგან უნდა დახმარება... მაგრამ მაინც ვწერ... ისევ ამათთვის ვწერ... რად გინდა მერე... კითხვა ეზარებათ, არადა რომ წაიკითხონ, უფრო მალე მიხვდებიან, რაც უნდა გააკეთონ და ჩემთან კი აღარ ირბენენ „მიშველეო“ – თავის თავს თვითონვე უშველიან!..

ამ დროს კარები გაიღო და მისი სტიქაროსანი ქოთქოთით შემოვიდა და მამა გიორგის შეშფოთებულმა მიმართა:

– მამა გიორგი, ახლა დარეკეს საჩხერიდან... მინისძვრა მომხდარა... ის კი არა და, ეზოში ერთი ქალი კედელს მიენარცხა...

– ჰო, ხომ ვამბობ, ქუთაისიც საფრთხილოა და თბილისიც მეთქი!.. საჭიროა რუსებთან ისევ ურთიერთობის აღდგენა... ჩვენ ვიცით მათი ენა... ორი ქრისტიანული ქვეყანა გვებრძვის: ერთი ამერიკა, მეორე რუსეთი... მაგრამ ჩვენ ვერაფერს დაგვაკ-

ლებენ, – ერთმანეთს კი ჩაყლაპავენ... საქართველო მსოფლიოს გადამრჩენია... ჩვენ მსოფლიოს სულიერი მისსია ვართ. მე სახლი აქ არ მაქვს... მე იქ მაქვს სახლი... იმ სახლებში ჩემთან ერთად ცხოვრობენ: რუსთველი, წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, სტალინი... შევარდნაძეც მორწმუნეა... სტალინი ის არ არის, ვინც ჰგონიათ, სტალინი ნამდვილი იყო... წმიდა კაცი... აი, ის, ჩემნაირი იყო, როგორც მე ვარ...

აილო თავისი დავთარი და კვლავ ფურცვლა დაუნყო... მოგვიბრუნდა და ყველას გვითხრა:

– წადით ახლა...

მერე მე შემომხედა... ამით ვისარგებლე და ვკითხე:

– მამა გიორგი, არ გინდათ, ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების გვარ-სახელი ჩაინეროთ?

– კი, მაგრამ, ხომ ჩავინერე...

ჩემი შეკითხვით გაკვირვებულმა თავისი დავთარი კვლავ გადმოიღო და ფურცვლა დაუნყო.

– არა, არ ჩავინერიანთ, – ვუპასუხე.

– მე ეგ ჩანერილი; ი მქონდა... ახლა კიდე ჩავნერ...

როცა ინერდა, მაშინ ვკითხე:

– მამა გიორგი, ბინის გაყიდვა მსურს... მინდა ვიცოდე ჩემი ფუნქცია და მისია რა არის...

– რავა, ბინა ჯერ არ გაგიყიდა?!..

– არა.

გაიცინა და მითხრა:

– რახან ვერ ყიდი, აჩუქე მაშინ მთავრობას...

ეს სთქვა, ეშმაკურად შემომხედა და გაიცინა.

მე კი განაწყენებულმა მივუგე:

– მთავრობას რატომ უნდა ვაჩუქო ვითომ!... მაგის ღირსი არ არის! მე მაგითი წიგნები მაქვს გამოსაცემი, სამსახური შესაქმნელი და ბევრი სხვა რამე მაქვს კიდე გასაკეთებელი...

– მაშინ ლატარიის ბილეთი იყიდე.

მის შემოთავაზებაზე გულიანად გამეცინა და მივუგე:

– რა ლატარეის ბილეთი! ლატარეაში არასდროს არაფერი

მომიგია?! ახლა რა უნდა მოვიგო თუ იცით!...

– რაა, 100 000 არ გეყოფა?!...

მე გაკვირვებულმა შევხედე და ვუპასუხე:

– თუ მოვიგე, როგორ არ მეყოფა?!

– ჰოდა იყიდე და შეავსე! სამი ცალი შეავსე, აქედან ერთი ჩემი იქნება. ხომ მომცემ?

მე დაბნეულმა და გაკვირვებულმა შევხედე...

– აუცილებლად მოგართმევთ! აბა რას ვიზამ! – სიცილით ვუპასუხე მე.

– ძალიანაც კარგი! ჰოდა შეავსე.

არ ვიცოდი რა მეთქვა მის ამ ნათქვამზე, რომელიც ხუმრობად ჩავთვალე. მცირე პაუზის შემდგომ თავადვე დინჯად მომმართა:

– ჰო... მე მარტო ლოცვა შემიძლია... ჰოდა, პარაკლისს გადავიხდი და ვილოცებ!

როგორც კი ეს მითხრა, იმ წამსვე სიხარულით მივუგე:

– ჰოდა მეც ეგ მსურს, თქვენგან დალოცვა! ამ ჩემს მისიაში რომ შემეწიოთ...

მადლიერებით შევხედე. მშვიდი და თბილი მზერით შემაცქერდა... მომეჩვენა, რომ რომელიღაც ჩემი შორეული ნინაპარი მაკვირდებოდა და რაღაცას მღუმარედ მეუბნებოდა...

მე, ცოტა ხანს კიდევ ვიდექი. რაღაცნაირად მეუხერხულა მისი მეტად შეწუხება დავემშვიდობე:

– ნახვამდის მამა გიორგი! დიდი მადლობა!

არაფერი უთქვამს. უბრალოდ, კელიიდან რომ გავდიოდი, თვალი გამომაყოლა...

მეც რაღაც გაურკვეველი შეგრძნებით გამოვედი ეზოში. ომარი და ელდარი კვლავ ჭასთან ისხდნენ და მელოდებოდნენ

– რაო, რა გითხრა? – შემეკითხა ელდარი

– აბა, რა გითხრა ელდარ!... ამას ვერ მოყვები... ეს უნდა საკუთარი თვალთ იხილო და შეიგრძნო... დიდებული ბერია! ძალიან დიადია!

– მაინც, რაო, რა გითხრა? – ახლა ომარმა მკითხა:

– ომარ, შენ ხომ მაინც იცი, ხომ იყავი წინათ ჩემთან ერთად, აბა შენ იმ წუთში შეგეძლო მოგეყოლა, რა სთქვა მაშინ მამა გიორგიმ?!

– ჰო, მართლა ძნელია... აი, შენ მერე კი აგვისხენი, მაგრამ მე, მაგალითად დღემდე ვერ მივხვდი რას ლაპარაკობდა... ვერც ალიკა მიხვდა...

– ჰო... ეს ან უნდა „შეიგრძნო“ ან, არადა ე.ი. მზად არ ხარ ასეთ უდიდეს წმიდანს მიუხვდე...

– რა ვიცი... მე ერთხელ ერთ სუფრაზე შევხვდი მას, – მითხრა ელდარმა, – ჰოდა არ მინდა გული გაგიტეხო, მაგრამ ნამდვილად არ დაუტოვებია ის შთაბეჭდილება, როგორც ახლა გვიხასიათებ მას შენ...

მე გამეცინა და ვკითხე:

– რაო, ელდარ, ძალიან დათვრა და მღვდელს რომ შეეფერება ისე არ მოიქცა?!

– რა გაცინებს. მართლა არ მოიქცა შესაფერისად... მღვდელს არ ეკადრება ასეთი მოქცევა...

– ჩემო ელდარ, ეტყობა იქ ისეთი ადამიანები იყვნენ, ან ადამიანი იყო, რომ მან საჭიროდ ჩათვალა ის, ან ისინი „დაებრკოლებინა“ და ასე მოეყვანა ჭკუაზე... ზუსტად ასე რომ იქცევა, მაშინ ღრმად უნდა დაუფიქრდე, რას მიგანიშნებენ წმიდანები... და რისი „დანახვება“ სურთ... ისინი ხომ პირდაპირ ძალიან იშვიათად გეუბნებიან სათქმელს...

– მე ვერ დაგეთანხმები ამაში! აბა, რა მისახვედრია როცა მღვდელი სუფრასთან ზის და უზრდელურად იქცევა... ძველი ბიჭივით იგინება... იარაღის „ტრიალის“ ამბებს ჰყვება. მოკლედ, არ მინდა ახლა შენ გული გაგიტეხო. შენ გნამს ამ კაცის... ყველას არ შეუძლია მის საქციელს შენსავით მოუძებნოს ახსნა. მე მაგალითად ვერ „მივიღე“ ეს კაცი და იმიტომაც არ შემოგყვევი...

– ელდარ, ახლა, იმდენად დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, რომ ნამდვილად არ მსურს მისი „უსაქციელობების“ მოსმენა, მითუმეტეს როცა ვიცი, და უფრო მეტიც – დარწმუნებული ვარ, როგორც სჩანს იგი შეგნებულად მოიქცა იქ, იმ სუფრაზე ისე,

როგორც მოიქცა! დრო მოვა და ამას შენ მიხვდები. მთავარია „ანასტასია“ ნაიკითხო ბოლომდე და ძალიან ბევრ რამეში სხვისი „დახმარების“ გარეშეც გაერკვევი... ბოლოს და ბოლოს, მუსიკოსი ბიჭი ხარ და, იდუმალ სამყაროს ნაზიარები ხარ...

მხარზე ხელი დავადე, გავუღიმე და ვკითხე:

– თბილისში როდის აპირებ ჩამოსვლას. იცოდე, ისე არ დაბრუნდე ზესტაფონში, რომ მე არ შემომიარო!

– მე არ გინდა რომ შემოგიარო?! – სიცლით მკითხა ომარმა.

– შენც უნდა შემომიარო აბა რა უნდა ჰქნა! და საერთოდ, მარტო მარინასთან რომ მიდიხართ და იქიდან მირეკავთ მოდიო, – რომ ჩამოხვალთ, პირდაპირ ჩემთან მოდით და იქიდან დავურეკოთ გოგოებს და ბიჭებს, რომ მოვიდნენ! ჩემთან ქეიფი რა, არ შეიძლება თუ ვერ დაეტევით?!

– ეგ, ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა სად ვიქეიფოთ, – რესტორანში წავიდეთ თუ ჩემთან სახლში. მარინას (ელდარის მეუღლესაც მარინა ჰქვია) გაუხარდა შენი ჩამოსვლა და ასე დამაბარა – სახლში მოიყვანე, მეც მივინდა მაგ გოგოსთან ქეიფიო!

– ახლა არც რესტორანში და არც სახლში არ წამოვალ. ძალიან მეჩქარება. არ გენყინოთ ბიჭებო! ძალიან დიდი პატივი უკვე მეცით. ამხელა საქმე გამიკეთეთ. მე ხომ უთქვენოდ მთელი დღე მოვუნდებოდი „ნინ და უკან“ სიარულს!

– რას ამბობ გოგო! ახლა მე შენ ისე გაგიშვებ?!

– ელდარ, ხომ იცი, თქვენთან ყოფნას არაფერი მირჩევნია, მაგრამ მართლა მეჩქარება. სერიოზული შეხვედრა მაქვს და ვერ გადავდებ. იმიტომაც წამოვედი ქობულეთიდან ასე დილაუთენია! იქნებ იმ ჩემს სახლს რამე ეშველოს! ხომ იცი გაყიდვა როგორ მინდა და დღეს 8 საათზე უნდა მომიყვანონ მყიდველი, რომელიც ამაღამ მიფრინავს...

– აი ნახე ომარ, რა მიზეზი გვითხრა! არ არის ახლა ეს ნამდვილი მეგრელი?! როგორ ტექნიკურად დაგვადუმა ეს იმერლები?! რომ არ გავუშვათ, მერე ჩვენ დაგვაბრალებს „მყიდველი დამაკარგვინეთო“!... – სთქვა ელდარმა და გულიანად გადაიხარხარა.

მოკლედ, მიმიყვანეს პირდაპირ ავტო-სადგურთან, თითქოს სამარშრუტო ტაქსი ჩვენ გველოდებოდაო, სადაც მხოლოდ ერთი ადგილი იყო დარჩენილი და ისიც წინა მხარეს. რასაკვირველია, მძღოლს მგზავრობის თანხა ბიჭებმა თავად გადაუხადეს, დიდის ამბით დამემშვიდობნენ და მძღოლს უთხრეს:

– აბა შენ იცი, მშვიდობით მიგვიყვანე ჩვენი დაქალი თბილისში!...

ამასობაში მეც სამარშრუტო ტაქსში ჩავჯექი.

მართლაც, მძღოლს მანქანა შესანიშნავად მიჰყავდა და თბილისში სამ საათში მშვიდობიანად ჩამოგვიყვანა.

2009 წლის 13 სექტემბერი. დღის 12 სთ.

ციური გარუჩავა

ჩემი შეხედულებები

25.11.2009 წ.

შმაღლეს არსს რადგან შეუძლია მართალი პასუხი გასაცემს შენს მიერ დასმულ კითხვაზე, მას ასევე შეუძლია მიგითითოს შენი სურვილის აღსრულების გზასა და ქმედებაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში: – დაგეხმაროს კიდეც მის მიღწევაში (აღსრულებაში)!

რაც ნამდვილად საკუთარ თავზე გამოვცადე – ვთარგმნე ანასტასიას ცხრავე წიგნი!

**როგორ აღორძინდნენ რაიონები
და დასაქმდნენ ადამიანები:**

ყველას პირველ რიგში საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა სურს. მათი პროფესიაც და სამუშაო ადგილიც ამ სურვილს უნდა მიესადაგებოდეს. ეს რომ განახორციელონ, პირველ რიგში ნაკითხულ უნდა იქნას „ანასტასია“. და, ვინც ცხოვრების იმ გზას გააცნობიერებს, გაითავისებს, რომელიც ამ წიგნშია გადმოცემული, – ასეთ ადამიანებსა და მათ ოჯახებს სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული და უპირობო თანადგომა უნდა გაეწიოს! ჩემი აზრით ეს გზა მოსახლეობის 50%—ს დააინტერესებს და გადანწყვეტილებასაც მიაღებინებს, თუკი სწორი ახსნა და მიდგომა იქნება სახელმწიფოს მხრიდან.

თუ სახელმწიფო არაფერს იზამს, მაშინ წიგნის ნაკითხვის შემდგომ თითოეული ადამიანის ძალისხმევით ამ პროცესს სრულიად ეყოფა 1,5-2 წელი. წიგნის ნასაკითხად კი, მაქსიმუმ 3 თვე საკმარისი დრო იქნება. განსაკუთრებით დიდი სამუშაო უკვე არსებულ სოფლებსა და რაონებში ჩასატარებელი იქნება სოფლებისა და დაბების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

ადამიანი შრომას იწყებს 20 წლიდან და აგრძელებს 65 წლამდე, ანუ საშუალოდ, საკუთარი სიცოცხლის 45 წელს უძღვნის შრომას. შემდეგ კი ესტაფეტა გადაეცემა მომდევნო თაობას.

გამოდის, ადამიანმა ცხოვრება საუკეთესოდ ამ ხნის განმავლობაში უნდა მოიწყოს.

* * *

ქმესანიშნავესი და ძალზედ ნიშანდობლივი
საგალობელია

„დიდება მოთმინებასა შენსა უფალო, იესო“
ვაი, რა კარგი საჩინო,
რა ავად მიგიჩნიესო,
ბოროტისაგან კეთილი
შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვრებელი შენ მათი
წარწყმედად მიგიჩნიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა უფალო, იესო!

როგორც ჯვარს აცვეს ქრისტე, ასევე იმ პერიოდის ქუ-რუმებმა მის მოძღვრებაში შეფარვით თავიანთი დოქტრინები „ჩააგვირისტეს“ და მოგვიანებით ზოგიერთი მისი მოწაფეების მეშვეობით, – ახალ აღთქმაში ჩაადებინეს. ამ გზითაა, რომ საუკუ-ნეების მანძილზე ამზადებდნენ საბოლოო დარტყმას ქრისტეს მოძღვრებაზე, კერძოდ ჭეშმარიტ მართლმადიდებლობაზე.

ახლა, როგორც სჩანს დადგა ამ ცილისნამების „არგუ-მენტირებული“ განხორციელების უამი. ამიტომ სასწრაფოდ საჭიროა „ბრმად“ მორწმუნეთა გამოფხიზლება და ჭეშმარიტი ცნობიერების დაბრუნება, რასაც ძალზედ ნათლად, მართლად, გულწრფელად და ქვენა აზრების გარეშე ანხორციელებს ანა-სტასია, – დიდებული განდევილი ქალი! საქართველოს სინამ-დვილეში კი ჩვენი დიდებული წმიდანები და ჩვენი პატრიარქი, უნეტარესი და უწმიდესი ილია მეორე.

წაიკითხეთ ყველამ ანასტასიას შეხედულება სიცოცხლის ფილოსოფიაზე და ბავშვების აღზრდაზე. იგი, ღვთივ ბოძებული ჭეშმარიტი გზისკენ თქვენი აზრ-ფიქრისა და ცხოვრების ნირის წარმმართველია.

ნამდვილად უამრავი მოძღვარია, რომელთა მიერაც ქურუმთა მოძღვრებაა „ჩანერგილი“ ჭეშმარიტად მართლმადიდებლური გზით სიარულის ხელშესაშლელად. ესენი მოქმედებენ იუდას დოქტრინით: – „იგივე ვუთხრათ ადამიანებს – ოღონდ დავპიდეთ ხვალისთვის“...

ანასტასიამ ყველა ტაბუს ფარდა ახადა!

ასევე ახადეს ფარდა ჩვენი დროის უდიდესმა წმიდენაბმა ან ზეცად გასულმა მამა გაბრიელმა და ჩვენმა ცოცხალმა წმიდანმა, დიდებულმა ბერმა და საქართველოს ჭეშმარიტმა მამულიშვილმა მამა გიორგიმ თავისი მოძღვრებებით, რომელიც ნიგნებადაა გამოცემული იაკობ ვეკუას, არიადნა ჩაგუნავას, პაატა საჯიასა და რამოდენიმე მამულიშვილის დიდის მონდომებითა და ძალისხმევით.

ძალზედ ნიშანდობლივია ისიც, რომ ანასტასიას მოძღვრებას უპირობოდ და ცალსახად დაუჭირა მხარი საქართველოში მამა გიორგიმ და რუსეთის უდიდესმა ბერებმა მამა თეოდორიტმა და მამა იოანემ (ოლარი).

მე მათ მსურს უდიდესი მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის და ბნელ ძალებთან ბრძოლაში „შეხიდებისთვის“!.. ძალიან მიყვარხარ ჩემო მამა გიორგი! ჩემო მამა იოანე! დარწმუნებული ვარ: – რაც სიყვარულითა და კეთილი საქმეებითაა გაჯერებული ის არის ღვთიური – დანარჩენი ძველი გველისაა!!!

თქვენ საქართველოში დაამარცხეთ დრაკონი! ახლა ჯერი ქართველ ერზეა – მათ უპირობოდ უნდა მოინდომონ გამოფხიზლება, ამისთვის უნდა წაიკითხონ ანასტასია და იმ წამიდან ყოველი ქართველის მეშვეობით შეუდგება საქართველო გაბრწყინების გზას!

ციური გარუჩავა

28.11.2009 წ.

მილის 4 სთ-ი იყო, როცა მოულოდნელად იმ შეგრძნებით გამეღვიძა, რომ ლობსანგ რამპა უნდა მეთარგმნა. არ ვიცი, რატომ გამიჩნდა ეს იდეა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ამის ნებას მამა გიორგი მრთავდა. ამის დასტურად ერთი დღით უკან დავიხევე და მოვყვები ჩემი და ჩემი მეგობრების საუბრის შინაარსს.

გუშინ, ჩემი მეგობრები, ავთო წერეთელი და ვაჟა ბარნაბიშვილი იყვნენ ჩემთან. ვაჟამ კვლავ ტიბეტურ ფილოსოფიაზე დაიწყო საუბარი და ჩვენც აგვიყოლია. ბევრი ვიკამათეთ. ბოლოს მამა გიორგის სიტყვები მოვუყვანე: – „უდიდეს რელიგიურ ცოდნას ფლობენ აღმოსავლეთის ქვეყნები და რომ მათ ცოდნას ჩვენი ქართული მართლმადიდებლური ჭეშმარიტება დაეუპირისპიროთ, აუცილებლად განათლებულები უნდა ვიყოთ, თორემ მათ საკმაო მომხიბვლელობა და პრაქტიკული ცოდნა გააჩნიათ, რომ შეარყიონ უბრალო მორწმუნე და არა მხოლოდ უბრალო!... დღევანდელი ჩვენი რელიგიური ცნობიერების პირობებში უნდა იაროთ განათლებულ და ღვთივგანმბრძნობილ ცოცხალ წმიდა მამებთან. მათთან ურთიერთობა გამოგზრდით და განგამტკიცებთ რწმენაში!

ბუდისტებს საკმარისად დიდი ცოდნა გააჩნიათ ღმერთის შესახებ და ბევრ შრომასაც ეწევიან მის შესამეცნებლად. მათ შესწევთ ბევრი რამის ხილვის უნარი. მაგრამ მთავარია „რა ძალის„ მეშვეობით მიეცათ მათ ეს ხედვა...“

მე კი, ჩემი მხრიდან ასე დავამატებდი:

– ანასტასიას ბევრი მიმდევარიც ჰყავს და ბევრი მონინაალმდეგეც, უფრო მეტიც, – სასტიკი მონინაალმდეგე არა მარტო საერო, არამედ რელიგიოუს, ეკლესიური ცხოვრების წესით მიმდევართა მხრიდანაც! – მას ჯადოქარს და მის მკითხველებს სექტანტებს ეძახიან. როცა წავიკითხე ლობსანგ რამპა დავინახე, რომ ადამიანი გულწრფელად და ყოველგვარი დაფარვის გარეშე აღწერს პირად ბიოგრაფიას და შესაბამისად გვაცნობს

ტიბეტელი ლამების ცხოვრების წესსა და მათ რელიგიას. საკუთარ შეხედულებებს ადამიანის დანიშნულებასა და მის შესაძლებლობებზე. თუმცაღა, კატეგორიულად ამბობს, რომ ის მიდგომები, როგორც ტიბეტელებს აქვთ, ეს მათი ცხოვრების ნირიდან გამომდინარეობს და ეს მიდგომა ევროპელებს არ გამოადგებათ. ამისთვის უმარტივესი და დამაჯერებელი მაგალითი მოჰყავს: ევროპელებისა და ტიბეტელების ჯდომის წესი. ტიბეტელები მიჩვეულები არიან პირდაპირ იატაკზე ფეხმორთხმით ჯდომას. ხოლო ევროპელები სკამზე ჯდომას.

პირადად მე ვთვლი, რომ ყველა რელიგიური მრწამსის გაცნობა ჭეშმარიტი მორწმუნისთვის სულაც არ არის დამაბრკოლებელი, უფრო მეტიც, პირიქით უფრო თვალნათლივ დაინახავ ქრისტეს სწავლების და შესაბამისად, მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებასა და შესაბამისად მის უპირატესობას სხვა რელიგიებთან მიმართებაში! აქედან გამომდინარე ვიფიქრე, რომ მამა გიორგის ლობსანგ რამპას ქართულად თარგმნა სულაც არ შეიძლებოდა მიჩნეოდა რწმენისგან გადახვევად, და სრულიად შესაძლებლად მიიჩნეოდა იგი. როგორც სჩანს ეს იმპულსი მოვიდა ჩემთან და ამტომაც გამოვხატე მადლიერება მამა გიორგის მიმართ და აი ეს დავწერე:

– მამა გიორგი, დიდი მადლობა, რომ კიდევ ერთი დიდებული ბერის „ბიოგრაფიის“ თარგმნა დამავალე! დიდი მადლობა, რომ ამის პატივი მარგუნე! მე აუცილებლად ვთარგმნი და გამოვცემ ანასტასიასთან ერთად ლობსანგ რამპას ნამდვილ ბიოგრაფიულ ისტორიებს. დიდება და მადლობა ღმერთს! დიდება და მადლობა შენ, – მამა გიორგი!

*ციური გარუჩავა
თბილისი, აბანოთუბანი.*

მესამე შეხვედრა მამა გიორგისთან მონამეთაში

23.04.2010 წ. პარასკევი. საღამოს 9 სთ-ი

მღეს ლალი მესტუმრა. კარგა ხანი გავიდა, რაც არ გამოჩენილა, ამიტომ სასაუბროც ბევრი გვექონდა... მან რომ დაასრულა თავისი ამბების მოყოლა, მერე მე დავინწყე მოყოლა:

– დღეს ჩემი კურსელის, ომარ მელქაძის დაბადების დღეა. გუშინ მეგობრებს უნდა გავყოლოდი ზესტაფონში, მაგრამ ვერ გავყევი.

სამგზავრო თანხა არ მაქვს... და ამას ხომ ვერ ვეტყოდი მარინას, ამიტომ სულ სხვა საბაბი მოვიმიზეზე და არ წავედი.

ლალემ უცებ შემხვედრი კითხვა დამისვა:

– რა მაგის პასუხია და, ისე, – მამა გიორგისთან წასვლას არ აპირებთ?!

ნამით დავიბენი...

– ჰო... ჰო... მეტი სასწაული რაღა უნდა მომხდარიყო! აგერ, ასეთ მოკლე დროში, მოულოდნელად, სულ რომ არ გიფიქრიათ ისე, ორი წიგნი გამოეცით... თან ამ წიგნების გამოცემა სრულიად უცნობმა ბიჭმა გადაგანწყვეტინათ და გამოცემის თანხითაც დაგაფინანსათ...

რომ გავაცნობიერე საით მიჰყავდა ლალის საუბარი და რაც მიმანიშნა შემრცხვა...

– მართლაც რომ! ეს ყველაფერი ხომ მამა გიორგის ლოცვა-კურთხევით მომეცა?! თავადაც როგორ ვერ გავაცნობიერე აქამდე?! ეს როგორ მომივიდა?! ალბათ იმიტომ ვერ ვიფიქრე, რომ მე სახლების გაყიდვის ლოცვა-კურთხევისთვის მივედი! მაგრამ რისთვისაც მსურდა სახლების გაყიდვა ისიც ხომ „ჩამოვურაკრაკე“?!

1. ანასტასიას ყველა წიგნის სრულად გამოცემა.

2. მამა გიორგიზე ერთი წიგნის გამოცემა კობას და არიადნას დაუფინანსო.

3. და, რასაკვირველია, პირადი პრობლემის, უმუშევრობის საკუთარი სახსრებით დაფინანსება, რათა არავისზე არ ვიყო დამოკიდებული...

და, აი სასწაულიც ასეთი უნდა! წიგნები გამოვეცი! და არა მარტო ახალი – მეორე და მესამე წიგნი, არამედ პირველი წიგნიც თავიდან დავბეჭდე!

ახლა მთავარია ეს წიგნები გაიყიდოს და შემოსული თანხებით შემდეგ წიგნებსაც გამოვცემ, რაზეც ინტენსიურად ვმუშაობ!

მამა გიორგი! გმადლობ შენ, რომ ასე მაღლიანად შემენიე! მრცხვენია და ბოდიშს გიხდი თავად არ გავაცნობიერე ეს ყველაფერი თქვენი ლოცვა-კურთხევით რომ მოხდა!

დიახ! მე დარწმუნებული ვიყავი, რომ დამეხმარებოდი, უფრო მეტიც, მჯეროდა კიდევც, რომ აუცილებლად ამისრულებდი თხოვნას! მაგრამ როგორც სჩანს, „თანმიმდევრულობამ“ დამაბნია, მე ჯერ სახლების გაყიდვას ველოდი! ახლა მივხვდი, რომ ჯერ წიგნები უნდა გამოვცე და მერე სახლებიც გაიყიდება და კობასაც და არიადნასაც „შევეწევი“ და საკუთარ თავს ხელფასსაც დავუნიშნავ!

მე ხვალ წამოვალ ზესტაფონში. ზეგ აუცილებლად მოვალ თქვენთან და გამოცემულ წიგნებსაც მოგართმევთ! ახლა მაგონდება... განა მეორე მოსვლისას დაჟინებით არ მითხარით:

– სად არის წიგნები?! რატომ არ მოიტანე?! დროზე მოიტანე!!!

მაშინ ვერ მივხვდი, რადგან პირველი წიგნი პირველივე შეხვედრაზე მოგართვით. ახლა ვხვდები, რომ თქვენ შემდგომ წიგნებზე მიმანიშნებდით და უფრო მეტიც – მაჩქარებდით! ანუ დროზე დაიწყე კვლავ მუშაობაო. ჰოდა, დავიწყე კიდევც მამა გიორგი თქვენი ლოცვა-კურთხევით! დიდი მადლობა თქვენ! დიდი მადლობა დიდო ბერო! მეც შევეცდები ჩემი პატარა წვლილი შევიტანო ჩემი ქართველების გამოღვიძებასა და გადარჩენის საქმეში! დიდი მადლობა მამა გიორგი თანადგომისთვის და ჩემი სულის შეცნობისთვის!

ლალიმ მითხრა:

– მოდით ახლა ასე დავიგეგმოთ: ხვალ მე ქობულეთში მივდივარ და თქვენ ზესტაფონამდე აგიღებთ ბილეთს. იქ თქვენი კურსელები დაგხვდებიან, მერე მამა გიორგისთანაც ახვალთ და უკან მარინა და თქვენ დაბრუნდებით... კარგით?!

– კარგი, ასე ვქნათ, მაგრამ ერთის პირობით: – შენ კი არ მიყიდი ბილეთეს, არამედ 50 ლარი მასესხე. სხვა შემთხვევაში არ წამოვალ...

– კარგით. ასე იყოს.

შევთანხმდით, რომ ლალი გამომივლიდა და აქედან წავიდოდით. დილით ავდექი. გავემზადე და, ის იყო ლალისთან უნდა დამერეკა, რომ კარებზე ზარი გაისმა. ვიფიქრე, ასე ადრე ნეტა რატომ მოვიდა მეთქი და კარები გავაღე:

– ზაზა?! შენ აქ საიდან გაჩნდი?! კიდევ კარგი მომისწარი!...

– გამარჯობა! როგორ ხარ?... სადმე მიდიოდი?...

– ლალიმ უნდა გამომიაროს. ის ქობულეთში მიდის და მე ზესტაფონში...

– ზესტაფონში რა გინდა?...

და, მოვუყევი გუშინდელი მე და ლალის შეთანხმების შესახებ...

– გინდა, მეც წამოვიდე?...

– რატომაც არა! თუ წამოხვალ მაგას რა სჯობია! ერთად მივალთ მამა გიორგისთან და იმასაც ვეტყვი, რომ შენ დააფინანსე წიგნების გამოცემა!... ჰო, მაგრამ შენ რადგან ჩამოხვედი, აქ საქმე გაქვს ალბათ არა?...

– არა, უცებ გადავწყვიტე წამოსვლა. გულმა მიგრძნო, რომ შენ რალაცაში გჭირდებოდი... – და გულიანად გაიცინა...

– ოოო... შე ცუდლუტო! რაში უნდა მჭირდებოდე... შენ უკვე გააკეთე რაც საჭირო იყო და დიდად დამეხმარე!...

– ეგ რა დახმარებაა, კაცო! ეგ, მე მინდოდა რომ გამეკეთებინა! სამი წელი გეძებდი... ძლივს მოგაგენი! – და გულიანად გაიცინა.

ამასობაში ლალიც მოვიდა და ზაზას დანახვით ისიც სახტად დარჩა:

– შენ აქ საიდან გაჩნდი ზაზა?!...

– თქვენთან ერთად მოვდივარ! – მიუგო ზაზამ ლალის და გადაკოცნა, – როგორ ხარ? როგორ არის შენი საქმეები?

– ისევ, ისე... არაფერი ახალი... რამოდენიმე დღე მსურს ქობულეთში დავისვენო...

– კარგით აბა, წავიდეთ და გზაში იბაასეთ... ვუთხარი მე. ქუჩაზე გამოვედით. სახლის კარები გადავკეტე და გრიმაშვილზე დაბლა დავეშვიტ. აბანოების გუმბათებთან მეზობლის ტაქსი გავაჩერეთ, ჩავსხედით და ავტოსადგურისკენ გავემართეთ.

ასე და ამგვარად აღმოვჩნდით მე და ზაზა ჩემი კურსელის – ომარი მელქაძის დაბადების დღეზე. ჩემმა მეგობრებმა რომ დამინახეს, ძალიან გაიხარეს. იმ დღეს იქ დავრჩით.

ზაზა გაკვირვებული იყო ჩვენი სამეგობროს ამბების მოსმენით. ამდენი ხნის მეგობრობა როგორ შეგინარჩუნებიათ! ეს ვინ ყოფილხართ! ასეთი რამ არ მსმენიაო. 35 წელი ერთმანეთს ხვდებით და სადაც არ უნდა იყოთ ყოველი წლის 30 ივნისს ყველა თბილისში იკრიბებით მარინას სახლშიო?!

მოკლედ, იმ დღეს ზაზასთვის „კიდევ ერთი აღმოჩენა“ მოხდა! მარინა რომ როიალს მიუჯდა და კლასიკური ნაწარმოებები დაუკრა, ამაზე სულ გადაირია...

– თავი ფილარმონიაში მგონია! ეს რა სალამო მოაწყვეთ! ან რას მღეროხართ და ან რას უკრავთ! შენ, ციური ასე კარგად თუ მღეროდი რომანსებს ვერც კი წარმოვიდგენდი?! დიდი მადლობა დღევანდელი დღისთვის! ჩემს ცხოვრებაში არ დამავინწყდება ეს დღე! თქვენ გაიხარეთ!

მოკლედ, დილისკენ „დავასრულეთ ქეიფი... ორი საათი წავიძინეთ და მერე მე და ზაზა მონამეთას გზას დავადექით. სადღაც 12 სთ-ზე უკვე მამა გიორგის კელიასთან, მონამეთას ტაძრის ეზოში ვიდექით.

ეკლესიის ეზოში უკვე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მოვიძიეთ რიგის ბოლოში მდგარი და, ის იყო რიგიც დავიკავეთ, რომ კელიის კარები გაიღო და მამა გიორგი გარეთ გამოვიდა. აივანზე დადგა. ხალხს მოავლო თვალი. მერე ვილაც-ვილაცებებს

კითხვები დაუსვა, თითქმის ყველას შეხედა, მარტო ჩვენთვის არ შემოუხედავს... ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ შეგნებულად არ გადმოგვხედა...

კარგა ხანი იდგა და ხალხს ესაუბრებოდა. ზოგს ხუმრობით რაღაცას ეუბნებოდა, ზოგსაც სერიოზული სახით ელაპარაკებოდა.

მის შემხედვარეს ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს აივანზე უზარმაზარი არნივი დაშვებულყოფილ და თავისი დიდებული მზერითა და ბუბუნა ხმით ზეციურ მაღლს უნილადებდა იქ მდგომ ადამიანებს!

ვიდექი და ვუცქერდი ამ დიდებულ სურათს და ძალიან მსურდა რომ მეც მოვხვედრილვიყავი მის თვალთახედვაში, მაგრამ... თითქმის ყველას ავლებდა მზერას, მაგრამ ჩემთვის ნამდვილად არ შემოუხედავს... ერთი მომენტი ვიფიქრე:

– „ნეტა რაშია საქმე, ასე „ხაზგასმით“ რატომ მარიდებს თვალს?! ზაზას გადავულაპარაკე კიდეც:

– ნახე, ჩვენ არ „შეგვიმჩნია“...

– ჰო, მეც რაღაც ასე მგონია...

– კარგად მითხარი ერთი, ხომ არ მეჩვენება... მგონი თვალს შეგნებულად გვარიდებს!.. ჩვენსკენ არც იყურება...

– არა, არ გეჩვენება, მე დავინახე ჩვენს მხარეს მდგომ ხალხს რამოდენიმეჯერ რომ გამოხედა, მზერა ჩვენს თავს ზემოთ გადაატარა...

რომ გავაცნობიერე მისი ეს ქცევა, უკვე მეც აღარც მიცდია, რომ „თვალში მოვხვედროდი“ და გარინდული ვიდექი ჩემთვის. მან დაასრული საუბარი და დინჯად შევიდა კელიაში. სტიქაროსანიც ფეხ და ფეხ შეჰყვა.

ცოტა ხანში სტიქაროსანმა გაალო კარები და პირველი ჯგუფი შეიყვანა. საკმაოდ დიდი ჯგუფი იყო, ერთი 15 ადამიანი თუ იქნებოდა.

მე და ზაზა გვერდზე გავდექით და „კარგა ხნის“ ლოდინისთვის მოვემზადეთ... დაახლოებით ოც წუთში პირველი ჯგუფი გარეთ გამოვიდა. ის იყო, მეორე ჯგუფს უნდა შეეყ-

ოლოდით, რომ ვილაცეები, რომლებიც ჩვენს შემდეგ მოვიდნენ და რიგიც კი არ დაეკავებინათ ისე წავიდნენ წინ და მეორე ჯგუფს შეჰყვნენ. მე და ზაზას კვლავ ლოდინმა მოგვინია... ეს ჯგუფი წინა ჯგუფზე უფრო მალე გამოვიდა... ჩვენს წინ კვლავ ხალხი ჩადგა, მაგრამ ამ დროს კელიიდან გამოსულმა სტიქაროსანმა დაგვიძახა:

– რას უდგეხართ თქვენ მანდ, შემოდით, აქ ეს ხალხი არ გამოილევა და თქვენსავით არც რიგს უყურებენ, ხომ ხედავთ?!

– რალაც ხაზგასმული ინტონაციით პირადად ჩვენ მოგვმართა

მე და ზაზამ ერთმანეთს გადავხედეთ. გაგვიკვირდა სტიქაროსანს ჩვენი „უხერხული“ დგომა შეუმჩნეველი რომ არ დარჩენია და მესამე ჯგუფს უკვე თავისი ინიციატივით რომ შეგვაცოლა. ეს ჯგუფიც საკმაოდ ვრცელი იყო... 15-20 ადამიანი მაინც იქნებოდა. ჩვენ უკან დავდექით. მამა გიორგი ყველას ერთდროულად ესაუბრებოდა. ადამიანები თავ-თავიანთ პრობლემებზე უყვებოდნენ. ამ დროს ერთ-ერთ ქალს უთხრა:

– სად ხარ აქამდე! გუშინ გელოდებოდი.

– რა ვქნა, მამა გიორგი, გუშინ ვერ მოვახერხე, წამალი დღეს მომიტანეს და აი მოგიტანე! – შინაურულად მიუგო და თან წინ დაუდგა, მერე მეორე ოთახში გავიდა და როგორც სჩანს წამალი იქ დადო.

მე და ზაზა ჩვენთვის ჩუმად ვიდექით და ველოდით, როცა „ჩვენი ჯერი“ დადგებოდა და ყურადღებას მოგვაქცევდა. თითქმის ყველას გაესაუბრა. ცოტა ხანს სდუმდა... მერე ჩვენ შემოგვხედა და გვკითხა:

– თქვენ რა გინდათ ჩემგან, აბა ჩქარა მითხარით, თორემ ხომ ხედავთ, რა ამბავია?!

მე, ცოტა წინ წარვდექი და მივმართე:

– მამა გიორგი, უბრალოდ მადლობის სათქმელად მოვედი და დაპირებული წიგნები მოგიტანეთ... თქვენი ლოცვა-კურთხევა შემენია! სასწაული მოახდინა!.. აი, ის ახალგაზრდა მახლავს, რომელსაც არ ვიცნობდი, და რომელიც თქვენი ლოცვა—კურთხევის წყალობით მოულოდნელად თავისით გამომეცხადა

და მითხრა, რომ ჩემი თარგმანების დაფინანსება სურს და აი, ეს მომდევნო ორი წიგნის გამოცემა უკვე მან დააფინანსა...

ეს ვუთხარი და ორივე წიგნი გავუწოდე. ძალიან ვღელავდი... წიგნები ჩამომართვა, დახედა, მერე მე შემომხედა და მითხრა:

– რა ღირს ეს წიგნები?

მე დავიბენი, ვერ მივხვდი წიგნების ფასი რატომ მკითხა:

– თქვენ, მამა გიორგი საჩუქრად მოგართვით!...

– ეგ ვიცი, შე კაცო! აბა რას იზამდი?! რამდენად იყიდება?...

– ააა... 10 ლარად. ამის გაყიდვის ფასად მსურს დანარჩენი წიგნებიც გამოვცე. უკვე ისინიც თარგმნილი მაქვს და ახლა რედაქტირებას ვუკეთებ. ვინიცობაა, თუ ვერ გავყიდე ამიტომ ახლაც მსურს კვლავ დამლოცოთ ჩემი სახლის გაყიდვაზე. მაინც მინდა რომ გავყიდო, რათა ეს საქმე ბოლომდე მივიყვანო და საკუთარი თავიც ჩემივე სახსრებით დავიფინანსო... ხელფასი დავინიშნო... კობას და არიადნასაც თქვენი წიგნების გამოცემაში ხელი გავუმართო...

მან წიგნებს კვლავ დახედა. მაგიდაზე დადო, მერე მე შემომხედა და უკვე შუბლშეკრულმა მითხრა:

– მე კურთხევას აღარ მოგცემ, აღარ ჩავერევი! ამ ჩარევისთვისაა რომ დამდევენ... არ უნდათ ხალხის საკეთილოდ რომ ვიძლევი კურთხევას...

მე კი, მისი ამ სახეცვალებადობით ცოტა გაკვირვებულმა და განანწყენებულმა, ვუპასუხე:

– მე, წიგნების გამოცემაზე კი არა, სახლის გაყიდვაზე გთხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას... თქვენ ხომ უდიდესი ბერი და უსაზღვრო ძალების მქონე წმიდანი ბრძანდებით! და თუ მიგაჩნიათ ეს წიგნები, რომ ქართველებმა უნდა წაიკითხონ და საგვარეულო მამულები გააშენონ, მაშინ მომეცით იმის საშუალება, რომ ჩემი მცირედი წვლილიც შევიტანო ჩვენი ქვეყნის ამ რთული მდგომარეობიდან გამოყვანაში – საკუთარი სახსრებით!

ჩემი შეუპოვრობით ოდნავ გაკვირვებულმა, მოულოდნელად შუბლი გახსნა, კეთილად გამიღიმა და მითხრა:

– კარგი, ასე თუ გინდა, იყიდე ლატარეის ბილეთი და მოიგებ!...

მე ჯერ გაკვირვებულმა შევხედე და მერე გულიანად გამეცინა და მივუგე:

– მამა გიორგი, ხუმრობთ?... ჩემს სიცოცხლეში არაფერი მომიგია და ახლა როგორ უნდა მოვიგო, რომელი ლატარეით?!...

– სამი ლატარეის ბილეთი შეავსე – ოღონდ იცოდე, როცა მოიგებ, ერთი ბილეთი ჩემი უნდა იყოს! – კვლავ გაიცინა და ისე მითხრა.

– აბა რას ვიზამ, მამა გიორგი! ერთი აუცილებლად თქვენი იქნება, – მეც სიცილით ავუბი მხარი

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ხუმრობად მივიღე და დიდი სითბოთი შევხედე მამა გიორგის.

მამა გიორგიმ წიგნებს დახედა და იქ მდგომ ადამიანებს მიუბრუნდა:

– ეს წიგნები ყველამ უნდა წაიკითხოთ... აქ ისეთი რამეები სწერია, რომელიც თქვენთვის აუცილებელია იცოდეთ და იგი მომავალში აუცილებლად გამოგადგებათ... რაც აქ სწერია, ღმერთი იმას მაინც გააკეთებს, მაგრამ ამის გასაკეთებლად თქვენ უფრო ადრე იქნებით მზად ამ წიგნების წაკითხვის შემდეგ...

მოგვიანებით ზაზამ მითხრა, რომ ყველანი გაკვირვებულები უსმენდნენ ჩვენს დიალოგს. თავად მე, არც კი შემიმჩნევია მამა გიორგის გარდა, თუ ვუნძე გვისმენდა... მაშინ მოვედი გონს, როცა იქ მყოფმა ადამიანებმა ჩემი ტელეფონის ნომერი მკითხეს და ჩანერა დაიწყეს... ყველამ წიგნების შეძენის სურვილი გამოთქვა... მამა გიორგი კვლავ მე მომიბრუნდა და მკითხა:

– რა ღირსო ეს თითო წიგნი, რა მითხარი?

– 10 ლარი, მამა გიორგი... მაღაზია 40%-ს ამატებს. მე 7 ლარად ვაბარებ.

სამივე წიგნი ხელში აიღო და დაამატა,

– კარგი!... შენ დიდებული წიგნები მაჩუქე, ხომ იცი! დიდი მადლობა ამისთვის!

– რას ამბობთ მამა გიორგი! სხვებსაც რომ გამოვცემ აუცილებლად მოგართმევთ! ხომ იცით, ძალიან მიყვარხართ და

თქვენი შეწვევითაა ამ წიგნების გამოცემას რომ ვახერხებ!

მამა გიორგიმ კიდევ ბევრი ესაუბრა იქ მდგომ ადამიანებს. ზოგი დატუქსა, ზოგს დაუყვავა, ავადმყოფები გაამხნევა... იმ ქალზე, კი ვინც ჰკითხა: – „რა ციფრები უნდა შეავსოს ამ ქალბატონმაო...“

მამა გიორგი ისე გაბრაზდა, კიდევ აყარა შავი დღე:

– შენ ვინ გეკითხება ციფრების დამახსოვრებას! ამას არ უკითხავს ჩემთვის ციფრები და შენ როგორ ბედავ ამას?... არაფერი ციფრები არ ვიცი მე...

მე ამ სცენამ ძალიან შემანუხა და მამა გიორგის ვუთხარი:

– ნუ ღელავთ, მამა გიორგი... მე ეს ყველაფერი ვიცი რომ მესზმრეთ... ამ ქალმა კი დაიჯერა და უბრალოდ შეცდა...

მამა გიორგიმ მკაცრად გადაავლო ყველას თვალი. ჩემთვის არც შემოუხედავს ისე გადახედა ყველას და სთქვა:

– ციური ვარსკვლავების ცვენა დაინყება დედამიწაზე. კარგად დაიმახსოვრეთ და დაინახეთ ყველამ! და თუ ამას ყველა ვერ დაინახავს და არ ეყოფა ჭკუა-გონება, თავად ღმერთი მინც მიხედავს მაგ საქმეს... მზე დაინვება, დაბნელდება, მერე ადამიანთა გულებს გაანათებს ყველაფერი ის... ნამდვილი ადამიანები უნდა დაბრუნდნენ... წიგნების კურთხევა რა საჭიროა... მე ვამბობ, რომ აქ ძალიან მაგარი რამეები სწერია, რაც აუცილებელია რომ გაკეთდეს... ამას 13 წლის ბავშვები წაიკითხავენ და გააკეთებენ კიდევ...

მერე ზაზას მიუბრუნდა და უთხრა:

– დიდკაცობას მოერიდე... არ გჭირდება შენ ეგ!

მერე თითქოს სადღაც მე და ზაზას მიღმა გაიხედა და ზაზას ჰკითხა:

– აბა მითხარი: – ორიდან რომელია უფრო დიდი თუ მეტყვი?!

ზაზა ცოტა დაიბნა... ვერ მიხვდა რას ეკითხებოდა. მას რომ არაადეკვატური პასუხი არ გაეცა, ამიტომ მე ვუპასუხე:

– მამა გიორგი, რასაკვირველია ერთი! – და დავაკონკრეტე, – ის ერთი თქვენ ხართ! თქვენზე დიდი არავინაა!

მამა გიორგიმ სიღრმიდან შემომხედა... მერე დინჯად თავი დახარა... ფანჯარაში გაიხედა... თითქოს რაღაც გაიხსენა, გაიღიმა და იქ მდგომთ მიმართა:

– წადით ახლა, რას უცდით... ყველაფერი კარგად იქნება...

ჩემს გვერდით მდგომ ქალბატონს შეხედა და უთხრა:

– ნუ გეშინია, კარგად იქნები. ღმერთი არ მიგატოვებს!

იმ ქალბატონს ცრემლები წასკდა და მე „შემომჩვილა“:

– ავად ვარ, კიბო მაქვს, და იმიტომ მითხრა ასე...

მე მივუბრუნდი, მხარზე ხელი დავადე და თბილად ვუთხარი:

– აი, ხომ ხედავ, რა კარგად გითხრა! საერთოდ, იცოდე ავადმყოფობისადმი მიდგომას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მაგრად დაუდგები, არ შეეპუები, ხასიათს არ გაიფუჭებ და დარდს არ აყვები – მართლაც აჯობებ ნებისმიერ სენს და მაგ დიაგნოზსაც არ გაამართლებ! არ იტირო! წარმოიდგინე, საშუალოდ 50-60 წელში ერთხელ მთელს დედამიწაზე 7 მილიარდი ადამიანი მიდის და ახალი მოდის... არავინ არ რჩება აქ... ასე, რომ სიკვდილზე ფიქრი სულაც არ არის საჭირო... უბრალოდ, იცხოვრე და მაქსიმალურად შეუმსუბუქე შენს გარშემომყოფებს შენზე დარდი! იცოდე, ისინი ამას ძალიან განიცდიან. უბრალოდ, შენ არ გაგრძნობინებენ, თორემ მძიმე განცდებში არიან. ამიტომ გაუფრთხილდი მათ. და, მათი ხათრით კიდევ უფრო არ დაამძიმო შენს გარეშემო სიტუაცია...

ყურადღებით მისმინა და მერე მითხრა:

– ქალბატონო, ეს რა კარგად და ლამაზად მითხარით ყველაფერი... ან ი ალარაფრის აღარ მეშინია! დიდი მადლობა! – ეს მითხრა თუ არა სტიქაროსანი მოვიდა ჩემთან და მითხრა:

– შენ რას ლაპარაკობ, მამა გიორგი ლაპარაკობს და ვერ ხედავ, ხელს უშლი?...

მე, დარცხვენილმა მამა გიორგისკენ გავიხედე და დავინახე, რომ ძალიან სერიოზულად მიცქერდა... მობოდიშების მიზნით თავი დავხარე... შემრცხვა...

ამ დროს მისი ხმა გავიგონე:

– შენ, მოდი აქ, რას ელაპარაკები მაგას, ვინ გეკითხება

ქალების საუბარში ჩარევას, თუ იცი...

შვებით ამოვისუნთქე. მივხვდი, რომ მამა გიორგი არ გამ-
ნანყენებია.

მერე ზაზას მიუბრუნდა უთხრა:

– მანქანით სიარულს ერიდე... შენ დიდი მომავალი გელის,
ოღონდ კარგად დაუკვირდი, მთავრობაში ყოფნა შენ არაფერში
არ გჭირდება... ისე, კარგია რომ სიკეთეებს აკეთებ...

მერე იქ მდგომ ადამიანებს მიუბრუნდა უთხრა;

– წადით ახლა, კაცო, წადით... დალოცვილები ხართ,
დალოცვილები!

და ყველანი გამოვედით კელიიდან...

მე და ზაზა ფეხით გავუყევით გზას... დავურეკეთ მძღოლს,
რომელმაც ამოგვიყვანა, თხუთმეტ წუთში ამოგვაკითხა. ჩავს-
ხედით მანქანაში და გზაზე ფეხით მიმავალი ორი უცხო გოგოც
ჩავისვით, რომლებიც ქუთაისში თეატრთან ჩამოვსვით და ჩვენ
ავტოსადგურისკენ გავემართეთ. იქ სამარშრუტო ტაქსში ჩავს-
ხედით და თბილისისკენ წამოვედით. გზაში ზაზა ლალის მო-
ბილით დაუკავშირდა და თითქმის ნახევარი გზა ესაუბრებოდნენ
ისინი ერთმანეთს. ღამის 11 საათზე უკვე თბილისში ვიყავით...

ციური გარუჩავა
25.04.2010 წ. კვირა.

მამა გიორგის ჯბრ-ტიქრები

26.09.2010 წ.

ქრის უკიდურესი განსაცდელის ჟამს ეკლესიის უპირ-ველესი მოვალეობა არის სიმართლის მიუკერძოებელი აღიარება და დაცვა!!!

... ეკლესია გრძნობდა რა მოახლოებულ საფრთხეს, არ უნდა დალოდებოდა პოზიცია-ოპოზიციის მიერ უგულო მიწვევას, არამედ უშიშრად უნდა გამოეხატა თავისი პოზიცია!

... ქრისტიანობა სიყვარულისა და მიტევების რელიგიაა.

... საქართველოს ჰყავს წინასწარმეტყველი!... „წმიდა წინასწარმეტყველს არავისი დახმარება, ხელშეწყობა, არანაირი რეკლამა არ სჭირდება. მისი მფარველი და წარმმართველი მხოლოდ ღმერთია!!! მას ძალა და მადლი ღმერთისგან აქვს!...

... წმიდა წინასწარმეტყველის მთელი სულიერი შრომა მიმართულია ადამიანთა ღმერთის გზაზე გასაყვანად, ცოდვისა და ეშმაკის ბორკილებისგან ადამიანის გასანთავისუფლებლად...

... წინასწარმეტყველის ნიჭი – სულიწმიდის ნიჭია და ის ცოდვილ ადამიანებს არ ეძლევა!

... წმიდა წერილიდან ვიცით, თუ როგორ გამოიცდებოდა წინასწარმეტყველის უტყუარობა – მას უნდა მოეყვანა წვიმა...

... ჭეშმარიტი ქართველის გული გრძნობს და ცნობს წმიდა სულს! ბოროტს მხოლოდ გონების მოხიბვლა შეუძლია!...

... ბიბლიის კითხვა აზროვნების სიმამაცეს მოითხოვს და ამავე დროს გონებრივ თავმდაბლობასაც!

... ქართულ მითოლოგიაში ბევრი სულიერი ცოდნა არის დაფარული. ქართველთა დევნის ერთ-ერთ მიზეზს სწორედ განსხვავებული რელიგიური ცოდნა წარმოადგენს. ერთმორწმუნე „მოდმე“ ერები, არანაკლები სისასტიკითა და მძულვარებით გვდევნიდნენ, სწორედ მათთვის გაუგებარი და მათზე აღმატებული რელიგიური ცოდნის გამო, ამიტომ ჩვენმა წინაპრებმა ცოდნა დაფარეს. ზოგი მათგანი კი მითებისა და ზღაპრების

სახით ვრცელდებოდა ერში. სამწუხაროდ, ქართველებმა ბევრი ამ ცოდნიდან დაგვარგეთ ჟამთა სიავის გამო. დაგვარგეთ სულიერი ხედვაც და გასაღებიც ამ მითებში დაფარული ცოდნისა, რის გამოც ბევრი მითი მხოლოდ მითადვე რჩება და სხვა რაიმე სერიოზული ჩაკვირვების საგანს აღარ წარმოადგენს!

... ღვთისშვილები დღესაც დადიან დედამიწაზე, განსაკუთრებით კი საქართველოში. ისინი ჩვენი მსგავსი ფიზიკური სხეულებით არიან ჩვენში. თუმცა მათ განსხვავებული ნიშნებიც აქვთ, რაც ჩვეულებრივი ადამიანის თვალისთვის ძნელად აღმოსაჩენია. წმიდანები კი ხედავენ მათ!... შემოძლია გითხრათ მხოლოდ ის, რომ მათ სამი ძირითადი ნიშანი აქვთ განმასხვავებელი. თუ იშრომებთ და მიაღწევთ წმიდანობამდე, თქვენც ამოიცნობთ ღვთის შვილებს.

... მარცხენა გული, ეს არის ადამიანის ხორციელი გული, ხოლო მარჯვენა კი სულიერი.

... ყოველივე ეს სულის მახსოვრობაა! სული გაცილებით უფროსია ჩვენს ფიზიკურ სხეულზე. ეს ძალიან დიდი და ამავე დროს დაფარული თემაა. ეკლესია თავის დროზე გასცემს პასუხს ჩვენთვის დღეს-დღეობით ბევრ გაუგებარ საკითხზე...

... არ არსებობს კითხვა, რომელიც გაუჩნდეს ადამიანს და რომლის პასუხიც არ ჰქონდეს ღმერთს! სად იბადება სული? – ამ კითხვის პასუხი არის დიდი საიდუმლოება!.. გეტყვით მხოლოდ იმას, რასაც წმიდა მამები სწერენ: – „ჩვენი სამშობლო ზეცაშია, საიდანაც მოვედით და სადაც უნდა დავბრუნდეთ“. აქედან გამომდინარე, სულიც იბადებოდა და იბადება ზეცაში!“ ჩვენ, ქართველები, ფეხმძიმე ქალს ორსულს მას შემდეგ ვეძახით, როცა მუცლად მყოფ ნაყოფში ჩამოდის სული. ორსული, ანუ დედის სული და ბავშვის სული. ნაყოფში ჩამოსულ სულს უკვე აქვს ზეციური სამშობლო და მახსოვრობა, თუმცა დედამიწაზე მუცლად ჩამოსვლისას „ითიშება“, რათა მთელს მიწიერ ცხოვრებაში დარჩეს „გათიშული“, ხოლო გარდაცვალებისას, სხეულიდან გასვლის ჟამს გაეხსნება მისი ზეციური სამყოფელი. წმიდანებს კი ღმერთი მიწიერ ცხოვრებაშივე გაუხსნის ზეციურ

მახსოვრობას. უნდა ითქვას ერთი რამეც: – **დღეს დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს არა აქვს ზეციდან ჩამოსული სული!... ყველაფერს აქვს თავის დრო!... ღმერთი და წმიდანები ბევრ რამეს მაღავენ ისევ ადამიანთა საკეთილდღეოდ.**

... ქრისტიანი თავმდაბალი უნდა იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მტერს თავი დაუხარო.

... მორწმუნე თავს იცავს უხილავი მტრისგან, ხოლო ბერები არა მარტო თავს იცავენ, არამედ ანადგურებენ უხილავი ბოროტი სისტემის ხლართებს!... ბერები ლოცვით მიიწვევენ წინ, ერისკაცები კი ტანჯვით! ლოცვა მაინც არის მლოცველის საქმე!... თვითნებობა სულიერებაში დამლუპველია!

... რწმენას განათლება არ სჭირდება, მაგრამ ამ რწმენის დაცვას კი – განათლება აუცილებლად სჭირდება! უდიდეს რელიგიურ ცოდნას ფლობენ აღმოსავლეთის ქვეყნები და მათ ცოდნას ჩვენი ქართული მართლმადიდებლური ჭეშმარიტება რომ დავუპირისპიროთ, აუცილებლად განათლებულები უნდა ვიყოთ, თორემ მათ საკმაო მომხიბვლელობა და პრაქტიკული ცოდნა გააჩნიათ, რომ შეარყიონ უბრალო მორწმუნე და არა მხოლოდ უბრალო!... დღევანდელი ჩვენი რელიგიური ცნობიერების პირობებში უნდა იაროთ განათლებულ და ღვთივგანმბრძნობილ ცოცხალ წმიდა მამებთან. მათთან ურთიერთობა გამოგზრდით და განგამტკიცებთ რწმენაში!

მამა გიორგის ქადაგებები და გამოხატულებები

მამიგდევ ყური რა გითხრა! იოანეზე ხალხს უნდა გააგებინო, თან იოანეს ქართველებისგან ეკუთვნის. შრომა აქვს მას განუული. ღმერთს სურს თავისი წინასწარმეტყველის პატივისცემა ქართველებიდან დაიწყოს.

ღმერთის სიღიადე ითხოვს ადამიანთაგან სიყვარულს, აღიარებას, დაფასებას, პატივის მიგებას. ადამიანებმა უნდა ირწმუნონ, აღიარონ და უნდა განავრცონ ღმერთის საკვირველებანი. ადამიანებმა უნდა მიაგონ საქვეყნოდ იმ წმიდანებს, ვისით ღმერთი საკვირველმოქმედებს, მაგრამ მხოლოდ იმ დროს, როცა ამაზე ღმერთი მიანიშნებს! როცა ღმერთი გვეუბნება: „ნუ ეტყვი სხვას“, ესე იგი – უნდა შეინახო. მაგრამ როცა ღმერთი გეტყვის – „გააგე სხვებს – უნდა გააგო სხვებს ყველაფერი, რომ განიდიდოს სახელი და ძალა ღმრთისა.

პიროვნულად არც ერთ წმიდანს არ უნდა სახელი, მათ ურჩევნიათ ჩუმი და დაფარული ღვანლი, მაგრამ როცა ღმერთი მოსთხოვს მოღვაწეს საქვეყნოდ გამოჩენას, ვის შეუძლია წინ აღუდგეს მას!.. ერთი იცოდეთ, ხალხში გამოჩენა, სახელი და აღიარება – ეს ცალკე ღვანლია წმიდანისთვის. აღიარება და სახელი უათმაგებს მას შრომას, მაგრამ ამ დავალებასაც პირნათლად აღასრულებენ წმიდანები ღმერთისა და ადამიანის სიყვარულით.

სად, რომ წმიდანი ჩუმად, უხმაუროდ შრომობს სულიერად და სად, როცა ათასობით ადამიანი შემოგჩერებია თვალში: ზოგი იმედით, ზოგი ვედრებით, ზოგი სიყვარულით, ზოგი სიძულვილით, ეჭვით, ზიზღით, შურით, ზოგი ბოროტის აღძვრით, ზოგიც – ვილაცხვების დავალებით. წმიდანები საქვეყნოდ აღიარებამდეც დაუზოგავად ეხმარებიან ადამიანებს. მაგრამ სხვაა, როცა ადამიანი ღმერთის რწმენითა და იმედით მიდის წმიდანთან. მე ადრე გითხარით, წმიდანებს ისე უყვართ ადამიანები, რომ სიკვდილზეც მიდიან მათ გადასარჩენად.

დიდია ბოლო ჟამის წმიდანების ტვირთი. აი, რას გეტყვით: ბოლო ჟამს წმიდანებს ევალებათ ხალხი მოამზადონ ბოლო ჟამის

სიძნელეების გადასალახად, იმ დროს, როცა ანტიქრისტე დედამიწას შეფარვით ამზადებს მისი ბეჭდის მისაღებად. ბოროტები მოქმედებენ უხილავად გონებაზე, ფსიქიკაზე, გულზე, სულზე. ხდება ზომბირება და ფსიქოლოგიური და სულიერი დამუშავება, რომ ადამიანმა თავისი სურვილით მიიღოს ბეჭედი.

წმიდანები შეუწყვეტლად მუშაობენ ბოროტის ზემოქმედების მავნე ისრების ადამიანებისაგან ამოსაღებად და გამოსატანად. ადამიანებს ჯერ ანტიქრისტე პრობლემად არ უდგათ, მაგრამ არ ნიშნავს, რომ ის არ მუშაობდეს. ესეც მისი მზაკვრობაა, რომ ის აშკარად ჯერ არ სჩანს, ხედავთ, არავინ ქადაგებს მასზე, თითქოს არც აპირებდეს მოსვლას.

ადამიანები უხილავად იმუხტებიან, იწამლებიან მისი ენერგიითა და შხამით. ადამიანს თუ გონება არ დაუბნელებს, ცოდვას არ შეაჩვიებს და არ შეაზარდებს, ის არ აირჩევს ბოროტს და არ გადაიხრება მისკენ. თუ კარგად გამოიხედავთ, ნახავთ, რომ დღეს ყველაფერი ამაზე მუშაობს. ადამიანს ღმერთიდან დაშვებული აკრძალვები გადააღახინეს. ყოველდღე ქართველი სერიალებში უყურებს საძაგლობებს: მამის ცოლს საყვარლად როგორ იხდიან, დეიდაშვილ-ბიძაშვილების შებიღწვა, კვლა, მკრეხელობა, გარყვნილება, ზნედაცემულობები კაცებისა და ქალების – ამ საერთო სიბინძურეში ძნელია საერთოდ თავის შენახვა. ზოგი ადრე ფუჭდება, ვერ უძლებს ფსიქოლოგიურად, გენეტიკურად, ნერვებით, ხორციტ, ზოგი – უფრო გვიან. ბოროტს კი გათვლა აქვს ყველას ნახდენის. ეს ბოროტის მოდა დიდი ხანია მკვიდრდება დედამიწაზე, ახლა – საქართველოში. ხალხს სახელმწიფოებრიობის განცდას უკარგავენ. სახელმწიფო სტრუქტურებში ახალგაზრდა და ფუქსავატი, ტრადიციას გადახრილი „კადრები“ ინიშნებიან. ეს შეგნებულად ხდება, ფასი დაკარგა მინისტრობამ, აკადემიკოსობამ. მეძავი და გარყვნილი, უსინდისო ქალები თანამდებობებზე იქაჩებიან, ხალხს პირდებიან. ასე და ასე ვიცხოვრებთო. ეს ჯოჯოხეთია. დღეს არ რცხვენიათ თავიანთი გარყვნილი ცხოვრების, არც წარსულის. ისეთ მდგომარეობას ამკვიდრებენ, რომ ყველაფერი შეიძლება – მრუში

ქალი იყოს მინისტრი, მასწავლებელი, ხოლო მამათმავალი იყოს დიდი ჩინოსანი და სასულიერო პირიც. ისინი ცდილობენ ეს ცხოვრების წესად აქციონ. მეტი ზომბირება რა გინდა, როცა ზნედაცემულები და მეძავები ასე უტიფრად, კადნიერად აცხადებენ პრეტენზიებს თანამდებობაზე, ხალხის დამოძღვრაზე, ისე, რომ ხალხის არ ეშინიათ. ხალხს რომ ცოცხალი რწმენა და ღვთის შიში ჰქონდეს, როგორ უნდა ბედავდნენ ეს გარყვნილი ქალები და კაცები საქართველოს და ხალხის სახელით საუბარს!..

ჰოდა ასეთ დროს წმიდანები მუშაობენ ადამიანების სულიერ და გონებრივ გამოღვიძებაზე. ადამიანები პირადი ყოფითი პრობლემების გამო მიდიან წმიდანებთან, წმიდანი კი სარგებლობს ამ მდგომარეობით და გამალებული მუშაობს ადამიანზე, მის სულზე და გონებაზე.

ღმერთი სწორედ ამიტომ გამოაჩენს ბოლო უამს წმიდანს, რომ ადამიანებმა წმიდანის „ხელი“ გამოიარონ. თუ ანტიქრისტე ბეჭდისთვის ამზადებს ადამიანს, წმიდანები ქრისტეს აღმსარებლობისთვის ამზადებენ მათ.

უთანასწორო ბრძოლაა, დღეს დედამიწაზე 90% ყველაფერისა ანტიქრისტეს ბეჭდისთვის ამზადებს ხალხს, მათ მეტი საშუალებები გააჩნიათ! აქ კი მხოლოდ წმიდანის შრომაა ერთად ერთი. ისიც ნახეთ, ისინი ათასი ხრიკებით წმიდანებთან მისვლასაც დაუშლიან ხალხს. ეცდებიან და ცდილობენ კიდევაც ხალხს შთააგონონ, რომ წმიდანები არ არსებობენ და თუ ვინმე გამოჩნდა, მასზე იტყვიან: ცრუა, ხიბლშია, მწვალებელია. საოცარია, ბოროტი იძახდეს წმიდანზე ხიბლშიაო და, ამას ისინი სწორედ ეკლესიაში შეპარული „სამღვდელოებით“ აკეთებენ, ჯვარს და ანაფორას ამოფარებული ბოროტი სულები „ხალხს იცავენ“ წმიდანების „ხიბლისაგან“.

„ამის თქმა, როგორ შეიძლება სამღვდელოებაზეო“ – მერედა ვინ ამბობს ამას სამღვდელოებაზე?! ამას ვამბობ იმ ბოროტ სულებზე, რომლებიც დიდი ხანია მოკალათებულნი არიან ეკლესიაში. ადამიანები იმდენად დაბნელებულები და დაშინებულები არიან, რომ ყველაფერს ხედავენ და მაინც ვერ ბედავენ სიმართლის მხარეს დადგომას.

ბოლო ჟამს გამოჩენილი წმიდანები ღმერთის უდიდესი წყალობა იქნება ერისთვის, რადგან ღმერთი ამ წმიდანებით „შეეხება“ თავის ხალხს.

გეუბნებით, ბოლო ჟამს წმიდანის ერთხელ ნახვასაც ექნება სასიცოცხლო მნიშვნელობა!

ძალიან დაუნდობელია უხილავი ბრძოლა, თუნდაც ეკლესიაში წმიდანებს და ბოროტებს შორის. ბოროტები გარეგნულად ჯერ კიდევ მსუბუქად აფრთხობენ მრევლს, რომ არ გაეკარონ ხიბლში მყოფებს, უხილავად კი – ცოფებს ჰყრიან. ჯერ აშკარად და გადაჭრით იმიტომ ვერ ბედავენ შეტევას, რომ ხალხის ეშინიათ – ქართველი მაინც ქრისტიანია გულით, რაც უნდა დაბნელებული იყოს გონებით. მათ იციან რომ ქართველები გულით გრძნობენ წმიდანებს. აი, ამიტომ ვერ ბედავენ აშკარა გალაშქრებებს წმიდანებზე. თუმცა ვინრო წრეში ისინი წმიდანებს გიჟებს ეძახიან, მწვალებლებს და ეკლესიის მტრებს. მაგრამ ერთი იცოდეთ, ქართველი მაინც ღმერთისკენ წავა. ისინი დოგმებზე აპელირებენ, მაგრამ გეუბნებით, ღმერთი არ იცნობს მათ. ეს ბევრმა მათგანმა თვითონაც იცის და გაბოროტებული და სასონარკვეთილი ბოროტის შთაგონებით ქმინავს

სიმართლე თუ არ ითქვა, ბაღარჩანა არ იქნება!

ერი თუ სინმიდისა და სიმართლის მხარეს არ დადგა, ეკლესიაში სიარული არ უშველის, რადგან ღმერთი არ შეისმენს.

დღეს სიმართლის დანახვას, აღიარებას, სიმართლის მხარეზე დადგომას ძალა და სინმინდე სჭირდება.

უცხო ძალის ტყვეობაში მოქცეულ ადამიანს სად შესწევს ძალა სიმართლის მხარეს დადგეს, ის გაკოჭილია, შეშინებულია და უფრო მეტიც, სიმართლის გარჩევაც კი აღარ ძალუძს!...

ძნელია ერთი ხელის მოსმით ადამიანისგან წლობით დაგროვილი მნიკვლის გამოტანა, ბოროტისაგან გათავისუფლება. ამას დრო უნდა!...

ბევრს უთქვამს ჩემთვის, რომ მათ ღმერთზე მეტად თავიანთი მოძღვრის ეშინიათ. ნახეთ!... რა უნდა უწოდო ამას! ადამიანის ამ დღემდე მიყვანა შერჩება ახლა იმ მოძღვარს?!

დღეს ბევრი „ართმევს“ ღმერთს ხალხს, ისინი პატარა „ღმერთებად“ ევლინებიან ადამიანებს, უფლის სახელით ატყვევებენ და ლუპავენ ადამიანებს!..

ბევრს უთქვამს ასევე, რომ ეშინია სამღვდლოების მხრიდან წყევლისა. გაგიგონიათ ეს?! წყევლა და მღვდელი?! წყევლით რომ აშინებ და იმონებ ადამიანს, ამაზე მეტი ბოროტება რა არის! ადამიანი თავისუფლებისთვის გაჩენილია ღვთისგან, შენ ბოროტის კლანჭებისგან უნდა გაანთავისუფლო და ღმერთს წარუდგინო, და შენ იმონებ ადამიანს და ამას ღმერთი შეგარჩენს?!..

მათ ჰგონიათ რომ ღმერთი ვერ ხედავს მათ!

ღმერთს ყველაფერი აღრიცხული და დაფიქსირებული აქვს. მორჩილების „ლოზუნგით“ ძალიან ბევრი სისაძაგლეა ჩადენილი ადამიანების მიმართ. ეს აუცილებლად გამჟღავნდება! ეს ერმა უნდა დაჰგმოს, თუ უნდა ერს ღვთის თვალში ჰქონდეს მადლი!

ღმერთი სიმრავლეს კი არ უყურებს, ღმერთი სინმინდეს, რწმენას და ღვთისმოშიშობის ხარისხს უყურებს.

სიმრავლე რომ რამეს ნიშნავდეს, მაშინ ჩინელები იქნებიან ღვთის რჩეული ერი.

ტაძარში მდგომი 400 მორწმუნედან ღმერთს შეიძლება 3 უყვარდეს, ბევრს კი კაცთმოყვარეობით სწყალობდეს!... ბევრს კი არ სცნობდეს.

შეიძლება ადამიანი „დადის“ ეკლესიაში, მაგრამ ღმერთი არ სცნობდეს მას. გასაგებია?! არ სცნობდეს!...

ამიტომ თუ სიმართლეს, სინმინდეს, სიკეთეს არ დაიცავთ, თავს ნუ იტყუებთ „ეკლესიაში სიარულით“. მიძიმეა ეს სათქმელად მაგრამ უნდა ვთქვა – ზოგ ტაძარში ღმერთი არ არის საერთოდ! გეყურებათ?!

როცა სინმინდეს არ იცავენ, ღმერთი იქ არ არის! ღმერთი რომ ყველგან არის ეს სხვა ამბავია!.. ღმერთი ყველგან არის, მაგრამ ტაძარი იმიტომ, რომ ღმერთი იქ გისმენს და შენც გეხმიანება. ეს ღმერთთან საურთიერთო განსაკუთრებული ადგილია, რომელიც თვითონ ღმერთმა დაგვიწესა. და ის წესები თუ არ შესრულდა, ღმერთი არ შეისმენს. ამიტომ ღმერთი იქ არ იქნება შენთვის! გასაგებია?! აი, ასეთ იგავს გეტყვით:

„ერთ ტაძარს მრუში მღვდელი წინამძღოლობდა. ერთხელ ხალხი წირვაზე ცოტა მივიდა. მან მორჩილი გაგზავნა: „თუ ვინმე დგას ტაძრის ეზოში, შემოიყვანე, ჩემი სახელით უბრძანეო“! მორჩილმა ჩია ტანის თეთრწვერა მოხუცის მეტი ვერავინ ნახა. მორჩილმა წინამძღვრის კურთხევა გადასცა მოხუცს. მოხუცმა უთხრა: **„გადაეცი იმ მღვდელს, – შენი სიმყარის გამო საკურთხეველში აღარ გამაჩერე და ახლა ეზოშიც არ მაჩერებო“?!... მორჩილმა ეს ყველაფერი გადასცა წინამძღვარს. წინამძღვარი საკურთხეველიდან გამოვიდა, ხალხის წინ დაემხო და ხმამაღლა აღმოხდა: „ჩემი ბრალით ღმერთს ტაძარი მიუტოვებია და გასულა, ილოცეთ და ევედრეთ, რომ ტაძარში დაბრუნდეს, მე კი გავალ ტაძრიდანო“.**

კიდევ ერთხელ გაგახსენებთ ანდრია სალოსის სიტყვებს არანმიდა და უღირს მღვდლებზე:

„არა გარდამოვალს სამწყსოსა მისსა ზედა სული წმიდა“.

და კიდევ მოგახსენებთ პეტრე და პავლე მოციქულების განწესებიდან ასეთ მუხლს:

„თუ უღმერთობმა დაიპყრან ადილი, გაიქეცი შინ, რადგან მათ შეაგინეს იგი. როგორც ღირსეულნი განწმედენ, ასევე ბილწნი შებილწავენ“.

ბოლო ყვამს ძალიან დიდი ძალის წმიდანებს გამოაჩენს ღმერთი.

როგორადაც არ უნდა ებრძოლონ მათ ანტიქრისტრეს მოციქულები, წმიდანები მაინც შესძლებენ ხალხის გათავისუფლებას, განწმენდას და განმტკიცებას.

წმიდანების გამოჩენა წმიდანებს კი არა, ხალხს სჭირდება. ამიტომ ვისაც ღმერთმა მისცა წმიდანების ცნობის ნიჭი, მან ხალხს უნდა მოუთხროს და გააგოს მათზე.

უშიშრად უნდა გადასცე ხალხს ის რაც ღმერთმა გაგიხსნა წმიდანებზე. უბრძოლველად ჭადის ნატეხს ვერ შეჭამ... თავიდან ძნელია, მაგრამ ტყვეობიდან გამოსული ხალხი გვერდში დაგიდგებათ. ძალიან ბევრი ძლიერი სული დააღწევს თავს ეშმაკის ტყვეობას და ისინი ნახეთ, როგორ შეებრძოლებიან მერე მათ... რვენ ცოტანი არა ვართ. ადრე გითხარით, რომ სწორედ ქართველები

იქადაგებენ ბოლო ჟამს მთელს მსოფლიოში მართალ რწმენას. საქართველოდან წმიდანები ამხელენ ანტიქრისტეს. ქართველები დაეხმარებიან სხვა ერებს. ადრე გითხარით, საქართველო წმიდანების სამჭედლოა.

როგორ არ ზღუდავდნენ გაბრიელ ბერს, როგორ არ ჩქმალავდნენ მის ღვანლს, როგორ არ განიკითხავდნენ, რას არ იძახდნენ, როგორ არ ებრძოდნენ სასულიერო პირები სიცოცხლეში და მერეც. მაგრამ ნახეთ – ვერ მოერივნენ!... ისინი, ვინც სიძულვილით განიკითხავდნენ, დღეს გაბრიელის ახლობლებად ასაღებენ თავს. ღმერთს ვინ მოერევა!

*„ფეხითმოსიარულე III“
არიადნა ჩაგუნავას ჩანანერები*

ჩემი შეხედულებები...

26.09.2010 წ.

საქართველოშია შემორჩენილი უძველესი კულტურა და ზღადათ-წესები, – ამიტომაც სურთ მისი აღგვა პირისაგან მიწისა! ამიტომ ცვლიან ენას, კულტურას, განათლებას, სარწმუნოებას და მიწა-წყალს კი გადამთიელებს უგდებენ ხელში!

როცა „სუსტი“ ხარ, გიცოდებენ, მაგრამ გვერდში არ გიდგანან! ამიტომ აუცილებელია გამოფხიზლება და გაძლიერება!

ბარათი მამა გიორგის

04.10.2010 წ. ორშაბათი

მამა გიორგი! ჩემო დიდო ბერო და საქართველოს მოქმირნახულევ! მსურს ბარათი მოგწერო და მოგიკითხო დიდი სიყვარულით. ვიცი, რომ შენ „გულის გულში“ იხედები, და ყველაფერს ნათლად ხედავ. ამიტომაც ვაძლევ თავს უფლებას, თანადგომა გთხოვო! სად მოვალ მე შენამდე, მამა გიორგი! ვიცი, რომ შენ ხელგენიფება ყოველივე კეთილის ჰქმნა! მე გეტყვი ჩემს თხოვნას და თუ შენ ჩათვლი საჭიროდ, შემავედრე მამა ღმერთს, რათა შემაძლებინოს ჩემი თბილისის სახლის გაყიდვა მაქსიმალურად მაღალ ფასში და რაც შეიძლება უმოკლეს დროში! მე მსურს, რომ ახალი 2011 წლისთვის ეს სახლი უკვე გაყიდულიც მქონდეს, ანასტასიას მომნდევნო 4 წიგნი გამოცემული, არიადნასთვის და კობასთვის შენი წიგნის გამოცემაში ჩემი წვლილი შეტანილი და რაც მთავარია – საგვარეულო მამულის გაშენება და თქვენს გვერდით ყოფნა შევიძლო! მიმიღეთ, როგორც თქვენი სულიერი შვილი და და!!!

მამა გიორგი, ყოველივეს ფურცელზე ვერ დანერს ადამიანი, რისი ქმნაც სურს. მე ის მაიმედებს, რომ შენ ძალიან კარგად უწყი, რისი გაკეთებაც მსურს. გთხოვ დამლოცო და კურთხევა

მისცე ჩემს გასაკეთებელ საქმეებს – შემავედრე მამა ღმერთს და უფალს ჩვენსას!

დიდება მამა ღმერთს და მადლობა, შენ რომ ჰყავხარ საქართველოს, ქართველებს და მე!

მე ვიცი, რომ შენ ჩემს გულს ხედავ და ამიტომ მაქვს შენი თანადგომის იმედი. მე ყველაფერს მშვიდად და ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე გავაკეთებ!!!

ციური გარუჩავა

მამა გაბრიელი

09.10.2010 წ. შაბათი. 1 სთ-ი.

მილით წავედი მცხეთაში და მამა გაბრიელის საფლავი მოვინახულე... საფლავთან მდგომ ძელსკამზე ვიჯექი დიდხანს... 1 სთ—ზე თავის მრევლთან ერთად დ/დიღმის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი იოანე მოვიდა და პარაკლისი გადაიხადა. მე მას არ ვიცნობდი. იგი პირველად ვნახე. იქ მყოფთ, მან თავად გვაუწყა საკუთარ თავზე ვინც იყო. ნაკურთხი წყალი გვასხურა, ზეთი გვცხო და გვითხრა, რომ ჩვენ ყველას, ვინც იქ ვიყავით, დიდი პატივი გვერგო, რომელიც იშვიათობაა, რადგან დედა პარასკევამ ყველას უნდა გვცხოს მამა გაბრიელის უხრწნელი სისხლი და დაგვლოცოს. მართლაც ასე მოხდა. მე საფლავიდან ულამაზესი ყვავილის რტო და ზეთი წამოვიღე.

იქიდან მისაქციელში წავედი და დავესწარი სალამოს ლოცვას, სადაც მამა გაბრიელი სწირავდა. წირვის შემდეგ მივეახლე მას და შევთხოვე ელოცა ჩემთვის, რათა უცილობლად გამეყიდა ჩემი სახლები. მას გაუკვირდა და მკითხა:

– შენ კიდევ არ გაგიყიდა სახლი?!

– არა, მამა გაბრიელ... რაღაც არ ხერხდება... მყიდველი არ სჩანს...

– დატოვე მოსახსენიებელი და ვილოცებ!

მეც მესანთლეს დავუტოვე მოსახსენიებელი და წამოვედი.

მჯერა მამა გაბრიელის ლოცვა-კურხევა რომ შემეწევა და მოვახერხებ სახლების გაყიდვას!

ციური გარუჩავა

მამა იოანე (ოღარი)

14.10. 2010 წ.

სატამ, კობას და არიადნას მეგობარმა დამირეკა. სვეტი-
იცხოვლობა მომილოცა. მისი ზარი ისე გამეხარდა, რომ
ვერც აღვწერ იმ ემოციას! საუბრისას მითხრა:

– ქალბატონო ციური, მამა იოანე ჩამოდის ხვალ!..

გაგონილმა ისეთი ემოცია გამოიწვია ჩემში, რომ დიდი სიხ-
არული ხმამაღალი შეძახილით გამოვხატე!

– თქვენ არ იცით, როგორ მიყვარხართ და ბევრს ვფიქრობ
თქვენზე... ძალინ მსურს შევიძლო თქვენი თანადგომა... იმ დღეს
დავრეკე არიადნასთან და შენი ნომერი დავაზუსტე...

– ჰო, შემოსული შენი ზარი ვნახე...

– აღარ ვიცი რა გითხრა, პაატა, ისე გამახარე! თქვენ კიდეც
არ იცით მე როგორი ვარ...

– შენ რატომ გგონია, რომ არ ვიცით?!... რომ ვიცით, იმიტო-
მაც შეგატყობინეთ მამა იოანეს ჩამოსვლა.

ენა დამეხა... უცებ „გამინათლა“ გონება და ვუთხარი:

– ჰო, მე ვიცი, ეს კობასგან მოდის... მე უბრალოდ მერიდება
და ამიტომ არ ვრეკავ მასთან, რა ვიცი... ეგ ცოტა თავისებური
კაცია და... არ ვიცი როგორ მოვექცე...

– ჰო, მე ეს ვიცი... ვგრძნობ და იმიტომაც ვასრულებ თქვენს
შორის ხიდის როლს..

– მამა იოანეს მეც შემახვედრებთ?

– აბა, რისთვის გითხარი მისი ჩამოსვლის შესახებ. რასაკ-
ვირველია. აუცილებლად.

– გადაეცი კობას ჩემგან დიდი მადლობა. ეს მისი დამსახ-
ურებაა... აღარ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი მადლიერება...
დიდი მადლობა კობას და არიადნას! იცი? მე მამა გაბრიელთან,
მისაქციელში ვიყავი და მოდი, რალაცვების თქმა მსურს...

– ვიცი რომ იყავი...

– ?!...

მოკლედ, პაატას ზარმა და საუბარმა ყველანაირად გამაკვირვა. მადლობა მამა გიორგი! მადლობა მამა გაბრიელ! (ურგებად). მადლობა მამა გაბრიელ!(ოდიშელიძე). მადლობა კობა! მადლობა მამა იოანე! მე უკვე ვიცი, რომ თქვენ ჩემს გვერდით ხართ და არ მომცემთ „ნაფორხილების“ საშუალებას! დიას! სახლს გამაყიდინებთ და მეც პირნათლად შევასრულებ ჩემს მისიას!!!! დიდება და მადლობა უფალს! ამინ! ძალიან მიხარია თქვენ რომ არსებობთ!

ციური გარუჩავა

P.S. გუშინ ვისხედით ჩემთან ანტრესოლზე ავთო, ვაჟა (ნარდს თამაშობდნენ), მე და ფაცო.... ფანჯრები ღია იყო და უცებ ჩიტი-ბელურა შემოფრინდა. ოთახის შიგნით, მეორე ოთახის გასასვლელი კარების ფანჯარაზე შემოჯდა. ნისკარტი უსვა და უსვა რაფას... დიდხანს იჯდა... მერე გადმოფრინდა, კედელს მიაჯდა, ცოტა ხნით გაჩერდა და ნელა გაფრინდა გარეთ...

14.10.2010 წ.

10.11. 2010 წ. ოთხშაბათი

მილით პაატამ დამირეკა:

– ციური, გინდა გაგახარო?! დღეს მამა იოანე შენთან მოდის. ახლა აბანოშია და იქიდან შენ შემოგივლის. აი, შენ თენგო ყალიჩავას ნომერი და ის დაგიირეკავს. მისამართი შენ უთხარი.

– რას ამბობ პაატა! ეს როგორ?! შენ არ იქნები?!
– მე, ეგენი რომ მოვლენ მერე მოვალ.

მე ისე დავიბენი აღარ ვიცოდი, რა მექნა! წუხელის იას მაღაზიაში ვიყავი. არ ვიცი რატომ, მაგრამ თევზი ვიყიდე, სკუმბრია... ამ დილით შევწვი მთლიანად და დავდე. ფული აღარ მქონდა... იასთანაც ისეთი არაფერი იყო, რომ „ნისიად“ ამელო და ლალის დაეურეკე.

– ლალი, ახლა ერთ საათში ჩემთან მამა იოანე მოდის. მოხვალ?!.. მაშინ ხაჭაპური და ნამცხვარი წამოიღე რა პოპულიდან?! მე ფული არ მაქვს და...

– მოვალ და აუცილებლად წამოვიღებ. არ ინერვიულოთ!

ცოტა ხანში გადმომირეკა და მითხრა:

– შეიძლება ელენეც წამოვიდეს? ძალიან მთხოვა და მერიდება უარის თქმა...

ლალი საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობს, დეპარტამენტის უფროსის მოადგილეა. ეს ელენე კი მისი უფროსია:

– კარგი, წამოიყვანე. აბა უარს ხომ არ გათქმევინებ...

მოკლედ ლალი, ელენე და მისი მძლოლი მოვიდნენ. ხაჭაპური, ლობიანი, კარტოფილის ღვეზელები და საცალო ნამცხვები მოიტანეს. რამოდენიმე ხანში თენგომ დამირეკა და მისამართი მკითხა. მე ვუკარნახე და თან ვუთხარი, რომ კარებთან დავხვდებოდი. ცოტა ხანში გარეთ გავედი კიდეც და კარებთან დავდექი. ამ დროს დავინახე, რომ მირზოევის აბანოს შენობიდან შარვალ-კოსტუმში გამოწყობილმა კაცმა გზა გადმოჭრა და ტროტუარს ჩამოუყვია. მივხვდი, რომ იგი მამა იოანე უნდა ყო-

ფილიყო. შემნიშნა თუ არა, სახე-გაბადრული წამოვიდა ჩემსკენ. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ მის გარეშემო რალაც „ველი“ იყო შექმნილი და კაციშვილის ჭაჭანება არ სჩანდა... არადა მანამდე ხალხი ნამდვილად მიმოდოდა ქუჩაზე... მომიახლოვდა, გადამეხვია და მითხრა:

– აბა, გამარჯობა ანასტასიუშკა...

ისეთი დაბნეული ვიყავი, რომ არც კი მიმიქცევია ყურადღება რა სახელი მინოდა:

– მამა იოანე! რამხელა პატივი დამდე! როგორ გამახარე თქვენი სტუმრობით! თვალებს არ ვუჯერებ! რანაირად მოხდა ეს?!

იგი სახლში შემოვიდა:

– აქა მშვიდობა ანასტასიუშკა... მიპასუხა მან და მყისვე დაამატა, – როგორ მოხდა და წმ. ნინომ თვითმფრინავში მითხრა, რომ აქ მოვსულვიყავი. დღეს დილით კი, ლოცვისას წმ. ნინომ კვლავ შემახსენა:

– არ მიდიხარ „იქო“?!

მეც ვუთხარი:

– მე დღეს მივდივარ ანასტასიასთან!

მერე მომიბრუნდა და მკითხა:

– ანასტასია, რა გქვია შენ?!

მე ვუპასუხე:

– ციური ვარ, გარუჩავა!

და, ახლა „გავაცნობიერე“ რომ აქამდე „ანასტასიას“ მეძახდა... გავოგნდი... გამორკვევა არ მაცალა, რომ გაიცინა და მითხრა:

– გვარს რას მეუბნები, კაგებეში კი არ ვმუშაობ?! – თან სწრაფად მივიდა ტახტთან და ჩამოჯდა...

ჩვენც ყველას გაგვეცინა.

– არა, ისე, უბრალოდ, რატომღაც გვარიც გითხარო, – ვუპასუხე მე.

– შენი სახელი როგორაა რუსულ თარგმანში?

მეც ვუთარგმნე და ღიმილით მითხრა:

– აი, ხომ ხედავ?! – „ციური“ ანგელოზიც ყოფილხარ!...

თავი დავხარე და უხერხულად გამელიმა:

– რას ამბობთ?!... მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ! რა „ციური“ ანგელოზი! ის კი არა და... ეკლესიაშიც კი ვერ დავდივარ ხშირად, – დარცხვენილმა ვუთხარი...

– ჰო, ვიცი... იმიტომ, რომ ბევრს მუშაობ!...

მისმა ამ სიტყვებმა ძალა შემმატა. მივხვდი რომ იგი ჩემს სულსა და გულს ხედავდა... მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, აღარ ვიცოდი რითი გამომეხატა მისდამი მაღლიერება...

– იცი, მამა იოანე, ბევრი ვერაფრით გაგიმასპინძლებით, მაგრამ აი, სკუმბრია მაქვს შემწვარი... რატომღაც მთლიანი შევწვი, არ დაფქერი... დღეს მარხვის დღეა, ამიტომ ლობიანი და კარტოფილის ღვეზელები მაქვს და ნამცხვარიც. ხაჭაპურიცაა, ვინც არ მარხულობს მათთვის... კარგი ღვინო მაქვს, ნამდვილი, ოჯახის. თუ დამდებთ პატივს და ცოტა ხანი მაინც გაჩერდებით, ამოდით ანტრესოლზე და სუფრას მივუსხდეთ. ქართველებს სუფრასთან სჯა-ბაასი უფრო გვეადვილება!

– კარგი, რა პრობლემაა... სიამოვნებით დავვჯდები!

ისე გამეხარდა, რომ „ელვისებურად“ გავანწყვე სუფრა.

– ნუ ჩქარობ. არსად მეჩქარება. დღეს შენთან ვარ. ხვალ დილიდან მივდივარ დასავლეთში...

მე მაინც ვჩქარობდი. ამ დროს თენგომ მამა იოანეს გადაულ-აპარაკა:

– თქვენ ამ დილას რომ მითხარით, – „დღეს სკუმბრია უნდა ვჭამოთ“.. საიდან იცოდით, რომ აქ, სკუმბრია დაგხვდებოდათ?!...

– მე ყველაფერი ვიცი, ჩემო თენგიზ!...

მე გაკვირვებულმა გადავხედე ორივეს... თუმცაღა, მეც ვიცოდი რომ მამა იოანეს, – რაც უნდა ყველაფერი იცის...

მერე, მამა იოანეს პირდაპირ მივმართე:

– მამა იოანე, ქართულ სუფრას მასპინძელი მამაკაცი უნდა უძღოდეს. რადგან თქვენი მასპინძელი ქალია, ამიტომ გთხოვთ, რომ ამ სუფრის თამადა თქვენ იყოთ!

– ძალიან კარგი! ვიქნები კიდეც. ჰოდა პირველი სადღეგრძელოთი ვადიდოთ უფალი!

სუფრასთან ისხდნენ მამა იოანე, თენგიზ ყალიჩავა, ლალი, მისი უფროსი ელენე და მძლოლი. მალე პაატაც შემოგვიერთდა.

მამა იოანე მხიარული და უხვსიტყვიანი აღმოჩნდა. გვიყვებოდა საკუთარ თავზე...

მოგვითხრო, როგორ გახდა მეზღვაური, მთელი მსოფლიო როგორ მოიარა...

– ერთხელ, მთვრალი ვიყავი და გემის ბორტიდან ზღვაში გადავვარდი. ძრავის ბრუნვისგან დატრიალებულ მორევში აღმოვჩნდი და ჩამითრია კიდეც. ამ მორევში მოხვედრილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავრჩენილვიყავი... ცოტაც და ძრავი ჩამითრედა... წამიერად რაღაცა ძალამ წყლიდან ამომავდო და მორევის თავზე მომაქცია. ნათლად დავინახე ბორტზე გადმოკიდებული ბაგირი, ძალა მოვიკრიბე, დელფინისებრი ნახტომი გავაკეთე, ბაგირს ხელი ჩავავლე და მთელი ძალ—ლონით ჩავეჭიდე მას, რისთვისაც უდიდესი ძალისხმევა დამჭირდა და... როგორ მოვახერხე მასზე აცოცება და კვლავ ბორტზე გადასვლა – ეს უკვე აღარ მახსოვს. ვიგრძენი, რომ უკვე გემის ბაქანზე ვინეჩი, თვალები გავახილე და ჩემს ზემოთ კრიალა ცა დავინახე! ზუსტად იმ წამებში საოცარი შეგრძნება დამეუფლა... საკუთარი თვალით ვიხილე ღმერთის დიდება! მყისვე ვინამე იგი! მივხვდი, რომ მხოლოდ მისი უფალ-ნებით გადავრჩი!.. გადავწყვიტე, რომ იმ წამიდან მხოლოდ მას მივნიდობოდი და მხოლოდ მის მიერ დასახული გზით მევლო! ამისთვის დიდება და მადლობა უფალს! აი, მას შემდეგ უდრტინველად მივყვები მის გზას!

ასევე გაიხსენა, როგორ მოიყვანა ცოლი. მართალია, მეზღვაურობა და თავისუფლება ერჩინა, მაგრამ ამ ქალს შეუყვარდა... ამიტომაც მოიყვანა იგი და ახლა 5 შვილი ჰყავთ.

ზღვაში მომხდარი შემთხვევის შემდეგ მიატოვა მეზღვაურობა, მივიდა ეკლესიაში და აი, მას შემდეგ მიუყვება ღვთის მიერ დასახულ გზას! გვითხრა, რომ ეს გზა, მისთვის სასიამოვნო ტვირთია, რამეთუ ძალიან უყვარს ადამიანები, და განსაკუთრე-

ბით უყვარს ქართველები, რადგან მასში ქართული სულია!

– მართალია, ცოლს არ უნდოდა პეტერბურგი დამეტოვებინა და აქეთ წამოვსულვიყავი, მაგრამ აი, როგორც ხედავთ მე მაინც წამოვედი და ახლა აქ ვარ!..

დიდი სიყვარულით გაიხსენა და მოგვიყვა, კობა პირველად როგორ გაიცნო. ძალიან მოუხელთებელი ვინმე იყოო სთქვა, თან თბილად გაილიმა... მაგრამ მისი გულწრფელობისა და სისუფთავის გამო ძალიან შეუყვარდა კობა და აი, ახლა იგი მისი სულიერი შვილია!

– კობა საუკეთესო ადამიანია. მას დიდი ხანია უნდოდა, ჩემი საქართველოში ჩამოსვლა... მართალია ჩემს ცოლ-შვილს არ სურს პიტერის დატოვება, მაგრამ მე მაინც წამოვედი... მე მსურს აქ საცხოვრებლად დარჩენა და აქ მოღვაწეობა. საქართველო დედა ღვთისმშობლის ქვეყანაა და გადარჩენაც აქედან უნდა მოხდეს... ხოლო თუკი ჩემს რომელიმე შვილს ენდომება აქ წამოსვლა, მე აუცილებლად წამოვიყვან და ხელს შევუწყობ ჩამოსვლაშიც და ჩემს გვერდით ცხოვრებაშიც... ყველაფერი ეს ღვთის შენევნით მოხდება, თუკი ღმერთი ინებებს! დიდება და მადლობა უფალს!

მერე მე მომიბრუნდა და მკითხა:

– აბა, ახლა შენ მითხარი, რა ხდება შენს თავს?...

არ ვიცოდი, საიდან დამეწყო და როგორ ამეხსნა ჩემი სურვილი რაში მდგომარეობდა... ბევრ „ახსნა-განმარტებასა“ და შორიდან მოვლას, ვარჩიე მოკლედ მეთქვა. მან ხომ ისედაც ყველაფერი უწყოდა...

– მამა იოანე, მსურს ეს ჩემი სახლი და თბილისთან ახლოს აგარაკი რომ მაქვს, ორივე გავყიდო... ამითი მოვაგვარო საოჯახო საქმეები... დავასრულო ანასტასიას ყველა წიგნის თარგმნა, გამოვცე იგი, რაც შეიძლება სწრაფად, რათა ქართველმა ხალხმა წაიკითხოს, თავი გადაირჩინოს და სამშობლოც ააყვავოს. ასევე, კობას და არიადნას მამა გიორგის წიგნების გამოცემაში შეძლებისდაგვარად მხარში ამოვუდგე და, რაც მთავარია საგვარეულო მამული გავაშენო! ამით პირადი მაგალითი მივცე ჩემს თანამემამულეებს და თავონათლივ ვუჩვენო, რომ ამის გა-

კეთება სრულიად იოლადაა შესაძლებელი... ასევე გამეხარდებოდა და უდიდეს პატივად ჩავთვლიდი ამ საქმეების მოგვარებაში თუკი თქვენს ლოცვა-კურთხევასაც შემანევდით!

ცოტა ხანი დაფიქრდა. აქეთ-იქით მიმოიხედა აილო ჭიქა და სთქვა:

– ღმერთი შეგენიოს და გაგაყიდინოს ეს სახლი. შენი ჩანაფიქრი სრულად შეგესრულებინოს. მეც აქ ვაპირებ ცხოვრებას... საქართველოს მოქალაქეობის მიღებას... უფალი თუკი ინებებს...

და, ამის მოსმენით გახარებულმა, ვუთხარი:

– მაშინ თქვენ, ჩემთან, საგვარეულო მამულში იცხოვრეთ, როგორც ღვიძლმა ძმამ ისე! მეც მხარში ამოგიდგებით როგორც შემეძლება!

ეს რომ ვუთხარი, ძალიან გაუხარდა:

– ძალიან კარგი! ასე რამ შეგაყვარა ჩემი თავი... და დაამატა: – შენ ჩემი სულიერი და ხარ! მე კი შენი სულიერი ძმა!

ახედა ჭერს, გახედა ჭერზე გადებულ ყავისფერ ხის ძგიდეებს და მითხრა:

– თეთრად რომ გადაგელება, უფრო მოუხდებოდა... ყველაფერს გააკეთებ ღმერთის დახმარებით... ჩემო ანასტასიუშკა... და გაიცინა.

ჰო, სულ დამავეინყდა... კიდევ ასე მითხრა:

– შენს სახლს რომ გაყიდი, სამეგრელოში გინდა არა საცხოვრებლად წასვლა?!

გავოგნდი! ეს არც არავინ იცოდა! უფრო მეტიც, წესიერად ჯერ არც მე მქონდა ბოლომდე გადანყვეტილი... მაგრამ 90%-ი მაინც სამეგრელოსკენ მიმინევდა გული. ოღონდ ჯერ არ ვიცოდი სად, რომელ მხარეს დავფუძნდებოდი! დედულეთში თუ მამულეთში!..

– მეც სამეგრელოში მინდა. ერთ მცირე ეკლესიასაც ავაშენებდი მანდ...

– ჰოდა, მეც ამოგიდგებით მხარში მამა იოანე... დიდი სიამოვნებით...

– ვნახოთ... ხვალ მივდივარ დასავლეთში... ამ სახლს მერე ვაკურთხებ, რომ ჩამოვალ...

– რატომ, რომ ჩამოხვალთ?... ბარემ აქ ხართ და აკურთხეთ მამა იოიანე!

– სამოსი არ აქვს თან, – საუბარში ჩაერთო თენგო.

– მერე მის მოტანას რა უნდა? აი, ქალბატონი ელენეს მანქანით შენ და მისი მძღოლი უცებ მოიტანთ! – ვუთხარი მე.

მერე, მამა იოანეს მივუბრუნდი:

– მამა იოანე, ხომ შეიძლება ასე?!

– რატომაც არა! მართალს ამბობ, მართლაც და რა პრობლემაა, რატომ გადავდოთ?! ახლავე ვაკურთხოთ! მიუბრუნდა თენგიზს და უთხრა:

– წადი ახლავე, მოიტანე სამოსი და ქუდი არ დაგავიწყდეს. თენგო და მძღოლი წავიდნენ.

ამ დროს პაატაც შემოგვიერთდა.

– აი, პაატაც მოვიდა! – სთქვა მამა იოანემ და „შემოსწრე-ბული“ სტუმრის სადღეგრძელოც შესვა.

– როგორ ქართველივით უძღვებით სუფრას მამა იოანე! – ღიმილიანი ქებით ვუთხარი მე.

– აბა როგორ! საქართველოში მსურს ცხოვრება და ქართველი კაცივით უნდა მივყვე ადათ—წესებს! მე, მოლდაველი ვარ და ძალიან კარგად ვაფასებს ადათებს! – სიცილით მიპასუხა და მხარზე ხელი დამადო.

საუბარი და ტკბილი მოგონებები განაგრძო მამა იოანემ. კიდევ რამდენიმე სადღეგრძელო შესვა. დალოცა საქართველო და ქართველი ხალხი. მელე თენგოც მოვიდა და შემოგვიერთდა.

მე ნებართვა ვთხოვე მამა იოანეს:

– შეიძლება, მამა იოანე, სურათები გადავიღოთ მობილურით და თქვენი სადღეგრძელო ვიდეოზე ჩავენრო?!

– ციური, რა პრობლემაა! გადავიღოთ და ჩაწერე კიდევ! – დიდი სიყვარულით მიპასუხა მან.

ლალის ვთხოვე სურათები გადაეღო. მეც ვიდეოთი პატარა მონაკვეთი გადავიღე. მამა იოანემ კიდევ ერთხელ დალოცა

ოჯახი, სახლის გაყიდვა უსურვა:

– ახლა, როგორც მოსვლით გავახარეთ ჩვენი მასპინძელი, წასვლითაც ვასიამოვნოთ, რომ თავი არ მოვაბეზროთ და მუდამ სიყვარულით გვიხსენებდეს! – ხუმრობა გაურია მამა იოანემ და ყველამ გაიცინა. მერე, მამა იოანემ თენგოს მიერ მოტანილი სამოსი და ოლარი გადაიცვა, ნაკურთხი წყალი, სანთელ-საკმეველი მოითხოვა და შეუდგა სახლის კურთხევას.

სახლის კურთხევის ლოცვების კითხვისას, მამა იოანემ უცებ სთქვა:

– ნახეთ! ნახეთ! შეხედეთ – საკმეველი როგორ სვეტივით აღიმართა და თან ჭერამდე ლარივით როგორ გაიჭიმა! ნახეთ! ასეთ რამეს პირველად ვხედავ ჩემი მსახურების მანძილზე... ასე, ამ სიმაღლეზე საკმეველის კვამლი ლარივით სწორად არასდროს ასულა! აქეთ-იქით ღრუბელივით იფრქვევა ყოველთვის. ეს კი რა სასწაულია, ნახეთ!

მართლაც და ყველამ შევნიშნეთ, რომ საკმეველის კვამლი სვეტად აღმართულიყო ჭერამდე (ჩემთან 4 მეტრის სიმაღლის ჭერია) და კარგა ხანი ასე ლარივით იკმეოდა! მერე, გაღვივებულ ნახშირზე საკმეველი კვლავ დავუმატე, ახლა უკვე ჩვეულებრივად, ღრუბლებად დაიწყო კმევა და ოთახის სივრცეში განფენა. დიდება და მადლობა უფალს!

მამა იოანეს პერანგი რომ ეცვა, ზუსტად იმდაგვარი პერანგი მქონდა გერმანიიდან ჩამოტანილი. მართალი გითხრათ არც ვიცი რატომ ვიყიდე მაშინ ეს პერანგი... მას შემდეგ, აი, უკვე 4 წელია რაც აღარ ჩავსულვარ ჰაიდელბერგში და ეს პერანგიც გაუხსნელი მედო სახლში...

– მამა იოანე, აი, თქვენ რომ პერანგი გაცვიათ, თითქმის ასეთივე მაქვს, გერმანიიდან ჩამოტანილი. თუ იკადრებთ სიამოვნებით გაჩუქებთ. შეიძლება?!

– ვითომ რატომ არ შეიძლება „ციურო“?! – გამეხარდება კიდევ!

მაშინვე გამოვუტანე მამა იოანეს ის პერანგი და დიდი სიყვარულით გადავეცი.

– ვერ წარმოიდგენთ როგორ გამახარეთ!

მანაც ძალიან დიდი სიხარული გამოხატა.

– გამადლობთ, ჩემო ციურო ანგელოზო...

გამომართვა პერანგი და თავის ცელოფანში ჩადო.

მალე ყველანი აიშალნენ და წასასვლელად მოემზადნენ. ანტრესოლის კიბეებზე რომ ჩადიოდა, მომიბრუნდა და უცებ მეკითხება:

– ჩემზეც ხომ დანერ წიგნს, ისე, როგორც მამა გიორგიზე?!

მე, გაკვირვებულმა შევხედე და მივუგე...

– მამა იოანე, მამა გიორგიზე წიგნს მე ხომ არ ვწერ?...

უბრალოდ კობას და არიადნას მსურს მამა გიორგიზე მათ მიერ დანერილი წიგნების გამოცემაში მხარში ამოვუდგე, როცა ამ სახლს გავყიდი და ფინანსები მექნება...

– დანერ, დანერ... და ჩემზეც დანერე კარგი?!... – და ღიმილი შემომაფრქვია...

მე, დაბნეულმა შევხედე და მერე დაფიქრებულმა დავუმატე:

– თქვენ თუ გსურთ, აბა რას ვიზამ. დავწერ. ოღონდ მამა გიორგის წიგნების მსგავსს... – მან თბილად შემომხედა კმაყოფილი სახით. კარებთან მივიდა, გამოალო იგი და მითხრა:

– აბა, ნახვამდის! ღვთის ნებით, ჩვენ კიდევე შევხვდებით ერთმანეთს!

ხელი ჩამომართვა, გადამეხვია, მე მხარზე ვეამბორე და გარეთ გავიდა... პაატას და თენგოსაც დავემშვიდობე, კიდევე ერთხელ გადავუხადე დიდი მადლობა მათ მამა იოანეს მოყვანისთვის! უღრმესი მადლობა და მოკითხვა დავაბარე კობასთან და არიადნასთან:

– გადაეცით მათ, რომ ეს მათი დამსახურებაა! და, მე ამას შესანიშნავადა ვხვდები!

წავიდნენ. მე კი, ძალიან დიდი ემოციები დამიტოვეს... ავედი ანტრესოლზე, დავიწყე სუფრის ალაგება და ამ დროს შევნიშნე, რომ მამა იოანეს ცელოფანის პარკი დარჩენოდა, რაშიც თავისი ნივთები და ჩემი ნაჩუქარი პერანგი ეწყო. მაშინვე გადავურეკე თენგოს. მან მითხრა, რომ იცის, რადგან მამა იოანემ წასაღებად უკვე გამოაგზავნა და მალე შემოივლიდა. მართლაც მოვიდა და მამა იოანეს ნივთები წაიღო. დილით კი დამირეკა და მითხრა:

– იცით ქალბატონო ციური, მამა იოანემ დღეს თქვენი ნაჩუქარი პერანგი ჩაიცვა. ძალიან კმაყოფილია თქვენთან სტუმრობით. ასე სთქვა: – „საოცარი ადამიანიაო.“ ახლა კი უკვე დასავლეთში მივდივართ!

– რას ამბობ! როგორ გამეხარდა რომ კმაყოფილი დარჩა! ბედნიერი მგზავრობა! გადაეცი მამა იოანეს, რომ დიდი მადლიერი ვარ მისი მობრძანებით და ბედნიერი ვიქნები მისი კვლავ სტუმრობითაც!

– აუცილებლად გადავცემ! ნახვამდის!

– ნახვამდის! კეთილი მგზავრობა!

იმ საღამოს თვალი არ მომიხუჭავს... ვიცოდი რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა ჩემს ცხოვრებაში... მაგრამ რა, ჯერ ვერ ვაცნობიერებდი. მერე ანასტასია წარმომიდგა თვალწინ და მაშინვე წერილობით „გავესაუბრე“:

– ანასტასია, დაიკო! დიდი მადლობა! შენ გუშინ მოისმინე ჩემი შენდამი თხოვნა და დღეს უდიდესი წმიდანი თავისი ფეხით მოიყვანე ჩემს სახლში! ჩემო დაიკო, მან აკურთხა სახლი!... დამლოცა! დღის 3 საათიდან საღამოს 10 სთ-მდე იყო ჩემთან და ბევრი გვესაუბრა! რუსეთის უდიდესი ბერია! სალოსი! შენ მე, ისევე როგორც ვლადიმირ ნიკოლოზის-ძეს თავის დროზე რუსეთის უდიდესი ბერი მამა თეოდორიტი შეახვედრე, ასევე მეც, ჩემი ქვეყნის უდიდეს მოძღვართ-მოძღვარს მამა გიორგის შემახვედრე! რითიც უდიდესი ბედნიერება მომანიჭე! შენ რომ არა, მე ეს ბედნიერება არ მენვოდა!

ახლა კი, რუსეთის უდიდესი სალოსი ბერი მამა იოანე თავად, საკუთარი ფეხით მოიყვანე ჩემს სახლში, რომელსაც თურმე საქართველოში დამკვიდრება და ცხოვრება სურს! და დაალოცინე ჩემი თავი!

ძალიან მიყვარხარ ჩემო დაიკო! დიდი მადლობა ასე ქმედითად და თვალნათლივ რომ მიდგახარ გვერდში! მე და ვარ შენი! ქართველი და! ციური გარუჩავა! ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს! მე ისე ძალიან მსურს ეს!

10.11.2010 წ. ოთხშაბათი. ღამის 11 სთ-ი

11.11.2010 წ. ხუთშაბათი. დღის 8.45 წთ.

მილით ავდექი თუ არა, მაშინვე კვლავ ანასტასიას მივმართე:

– ანასტასია! ჩემო საყვარელო დაიკო! დიდი მადლობა! დიდი მადლობა თანადგომისთვის! დიდი მადლობა ჩემო დაიკო! მე ვიცი, მამა იოანეს ჩემთან სტუმრობა ესეც შენი „ნიშანია“! ბედნიერი ვარ, რომ მაქვს უფლება შენს დად ვინოდებოდე, ჩემო ანასტასია!

ოღონდ ეს სახლი გავყიდო რაც შეიძლება ძვირად, რომ პირადი საარსებო წყარო შევქმნა, საგვარეულო მამულო დავაფუძნო და აი, ნახავ,– მე შენ აუცილებლად გნახავ! მე ასე მსურს! შენ ჩემი და ხარ! ორი ყვავილი გვერდიგვერდ იხარებს დედამინაზე ყოველთვის – ანასტასია და ციური! Анастасия, благодарствую Тебя, Моя Сестричка!!

ციური გარუჩავა

17.11.2010 წ.

ნატომლაც ავდექი თუ არა, მამა იოანე გამახსენდა და მასზე რასაც ვფიქრობდი, იმის დაწერა მომესურვა... ჰოდა, მივუჯექი სანერ მაგიდას და წერა დავიწყე:

– „ღვთის ნებითა და ძალით იგი გამოგზავნილია დედამინაზე და მზად არის დედამინაზე მცხოვრებ ყოველ ადამიანს საკუთარი დიადი ენერგია აჩუქოს და გახადოს მისი ცხოვრება მარადიულ სიყვარულში „არსებული“ – აი ამ სტრიქონებს ვწერდი, ზაზამ რომ შამგონადან დამირეკა, მომიკითხა, მომიყვა მამა იონეს მიერ ზუგდიდში მოხდენილი სასწაული.

თავის უმძიმესი ტრამვა მიღებული ახალგაზრდა ბიჭი, თურმე უკვე მომაკვდავი იწვა სახლში. მამა იოანეს მანსპინძელთან, ვისთანაც იგი ცხოვრობდა, მისულან იმ ბიჭის მშობლები და უთხოვიათ, რომ მამა იოანეს იქნებ ენახა მათი ვაჟი და დაელოცა...

მასპინძელს უთქვამს მამა იოანესთვის იმ ბიჭის მშობლების სტუმრობისა და თხოვნის ამბავი. მამა იოანე დათანხმებულა ბიჭის მონახულებაზე და მასპინძელს გაჰყვა იმ ოჯახში, სადაც ის მომაკვდავი ვაჟი იმყოფებოდა. როცა სარეცელში მწოლიარესთვის დაუხედავს, თურმე თავის მასპინძელს მიუბრუნდა და უთქვამს, რომ იგი ერთი დღე დაეტოვებინათ ამ ბიჭთან.

მამა იოანე დარჩენილა. მეორე დღეს მამა იოანეს მანსპინძელს წამოსაყვანად რომ მიუკითხავს, მამა იოანეს დარჩენა კიდევ ორი დღე უთხოვია. მოკლედ, იგი ამ ბიჭის სასთუმალთან დაჩოქილი სამი დღე და ღამე ლოცულობდა.

მესამე დღეს, როცა მასპინძელი კვლავ მივიდა მამა იოანეს წამოსაყვანად, ეზოს ჭიშკარი იმ მომაკვდავ ბიჭს გაუღია... ეს კაცი სახტად დარჩენილა და უკითხავს, მამა იოანე სად არისო?! ბიჭს უთქვამს, მამა იოანე ცოტა შეუძლოდა და ტახტზეა წამოწოლილიო... ოთახში რომ შესულან, მართლაც მამა იოანე ტახტზე იწვა და ძალიან ცუდად გამოიყურებოდა... მამა იოანეს მასპინძელს შეშინებია და სასწრაფოსთვის გამოუძახია. ექიმმა

მისი მდგომარეობა ძალზედ მძიმედ შეაფასა. სურდა ნემსის გაკეთება, მაგრამ მამა იოანემ ნემსი არ გააკეთებინა, უთქვამს:

– არ გამიკეთოთ, ჩემთვის ნემსის გაკეთება არ შეიძლება!

მაშინ მისმა მასპიძელმა იმ ადამიანებს გადაურეკა, ვინც მამა იოანე მასთან მიიყვანა სტუმრად. მათ უთხრეს:

– შენ არ შეშინდე. როცა ავადმყოფის გადასარჩენად ლოცულობს ეგ ეგრე ხდება ხოლმე... ნემსი ექიმს არ გააკეთებინოთ, თვითონვე გამოვა მდგომარეობიდან.

მართლაც მამა იოანე ცოტა მომჯობინდა და იმ ავადმყოფ ბიჭს უთხრა, რომ „მისი სიმსივნე მასში გადმოვიდა“...

როცა მისი მასპიძლის სახლში დაბრუნებულა, სამი დღე გაუნძრევლად იწვა და არავის და არაფერს ლებულობდა. მეოთხე დღეს თავად გამოსულა ოთახიდან და გამოუცხადებია, რომ სასმელს მეტს აღარ დალევა.

– მე ხომ კაცი ვარ! და თავს როგორ ვერ უნდა ვაჯობო!

ჰოდა, იმ დღიდან სასმელის დალევა მიუტოვებია.

რამოდენიმე დღით ზაზასთან წამოსულა სახლში და იქ დარჩენილა.

ერთ დღით მამა იოანეს ზაზასთვის უთქვამს, რომ ორი ეშმაკი, ქალი და კაცი მისულა მასთან პიტერიდან. ერთი, კაცი მეუბნებაო:

– შემომიშვი შენს მარცხენა მხარეს! მერე ქალმაც იგივე მითხრა...

მე ვეუბნები:

– არა გრცხვენიათ?! თავი დამანებეთ, რას შემომიჩნდით?!... თქვენი დრო მალე წავა, უკვე მეორედ მოსვლა მოახლოებულია და არ გეშინიათ სამუდამო ჯოჯოხეთი რომ გელით?! მეორემ მითხრა:

– ჩვენ ახლაც კარგად ვართ!

ეს მითხრეს და მერე წავიდნენ...

ზაზა ძალიან გაკვირვებული იყო:

– ჩვენ აქ ვირთხები არ გყავს და ამის ოთახში საიდან უნდა გაჩენილიყვნენ!..

მე კი მივუგე:

– ზაზა, შენ არ ინერვიულო, როგორც სჩანს მას ხილვა ჰქონდა და ეგ ამბავი მოგიყვა...

მერე ზაზას ისიც ვუთხარი, რომ სასმელი ბევრი არ დაეძალე-ბინათ და გაესეირნებინათ.

– ჰო, დღეს ზღვაზე მიგვყავს და მერე ენგურზე უნდა გავი-დეთ სათევზაოდ... ძალიან უხარია...

ამ დროს მამა იოანემ ჰკითხა:

– ვის ელაპარაკები?

– ციურის, მამა იოანე, ხომ არ გინდა დაგალაპარაკო?

– რატომაც არა!

და, ზაზამ ყურმილი გადასცა. მამა იოანე დამელაპარაკა:

– АНАСТАСИУШКА, ну как ты. Я в шоке от Твоего приёма, от Твоего тепла! Я уже написал письмо М.С. _ на счёт моего гражданства. И ещё, попросил Патриарха чтобы принял меня. Если Он примет с Божьей помощью, _ Мы уже начнём дела делать! Мы с Тобой встретимся! Спасибо Тебе!

მე ვუთხარი:

– Отец Иоанн! Наоборот! Огромное спасибо Вам, что поделились со мной! Я думаю, Миша не должен отказать Вам в Вашей просьбе, но если он не исполнит его, то ему не сдобровать... значит он тогда не поймёт какая участь его ждёт... А что касается нашего Патриарха, с Божьей помощью конечно встретитесь! Вы сейчас как чувствуете Себя? Постарайтесь много не пить. Берегите здоровье...

– Слушаюсь и повинуюсь Моя Госпожа, Моя АНАСТАСИУШКА!

გემრიელად გაიცინა და ყურმილი კვლავ ზაზას გადასცა:

– ჰო, ციური, მოკლედ მივდივართ ახლა და მერე დაგირეკავ. მოგიყვები მისი შთაბეჭდილებების შესახებ.

– კარგი ზაზა. აბა, შენ იცი. გაუფრთხილდი მაგ ადამიანს. შენ კიდევ აზრზე არ ხარ რა დიდებული ბერი გყავს სტუმრად!

– ვიცი, ვიცი... აბა, სალამომდე.

გაოგნებულმა დავკიდე ყურმილი... დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი მამა იოანეს საუბრის შემდგომ!...

გამახსენდა მამა გიორგის ნათქვამი: „საქართველოს ბოლო ჟამს ძალიან დიდი სალოსი ეყოლება, რომელსაც თვით მეფის „შეფუცხუნების“ უფლება ექნება“! (ფეხითმოსიარულე III. გვ 109.)

დიდება უფალს! დიდება შენ მამა გიორგი! ჩემო ყველაზე საყვარელო ბერი-კაცო!!! დიდო ნმიდანო!!!!

დიდება შენ, მამა იოანე! დიდება და მადლობა უფალს თქვენი გაცნობისთვის!

17.11.2010 წ.

მამა გიორგის ნათქვამი იოანეზე

ნაც უნდა ის ეძახონ იოანეს რუსეთში, ვინადაც უნდათ იმად ჩათვალონ მოკვდავებმა იოანე, ის ღმერთის რჩეულია და ღმერთია მისი წარმმართველი!... და შემთხვევითი როდია, რომ ღმერთმა სწორედ ქართველებს გააცნო ის. ქართველს გაუხსნა ეს დიდი წინასწარმეტყველი, როცა ის ლოთი და სულელი ჰგონიათ იერარქებს. ამიტომ ქართველებს ევალებათ მისი პატივისცემა და დაფასება.

დრო მოვა, როცა მასზე ალაპარაკდება მთელი რუსეთი, მაგრამ პირველად ეს ჩვენ გვეკუთვნის. **იოანე მსოფლიო დონის პიროვნება!**

მე იოანეზე მოყოლა რაში მჭირდება, მე ვიცნობ მას. მე მასზე იმიტომ მოვაცოლე (თვალით იაკობისკენ მიანიშნა), რომ ეს თქვენ მოგესმინათ. ეს ცოცხალი რწმენაა, ეს თანამედროვე ამბავია, ეს ღმერთის გამოვლენის სასწაულია ჩვენს დროში. ეს ის არის, რასაც ეძებდით და ვერ პოულობდით, ამაზე არავინ გიყვებოდათ, რადგან არ იცნობდნენ ასეთებს...


იოანეს სდევნიან, როგორც გაბრიელს სდევნიდნენ. მაგრამ ხალხის აღიარება არის ჯილდო ღმერთიდან.

უნდა დაიწეროს მასზე, რომ გაიგონ, ვინ ჰყავთ. იოანე ჩამოვა საქართველოში, ეს ნანახი მაქვს.“

ფეხითმოსიარულე III

მეოთხე შეხვედრა ძამა გიორგისთან ჭოგნარში

30.12.2010 წ. ხუთშაბათი

ალი იყო ჩემთან მოსული შაბათს. ვუთხარი, რომ ძალიან მინდოდა მამა გიორგისთან წასვლა და ალბათ ხუთშაბათს წავიდოდი...

ლალიმ მიპასუხა:

– მეც ძალიან მსურს მამა გიორგის ნახვა. ჩემს ძმას დავ-ელაპარაკები და თუ ის დაჯდა საჭესთან, მაშინ ერთად წავიდე ჩემი მანქანით. უბრალოდ, ამხელა გზაზე საჭესთან ჯდომას მარტო ვერ გავრისკავ...

– რას ამბობ! შენ თუ წამოხვალ, მაგას რა სჯობს! შენი ძმისთვისაც კარგი იქნება. ეხუმრებით, ამხელა წმიდანს უნდა შეხვდეთ! ეს რა კარგად მოიფიქრე! წამოდით, წამოდით. ასეთი შემთხვევა შეიძლება არც მოგეცეთ.

მოკლედ, ლალი მოელაპარაკა თავის ძმას და გადაწყდა. ხუთშაბათს დილის 8 საათზე გამომივლიდნენ აბანოთუბანში და გავემგზავრებოდით მამა გიორგისთან ჭოგნარში.

პირადად მე, მამა გიორგისთან მადლიერების გამოსახატავად მივდიოდი, რადგან მისი ლოცვა-კურთხევით ჩემი თარგმანები წარმატებულად გამოვეცი.

სულ პირველად რომ მომცა ლოცვა-კურთხევა, მაშინ სრულიად უცნობი ყმანვილი კაცი, მეფუტკრე სოფელ შამგონადან, ზაზა ხუბუა მოულოდნელად გამოჩნდა და მისი ფინანსური თანადგომით გამოვეცი დიდებული ციმბირელი განდეგილის - ანასტასიას ჯერ 3 წიგნი და შემდეგ კიდევ 2 წიგნი! ახლა ზუსტად ეს 5 წიგნი მიმქონდა მამა გიორგისთან და მსურდა, ჩემი მადლიერება პირადად გამომეხატა ამ დიდებული ბერისა და მოძღვრის მიმართ! **წიგნებში გადმოცემულია ანასტასიას მსოფლმხედველობა და რჩევები, თუ როგორ უნდა დაიბრუნონ ადამიანებმა სამყაროსეული ის ცოდნა, რომელიც ღმერთმა მისცა**

უნგაროდ ადამიანებს და რითიც ისინი კვლავ დაიბრუნებენ ადამიანის თვისებებსა და ცხოვრების ნირს, შესაბამისად ღვთის იერსა და სახეს! წიგნში გადმოცემული ცხოვრების, სიცოცხლისა და ბავშვების აღზრდის ფილოსოფია ანასტასიას პირადი ცხოვრების მაგალითებითაა გაჯერებული და შესაბამისად, დედამიწაზე ღვთიური კანონების კვლავ დამკვიდრებისკენ მიუთითებს, რომელსაც კაცობრიობა უკვე ათასწლეულებია ასცდა და სრულიად საპირისპირო, - ტექნოკრატულ გზაზე დამდგარი, რასაც უცილობელი კატასტროფისკენ მიჰყავს იგი!

გამოსაცემი დამრჩა მე-6, მე-7, მე-8/1. მე-8/2 და მე-10 წიგნები, რომლებსაც ეჭვი არ მეპარება ღვთის შენევნით, ანასტასიას თანადგომით, მამა გიორგის ლოცვა-კურთხევით და კეთილი, ნათლის ადამიანების მეშვეობით აუცილებლად გამოვცემ 2011 წელს.

ამჯერად, თავად გამომცემლობის მფლობელმა დათო დოლუაშვილმა საკუთარი სახსრებით დამიბეჭდა და შევთანხმდით, რომ იგი ჩააბარებდა სარეალიზაციოდ წიგნების მაღაზიებში და თანხას ასე ამოიღებდა. მე სიხარულით ცას ვენიე! მივხვდი, რომ ესეც მამა გიორგის „ჩანყობილი“ იყო! დიდება და მადლობა უფალს, რომ ასეთი დიდებული ბერი, უდიდესი წმიდანი გამომიგზავნა შემწედ!!! დიდი მადლობა, მამა გიორგის!

შესანიშნავად ვიმგზავრეთ. ვანო ძალიან დინჯი, თბილი და ყურადღებიანი მძლოლი აღმოჩნდა. გზაშიც, ეს კახელი ბიჭი „შესაშური“ იუმორით გვართობდა...

ჩავედით ჭოგნარში. ეკლესიასთან რომ მივედით, ვანომ მანქანა შეაჩერა და იქვე ძელ—სკამზე ჩამომსხდარ სოფლის მამაკაცებს მიმართა:

– მამა გიორგის სახლს ხომ ვერ მიმასწავლით ახალგაზრდებო?

– მამა გიორგი სახლში არ არის... დღეს მეზობლის გასვენებაა და იქ იქნება...

მართლაც, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიუყვებოდა სოფლის ორლობეს...

დავიბენით. აღარ ვიცოდით, როგორ მოვექცეულიყავით.

ვანომ გვითხრა:

– მოდი, მაინც მივიდეთ სახლთან და იქ, იქნებ მისმა ოჯახის რომელიმე წევრმა გვითხრას, რამდენ ხანში დაბრუნდება...

– მივიდეთ, მაგრამ ალბათ გვიან დაბრუნდება... ქელესს ხომ უნდა დაესწროს...– ჩაფიქრებულმა ჩავილაპარაკე.

– მაინც ჩავიდეთ, – ახლა, ლალიმაც სთქვა თავისი აზრი: – იქნებ გავიგოთ რამე...

მოკლედ, დავეშვით დაბლა და მივადექით მამა გიორგის სახლის ქიშკარს. ცოტა ხანი ვიდექით... მალე ეზოს სიღრმიდან ქალმა გამოგვძახა:

– მამა გიორგისთან თუ ხართ, დღეს არ იქნება. გასვენებაშია ნასული და სახლში გვიან დაბრუნდება.

რა უნდა გვექნა. უკან გამოვბრუნდით. ეკლესიას რომ გავუსწორდით, ვანომ მანქანა შეაჩერა და ჩემსკენ მობრუნდა:

– ქალბატონო ციური, იქნებ გასვენებაში მივიდეთ...

– რას ამბობ ვანო! ეგ როგორ შეიძლება. უხერხულია!.. რა უნდა ვუთხრა ადამიანს:– შენთან ვართ და, მოგვაქციე ახლა ყურადღებო?!... არა, ბავშვებო. რა გაენყობა. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ უკან უნდა გავბრუნდეთ...

– მოიცა, ერთი კიდევ ჩავიდეთ და ვიკითხოთ, მაინც როდის მოვა სახლში – სთქვა ვანომ. მანქანა მოაბრუნა და კვლავ მამა გიორგის ქიშკარს მიადგა. ქიშკართან კრემისფერი ჯიპით მოსულიყო ვიღაც.

– ეტყობა, ჩვენსავით კიდევ ვიღაცა მოსულა... მოდი დაველოდოთ, იქნებ რამე ამბავი „გამოიტანოს“– ვთქვი მე და ვანომაც ჯიპს შორიახლოს მიუყენა მანქანა და მძღოლის გამოსვლას დაველოდეთ.

ცოტა ხანში ვიღაც ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, ჩაჯდა ჯიპში, მოაბრუნა იგი და ის იყო გვერდი უნდა აევლო ჩვენთვის, რომ მანქანა შეაჩერა და გვკითხა:

– მამა გიორგის ელოდებით?!

– დიახ,- გავეპასუხე მე და თან მანქანიდან გადმოვედი.

- საიდან ხართ, თბილისიდან?...
- დიახ, თბილისიდან ჩამოვედით.– მყისვე დავეუდასტურე.
- იცით, მე ახლა გასვენებაში მივდივარ და მამა გიორგის გადავცემ რომ ელოდებით. თქვენ დაიცადეთ. რასაც მეტყვის, დაგირეკავთ და გეტყვით... ჩემი მობილურის ნომერიც ჩაინერეთ და ერთ 15 წუთში გადმომირეკეთ...
- დიდი მადლობა, გენაცვალე, ასეთი ყურადღებისთვის. აბა მიკარნახეთ თქვენი მობილის ნომერი...
- არაფრის. ჩაინერეთ, – და ნომერი მიკარნახა.
- უკაცრავად, იქნებ თქვენი სახელიც მითხრათ – მივმართე მე.
- მე, მერაბი ვარ, მისი ძმის შვილი...
- სასიამოვნოა... – და გაკვირვებულმა შევხედე... თან მის მობილზე გადავრეკე და ვუთხარი:
- ეს ჩემი ნომერია, ჩაწერა აღარ დაგჭირდებათ...
- კარგით. დაგირეკავთ.
- აი, ხომ ვთქვი... – გვითხრა ვანომ, – რა კარგი ვქენით რომ ისევ სახლთან მოვედით...
- კარგი ბიჭი ხარ! – რა გვეშვებოდა ვანოს გარეშე, არა ლალი?! – და გულიანად გავიცინე.
- ჩვენ უკვე „მოვემზადეთ“ იმისთვის, რომ ალბათ მინიმუმ ორი-სამი საათის ლოდინი მაინც დაგვჭირდებოდა... და მე კვლავ მანქანაში ჩავჯექი.
- არ გასულა თხუთმეტი-ოცი წუთი, რომ ჯიპი ჩვენი მანქანის წინ გაჩერდა და უცებ მამა გიორგი ანაფორის ფრიალით გადმოვიდა მანქანიდან, ჯიპის კარები მიაჯახუნა და ჩვენს მანქანას არწივივით გადმოხედა.
- მეც იმ წამსვე კი არ გადმოვედი, „გადმოვფრინდი“ მანქანიდან და მონუსხულივით დავდექი:
- რაშია საქმე, რამ მოგიყვანათ ამხელა გზაზე? – მკაცრად იკითხა და ძალიან ყურადღებით დამაკვირდა.
- მამა გიორგი, ისე, თქვენს სანახავად ჩამოვედი... მადლობის სათქმელად...

ეს ვთქვი თუ არა სახე მოუღბა:

– აქეთ მოდით, შევიდეთ სახლში, ქუჩაში ხომ არ დავდგებით! – გვითხრა.

ჭიშკართან შეჩერდა, დაგველოდა, სანამ სამივე მივუახლოვდებოდით, მერე გამოალო იგი და წინ გაგვიძღვა. მერაბმა ამასობაში მანქანა დაქოქა და უკან გაბრუნდა.

– აი, ეს ხე, – და ხელი მარცხენა მხარეს გაიშვირა, – ტოტებჩამოსხეპილი რომაა, ამერიკის ხნისაა... სამასი წლის! ხელოსნებს მისი მოჭრა უნდოდათ და მე არ დავანებე... ამათ სახლს ვარემონტებინებთ... იფიქრეს, უკვე ხმებაო და... ვინ ეკითხებოდათ ნეტა მის მოჭრას!.. – უკვე თავისთვის ჩაილაპარაკა მან

ამასობაში, პირველი სართულის შესასვლელს მივადექით. ერთი ქალი გამოგვეგება, მობრძანდითო გვითხრა და შუშაბანდში შეგვიძღვა. მამა გიორგიმ პირველი სართულის კარებამდე რომ მიგვიყანა, თავად კვლავ უკან ეზოსკენ გაბრუნდა.

ჩვენ შუშაბანდში შევედით. შესასვლელის გვერდით მდგარ მაგიდაზე, ჩამოტანილი ნობათი დავანყვეთ...

ქალმა, რომელიც შუშაბანდში შეგვიძღვა გვითხრა:

– ზალაში შებრძანდით... იქ დაელოდეთ...

ჩვენც შევედით. ოთახის შუაში დიდი ოვალური მაგიდა იდგა, გარეშემო სკამებით შემოწყობილი. მარჯვნივ, კედელთან უკვე ნაძვისხე იყო განწყობილი და მარცხნივ ჭურჭლის ვიტრინიანი კარადა იდგა. მე და ვანო სკამებზე დავსხედით, რამოდენიმე წუთში ლალიც შემოვიდა და ისიც ვანოს გვერდით დაჯდა. დაახლოებით შეიდ ათ წუთში მამა გიორგიც შემოვიდა. ჩვენ სამივენი ფეხზე წამოვდექით.

– რას დგებით, დასხედით! – გვითხრა და ჩემს გვერდით, ოდნავ მოშორებით მარცხენა მხარეს დავგიჯდა. ვანო და ლალი კი მის პირდაპირ ისხდნენ.

მამა გიორგი მდუმარედ შემოგვცქეროდა. უხერხული დუმილი მე დავარღვიე, ხუთივე წიგნი ამოვიღე ჩანთიდან, მივანოდე მამა გიორგის და ვუთხარი:

– აი, მამა გიორგი. ხუთივე წიგნი უკვე გამოვეცი. ეს ყვე-

ლაფერი თქვენი ლოცვა-კურთხევით შევიძელი... არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი მადლიერება, თქვენ რომ არა, მე ამას ვერ მოვახერხებდი... უღრმესი მადლობა, ჩემო მამა გიორგი! მე ვიცი, თქვენ უდიდესი ძალა და ენერჯია გაქვთ... უდიდესი მოძღვარი ბრძანდებით...

მან წიგნები ჩამომართვა. წინ დაიწყო, ხელები სათუთად გადაუსვა და მშვიდად მითხრა:

– მადლობთ საჩუქრისთვის...

ჭერს გახედა, მერე ჩვენსკენ გამოიხედა, სამივეს თვალი შეგვავლო... დუმდა... რამოდენიმე ხანს ყველანი ვდუმდით და კარგა ხანს ასე ჩუმად ვისხედით...

უსერხული სიჩუმე ჩამოწვა... კვლავ მე დავარღვიე იგი და მამა გიორგის მივმართე:

– აი, ეს ახალგაზრდები დალოცე მამა გიორგი, და—ძმია და ორივე დაუქორწინებელია... – გავიციინე... – იქნებ თქვენმა ლოცვა-კურთხევამ უშველოთ და მშობლები მაინც გაახარონ თავიანთი ოჯახების შექმნით...

მამა გიორგიმ ორთავეს გადახედა და ღიმილით უთხრა:

– რავა, ვერ ნახეთ თქვენი შესაფერი, თუ რაშია საქმე...

მერე, კვლავ ჩემს მიერ მირთმეულ წიგნებს დახედა, ხან ხელებზე დაიხედა, ხან სივრცეს გახედა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს...

მერე უცებ ვანოს შეხედა და ეუბნება:

– სამი წლით ჯარში წავედი. აქ ერთი გოგო დავტოვე, რომელიც მიყვარდა. მაგრამ ჯარში მსახურება 5 წელი გამიგრძელდა... და, როცა ჩამოვედი, ის გოგო გათხოვილი დამიხვდა. მე მაშინ ხუთჭიდელი ვიყავი. ჯანიც მქონდა... ჰოდა გადავწყვიტე, მისი ქმარი მენახა და გამელახა... მაგის მონაცემები კი მქონდა, მაგარი სპორტსმენი ვიყავი... მაგრამ ვიფიქრე, რომ ეს საქმე ამაღ არ ღირდა... და შევეშვი ამ ამბავს... აი, ამის შემდეგ გადავწყვიტე ეკლესიაში წასვლა და შევუდექი კიდეც ბერობის გზას...

მამა გიორგი კვლავ გაჩუმდა... ამ დროს ლაღიმ ჰკითხა:

– რა ვქნა, მამაო, ეკლესიაში დავდივარ, ოღონდ ხშირად ვერა. ვმსახურობ, მაგრამ ვცდილობ, როგორც შემძლია ადამიანებისთვის სიკეთე ვაკეთო... მითხარით, რამდენჯერ არის აუცილებელი ეკლესიაში რომ მივიდე?

მამა გიორგიმ უპასუხა:

– ჩვენც მაგისტვის ვცხოვრობთ, – სიკეთისთვის და სიყვარულისთვის! ჩვენც ვცდილობთ ხალხს ვემსახუროთ. იცი, რას გეტყვი ბაბუ, – ღმერთმა ასე სთქვა: 7 დღიდან ერთი მე დამითმეო! ჰოდა კვირაში ერთხელ, კვირა დღეს თუ მაინც მიხვალ ეკლესიაში, შენთვის იქნება კარგი...

მერე ცოტა დაფიქრდა და რატომღაც მისი მისამართით ჩაილაპარაკა:

– ხელიდან არ გაუშვა...

კვლავ გაჩემდა. ჩემს წიგნებს, რომელიც წინ აკურატულდ ედო, ხელი კვლავ სათუთად გადაუსვა და გვითხრა:

– ერთი პირჯვრის გულწრფელად გადანერა ნიშნავს, – რომ სამი დღე ეშმაკი ვერ მოგეკარება!

მერე მე მომიბრუნდა და მოულოდნელად მომმართა:

– რა კარგი ქუდი გახურავს!...

– რას ამბობთ, მამა გიორგი! მართლა მოგეწონათ?!...

მაშინვე მოვიხადე და დარცხვენილმა ღიმილით ვუთხარი:

– თქვენ ასეთს რომ იხურავდეთ, სიამოვნებით გაჩუქებდით!..

– არ მოიხადო კაცო!

ეს სთქვა და იმავე წამს თავადაც მოიხადა ქუდი. თითქოს ჩემს „დასანახად“ ხელში შეატრილ-შემოატრიალა და ღიმილით მითხრა:

– მე ჩემი ქუდი მაქვს! – შენ კი დაიხურე ეგ ქუდი. ძალიან გიხდება!

მერე ჯიქურ შემაცქერდა. თვალი თვალში გამიყარა და რატომღაც ორივემ ერთდროულად ჩვენ-ჩვენი ქუდეები დავიხურეთ.

მე თავი დავხარე...

ცოტა ხანს კვლავ დუმილი ჩამოწვა. ზემოთა სართულზე

ვილაცეები უსაშველოდ აბრახუნებდნენ. როგორც სჩანს, ხელოსნები რალაცას დიდი მონდომებით აჭედებდნენ. მამა გიორგიმ შემამჩნია, რომ ეს ბრახუნი არ მსიამოვნებდა და ზოგადად სთქვა:

– როგორ გიშლით ხელს ეს ბრახუნი ხომ?!... რემონტს აკეთებენ, – თითქოს მოიბოდიშაო ისე გვითხრა, – ჰოდა... უკვე რამდენი ხანია მეც ასე მიწევს მოთმენა...

მამა გიორგიმ ბევრი საყურადღებო რამ გვითხრა და მინიმუმ ნებებიც მოგვცა...

მერე კვლავ მე მომიბრუნდა:

– ერთ რამეს გაგიმხელ ბაბუ, ხუთი ნამდვილია საქართველოში და ხუთიც მსოფლიოში...

მისი მხრიდან ჩემდამი ასეთმა ნდობამ და პატივმა სიხარული მომგვარა, აღფრთოვანებაც ვერ დავმალე და ვკითხე:

- მართლა გამიმხელთ მამა გიორგი?!.. თქვენს წიგნში კობას და არიადნას ეუბნებით, რომ 7 წმიდანიაო... მემ 5-ს გამიმხელთ? ჩამოგვითვალეთ რა?..

მამა გიორგის ჩემს აღფრთოვანებაზე გაელიმა და ჩამოთვლა დაიწყო:

– ხუთი ნამდვილია: უწმიდესი ილია II, მამა გიორგი (ბასილაძე), ცხინვალის ეპისკოპოსი ისაია, ერთი ბაბუ, ერის ქალია, რომელსაც ჯვრის ტარების უფლება აქვს...

და ის იყო მეხუთეც უნდა დაესახელებინა, რომ ამ დროს მეორე სართულზე კვლავ ყურის გამაყრუებელი ბრახუნი ატყდა და მამა გიორგიმ კვლავ წუხილით აღნიშნა:

– დღეს მაინც რა გამეტებულად ურტყამენ, კაცო!.. და მე, თითქოს დარცხვენილმა, მობოდიშებით გადმომხედა:

– არა უშავს, მამა გიორგი... მორჩებიან, აბა რას იზამენ! რემონტის დროს ყველგან ასეთი ხმაურია...

– ჰო... მართალია... რემონტი ხმაურის გარეშე არ ხდება...

მერე მამა გიორგიმ კვლავ განაგრძო:

– ნამდვილია რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. მეოთხე საფეხურის მასონია ედუარდ შევარდნაძე. მიშა სააკაშვილიც მასონია...

ცოტა ხანი კვლავ გაჩუმდა და მერე განაგრძო:

– მამა იოანე ციგანია... – და თან გულიანად გაიცინა.

ცოტა ხნით კვლავ დუმილი ჩამონვა. მე ამით ვისარგებლე და ვუთხარი:

– მამა გიორგი, სახლს რომ გავყიდი, იქნებ აქ, ჭოგნარში სადმე ვიყიდო კარ-მიდამო, თქვენს გვერდით და აქ დავაფუძნებ იმას, რაც მსურს რომ სოფლად დავაფუძნო...

მამა გიორგიმ არწივივით შემომანათა თვალები და ცოტა დატუქსვის ტონით, მაგრამ თბილი ღიმილით მომმართა:

– აქ რა გინდა, ჭოგნარში, შენი ფესვები, მამა-პაპა საიდან-აცაა, იქ უნდა დასახლდე და იქ დამკვიდრდე.

მერე დაფიქრებულმა მითხრა:

– ჰო... ბინის გაყიდვა ძნელია... მაგრამ თუ ასე ძალიან გინდა ერთი დააკელი და გაიყიდება...

– ჰო, ძალიან მინდა, იცით თქვენ რისთვისაც მინდა... – გულჩათხრობილმა ვუთხარი მე.

მასხოვს, წინა ჩასვლაზეც მსგავსი რამ მითხრა:

– რახან ვერ ყიდი, მაშინ მთავრობას აჩუქე, – თან ეშმაკურად შემომხედა და გაიცინა.

მე კი განანყენებულმა მივუგე:

– რატომ უნდა ვაჩუქო! ეგენი ჩემგან ამას სულაც არ იმსახურებენ!...

– მაშინ ლატარეის ბილეთი იყიდე.

– მერე მე ლატარეაში არასდროს რომ არაფერი მომიგია, ახლა რა უნდა მოვიგო...

– რაა, 100 000 არ გეყოფა?!...

მე გაკვირვებულმა შევხედე და ვუპასუხე:

– თუ მოვიგე, როგორ არ მეყოფა?!

– ჰოდა იყიდე და შეავსე!

მერე კვლავ სხვა თემაზე გადავიდა:

– უყურეთ ტელევიზორში სააკაშვილმა ილია II დააჯილდოვა და ედიკამ რომ მიშას უთხრა „გადადექო“?... თავისი შვილისთვის უნდა!... მეექვსეც გამოვა, მეშვიდეც გამოვა, მერვეც! –

ორ-ნახევარი ღირს თუ ორი ნახევარი.

უცებ მომიბრუნდა და მკითხა:

– თბილისში შენ სად გაქვს სახლი?!

– ცენტრში. – ვუპასუხე მყისვე.

– მე ცენტრი რუსთაველზე ვიცი! – და გაიცინა... 30 წლის წინ, ჩემმა სიძემ ზუგდიდში თავისი სახლი ეზო-კარით გაყიდა. 200 000 იშოვნა და მერე 70 ათასი ვალეებში წაუვიდა. 53ა მთავრობისგან თავისი ფერმებით აიღო. დანარჩენით რემონტებს აკეთებს და კიდევ ბინა იყიდა ქუთაისში...

კვლავ სიჩუმე ჩამოწვა... მერე, მამა გიორგიმ თავისი რვეული გადმოიღო და ლალის და მისი ძმის, ვანოს გვარ-სახელი ჩაიწერა. მათი მშობლებიც ჩაწერა.

ამ დროს, რატომღაც მორიდებით ვკითხე:

– მამა გიორგი, შვილი და შვილიშვილი შეიძლება ჩაგანერინოთ?

მას არ შემოუხედავს ისე, – მკაცრად მიპასუხა:

– არ შეიძლება!

მერე თავი ასწია, ვანოს და ლალის შეხედა, თითქოს მოიბოდიშაო ისე, რბილად დაურთო:

– როცა ადამიანი ფიზიკურად ჩემთან არ არის და სახეებს ვერ ვხედავ, – მათ სახელებს არ ვინერ...

თავისი დავთარი დახურა. იქვე დადო. წამოდგა, მაგიდას შემოუარა, ჩემსკენ წამოვიდა და სიცილით მითხრა:

– შვილი და შვილიშვილი გყოლია და ბინას უყიდი?

მე კი, ცოტა მტკიცედ მივუგე:

– ჰო, მინდა გავყიდო... ასეა საჭირო, თორემ მე მათ არაფერსაც არ ვუყიდი...

მამა გიორგიმ დავთარი თაროზე ჩამოდო და თავად კვლავ მაგიდას მიუჯდა...

მე ფიქრებში ვიყავი წასული... სანამ მამა გიორგის ჭიშკართან ველოდებოდით, ეზოში პატარა ბავშვები თამაშობდნენ და უცებ გამახსენდა რომ მათთვის კანფეტები არ მქონდა და ვინანე... პორტმანში აჩიკოს, ჩემი შვილიშვილის მოცემული ოც

ევროიანი მედო, რომელსაც უკვე აი, რამდენი წელია ვინახავდი და ძალიან მომინდა მამა გიორგისთვის ეს ფული დამეტოვებინა, რათა საახალწლოდ ამ პატარა ბავშვებისთვის ტკბილეული ეყიდა... არ ვიცოდი, ფულის დადება როგორ მომეხერხებინა ისე, რომ მას არ შეემჩნია. ვიფიქრე, ავდგები და იმ საახალწლო ნაძვის ხესთან მივალ და სადმე დავდებ მეთქი, მაგრამ ამას შეუმჩნევლად ვერ მოვახერხებდი, რადგან ყველანი იქ ისხდნენ და უცებ მოვიფიქრე, რომ მას თავისი კელიის ნახვის უფლება მოეცა...

– მამა გიორგი, თქვენი კელია სად არის?

– აი იქ, დერეფნის ბოლოშია. – გაიხედა ჩემს ზურგს უკან და თვალებით მიმითითა.

– თუ არ გეწყინებათ და უხერხული არ იქნება, შეიძლება დავათვალიერო?...

მამა გიორგიმ რალაცნაირად „ემმაკურად“ შემომხედა... გამიღიმა და ამ ღიმილით მაგრძნობინა რომ „მიგიხვდი ყველაფერს“-ო და თბილად მითხრა:

– კარგი, ნადი. ეგერ დერეფნის ბოლოშია და მარჯვნივ შედი. გახარებული წამოვდექი და დერეფანს გავუყევი...

უკნიდან მამა გიორგი ხმა მომესმა ლალის და ვანოს რომ მიმართავდა:

– მიდით, მიდით, ბარემ თქვენც მიყევით მაგას, თორემ მერე როდისლა ნახავთ...

თავადაც წამოვდგა და მათ წინ გაუყვა, თან კითხვა დამადევნა:

– მე 80 წლამდე ვიცოცხლებ, თუ იცი? – და ხმამაღლა გაიცინა.

ისე, რომ ნაბიჯი არ შემინელებია, ღიმილით მივუგე:

– იცოცხლებთ, აბა რა!

ამასობაში კელიაში შევასწარი, მაგიდაზე ნივთებს შორის ჩაკეცილი ოც ევროიანი დავდე და კარებისკენ სახით შემოვბრუნდი... ისიც ფეხდაფეხ შემომყვა.

შემობრუნებულმა სიყვარულითა და დიდის მოწინებით სახ-

ეში შევხედე და თითქოს შევევედრე ისე ვუთხარი:

– მამა გიორგი 100 წლამდე იცოცხლეთ და მერე როგორც გენებოთ ისე მოიქეცით...

გაჩუმდა. თავი დახარა. მერე თითქოს სივრცეში გაიხედა, რალაციკენ ხელი აიქნია და მითხრა:

– მაგი ბაბუა, ღმერთმა იცის ჩემზე და შენზე უკეთესად...

კელიაში, შესასვლელი კარების მარცხნივ სანოლი იდგა. სანოლის თავთან მარჯვნივ, პატარა მაგიდა, რომლის თავზეც ხატები ეკიდა. კარების მოპირდაპირედ ფანჯარა იყო, რომელიც შიდა ეზოს გადაჰყურებდა, ხოლო კარების მარჯვენა მხარეს ტანსაცმლის სამ კარებიანი კარადა იდგა.

მამა გიორგიმ პატარა მაგიდის თავზე კედელზე დაკიდული ხატებისკენ მიმახედა და ქრისტეს ხატზე მიმანიშნა:

– აბა, თუ ამჩნევ რამეს?!

მე ვუთხარი:

– ქრისტეს ახალგაზრდობის ხატია მამა გიორგი...

– მეტს ვერაფერს ამჩნევ?! – კვლავ შემიბრუნა კითხვა.

ამ დროს ლალიმ „შეიცხადა“:

—უიმე! აი, მეორე ხატი! აი, მესამე ხატი!...

– აბა, სად ხედავ?! – გაკვირვებულმა ვიკითხე

– კაცო, ცოტა იქით გაიწიე და შეხედე... – მითხრა მამა გიორგიმ, ხელი შემაშველა, რომ გვერდზე გავწეულვიყავი და აი, საოცრება! ჩემს თვალწინ რიგ-რიგობით ქრისტეს ოთხი სახეა წარმოჩინდა...

– მამა გიორგი! რა სასწაულია! ქრისტეს ოთხი სხვადასხვა სახეა ერთმანეთს ენაცვლება!

– სულ შვიდია. – დინჯად მითხრა და უკან დამიდგა... – ხედავ ხომ?!

– ჰო, ვხედავ! ასეთი რამ არსად მინახავს!

– ეს სპეციალურად მე ჩამომიტანეს...

მერე კარადისკენ წავიდა, მეც თავისთან მიხმე.

– მოდი, კიდევ მინდა რალაც განახო...

მივბრუნდი და ვხედავ, ფანჯარასთან მდგომი სკამიდან ცე-

ლოფნის ყვავილებიანი პარკი ჩამოხსნა. იქიდან მომცრო, მაგრამ სქელი წიგნი ამოიღო და მკითხა:

– აბა, თუ მიხვდები, რა არის ეს?!

– მამა გიორგი! ეს ეფუთი ხომ არ არის?! – სახტად დარჩენილმა ვკითხე!

– ჰო, ის არის! – მერე, ჩემი „მიხვედრით“ გახარებულმა ჩემსკენ გამოიწოდა და მითხრა:

– აჰა, მოკიდე ხელი! ამ წიგნსაა რომ ამდენი ხანია ეძებენ! ამის გულისთვის მოსაკლავადაც გამიმეტეს, მაგრამ ვერ იპოვნეს!

ამ დროს ლალიმ ჰკითხა:

– მერედა ასე, სკამზე როგორ გაქვთ ამისთანა უბრალო ცელოფნით სააშკარაოზე დაკიდული?!

– რომც იპოვონ, მაინც ვერ მიხვდებიან რომ ეფუთია და ვერც წაიკითხავენ! ეს წიგნი ამათ არ „გაეხსნებათ“! სტალინმა ბაბუაჩემს შემოუთვალა, რომ ეს წიგნი მისთვის ერუქებინა, მაგრამ ბაბუაჩემმა უარი შეუთვალა „ვერ მოგცემო“ და არ გაუგზავნა! ბაბუამ იგი მე გადმომცა! აი, მომხედე კიდევ რა გარჩენო?! – აბა თუ მიხვდები რა არის?!

და კარადის გვერდიდან გადმოიღო წელამდე რომ სწვდებოდა მსხვილი ხის კვერთხი, გველის თავით! და მე მაშინვე, დაუფიქრებლად ვუპასუხე:

– მამა გიორგი, ეს ხომ მოსეს კვერთხია!

მან დაკვირვებით შემომხედა:

– „როგორ ზუსტად მიხვდიო“ დინჯად ჩაილაპარაკა... და დაამატა: – ეს სპეციალურად ჩემთვის გამოთაღეს და ეს გველის თავიც ბუნებრივად ჰქონდა, როცა თლიდნენ! მერე კვლავ კარადისკენ შებრუნდა, კიდევ ერთი კვერთხი გადმოიღო, ამჯერად, ეპისკოპოსებს რომ უჭირავთ, ქვებით მოოჭვილი ჯვრის ფორმის, მხრებამდე რომ სწვდებოდა ისეთი სიმაღლის მეტალის კვერთხი:

– აი ეს კი, იტალიიდან საჩუქრად ჩამომიტანეს! მე, ერთ ბიჭს 7 წლიდან ვზრდი. ახლა ცხრა წლისაა... იგი იქნება საქართვე-

ლოს მომავალი პატრიარქი. აი, იმას გადავცემ სამემკვიდრეოდ
ამათ...

მე სასიამოვნოდ გაოგნებული ვიყავი. ვერ ამეხსნა, მამა
გიორგიმ რატომ დამდო ამხელა პატივი, რომ ყველაფერი ეს
ჩემთვის ეჩვენებინა, მათზე მოეთხრო და თანაც ხელით შეხების
ნებაც დაერთო...

დიდება და მადლობა უფალას! დიდება და მადლობა, ჩემო
საყვარელო მამა გიორგი შენ, ასეთი ნდობის გამოცხადებისთის!

ციური გარუჩავა
02.01.2011 წ.

02. 01. 2011წ. კვირს. 9 სთ-ი.

მ წუთას შემოვედი სახლში. დიდი მადლობა, ჩემო საყვარელო მამა გიორგი ასეთი მტკიცე თანადგომისთვის. როცა გავიგე, რომ აჩიკოა (ჩემი შვილიშვილი) ჩამოსული... წუხანდელი სიზმრის არსსაც მივხვდი და ისიც გავაცნობიერე, რატომ მითხარი უარი მათი სახელების შენს დავთარში ჩაწერაზე. უკვე ყველაფერი კარგად უწყოდი, რაც ხდებოდა ჩემს თავს... შენი უარით ღირსება დამაცვევინე და სიმტკიცე მომგვარე! ამისთვის დიდი მადლობა, მამა გიორგი!

ჩემო დიდო ბერო, იყავ დღეგრძელი, ჯანმრთელი და ძლიერი! შენ ნამდვილი ხარ! მე, დიდი პატივი მერგო, რომ ეს ვუწყი! შენ ჩემი ბაბუა, მამა, უძველესი წინაპარი ხარ! ანასტასია ჩემი დაა! არ დავუშვებ ცოდვასა და სისუსტეს ჩემში. ვიქნები თქვენი – ნამდვილი ადამიანების ღირსი.

მე, ციური გარუჩავა, ნამდვილი ქართველი ადამიანი ვარ!
თქვენი ბაღიში, მოთა, სქუა და დაია ვარ მე!..

ციური გარუჩავა.
02.01.2011 წ. 21.21 სთ-ი.

ჯაცრიარქთან შეხვედრა

04.01.2011 წ.

მილით თორმეტის ნახევარზე მანანა სოტკილავამ დამირეკა:

– ციური, თორმეტ საათზე სასწრაფოდ საპატრიარქოსთან მოდი! წამოიღე შენი თარგმნილი და გამოცემული „ნანატასიას“ წიგნები. დღეს პატრიარქის დაბადების დღეა. მიმლოცველთა სიაში მე და შენი მოვხვედრა მოვახერხე!

– რას ამბობ, მანანა! როგორ გამახარე! ახლავე მანდ გავჩინდები!

სასწრაფოდ ავიღე ხუთივე წიგნი, როგორც ვიყავი ჩაცმული ისევე გავიქეცი და ჩავედი საპატრიარქოსთან. საპატრიარქოს ეზოს შესასვლელში უამრავი ხალხი იდგა. ზოგს უშვებდნენ შიგნით და ზოგს არა. მანანა ჭიშკართან დამხვდა. იქვე მდგომ დაცვას საშვი უჩვენა და ჩვენ საპატრიარქოს ეზოში შევედით.

სანამ შენობაში შევიდოდით, მანანამ მითხრა:

– ჯერ კიდევ დრო გვაქვს, პატრიარქი დარბაზში არ გამობრძანებულაო მითხრეს და მოდი ეზო-კარს დაგათვალიერებინებ და მისი ხელით დარგულ ნარგავებსაც გაჩვენებ.

საოცრად ლამაზად მორთული ეზოა. ყვავილნარითა და შიგა და შიგ ლამაზი ეგზოტიკური ხეებით გაშენებული. გარშემო უზარმაზარი სოჭებია აღმართული. მათ გვერდით კი ალვასავით აშოლტილი კვიპაროსები დარაჯებივით დგანან. მოვიარეთ ეზო—კარი და საპატრიარქოს შენობაში შევედით.

უამრავ ხალხს მოეყარა თავი. დარბაზის შესასვლელისკენ მიმავალ რიგში ჩავდექით. ძალიან ვლეღავდი.

მართალია, პატრიარქს პირისპირ პირველად არ ვხვდებოდი, მაგრამ მაშინ ჩემი მასთან შეხვედრა ოფიციალური და საქმესთან დაკავშირებული იყო.

ცოტას გადაუხვევ და მოვეყვები ამ ისტორიას.

გერმანიაში გამოცემული იყო ბიბლიური ატლასი გერმანულ

და ინგლისურ ენაზე. ჩემს შვილიშვილს, რომელიც ჩემს ქალიშვილთან ერთად იქ ცხოვრობდა და შესაბამისად სკოლაშიც იქ სწავლობდა და გერმანულ ენას კარგად ფლობდა, დაბადების დღეზე გერმანულ ენაზე გამოცემული ბიბლიური ატლასი ვაჩუქე, რომელიც იმ პერიოდში ქართულ ენაზე არც იყო გამოსული. რაც შეეხება ი. გოგებაშვილის „საბავშვო ბიბლიასა“ და ბიბლიას, ქართულ ენაზე ჰქონდათ იქ და კითხულობდნენ კიდევ ორივე დედა-შვილი. იგი როცა ამ ატლასს გაეცნო მკითხა:

– ბუტა (ეს სახელი თავად დამარქვა და მას ბებიის მნიშვნელობით მეძახის), კი მაგრამ ამხელა ბიოგრაფიის მატარებელი ქვეყნის შვილები ვართ და რატომ არ არის შეყვანილი აქ საქართველო?! ძალიან გაკვირვებული ვარ, ეს როგორ მოუვიდათ ჩვენი ერის შვილებს...

მე ცოტა შემაფიქრინა მისმა შეკითხვამ და ავუხსენი:

– ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ეს დიდი ქვეყნები, როგორც ნესი, პატარა ქვეყნებს აინუშშიც არ აგდებენ... ამიტომ ვიბრძვით მთელი ცხოვრება დამოუკიდებლობისთვის. ჩვენ მართლმადიდებელი ქვეყანა ვართ. ამ ევროპას „ჭკუაში არ უჯდება“ ეს ამბავი და ამიტომ ცდილობს „არ შეგვიძინოს“. ფარულად ეწინააღმდეგება ჩვენს დამოუკიდებლობას და თან უცერემონიოდ ერევა ჩვენს შინაურ საქმეებში!.. ხედავ, რა დღეშიც ვართ მთელი ცხოვრება?!...

– ჰოდა, მოდი ახლა ჩვენ მოვახერხოთ და შევატანინოთ ამ ნიგნში ჩვენი საქართველო! შენ ხომ მითხარი, ჩვენი სამშობლო რომ სახელმწიფო იყო, ესენი მაშინ ტყეში დარბოდნენო. ჰოდა, შენ ხომ შეგიძლია ქართული ბიბლიური ისტორია შეადგინო. აქ კი, გერმანიაში გამომცემლობას მე მივწერ, ვთხოვ, რომ ჩვენი ისტორიაც შეიტანონ მსოფლიო ატლასში და უკვე მთელი მსოფლიო გაიგებს ჩვენს შესახებ! აი, ნახავ, მე აუცილებლად მოვაცემინებ მათ გამოცემულ ატლასში შეტანის უფლებას!

მოკლედ, შვილიშვილს ხომ ვერ ვეტყოდი, რომ ქართული ბიბლიური ისტორიის შედგენას ვერ მოვახერხებდი და ჩამოვედი თუ არა, პირველი რაც მოვიმოქმედე, – პატრიარქს მივმართე ოფიციალური წერილით.

მივწერე, თუ რა საკითხზეც მსურდა მასთან აუდიენცია და, რომ მისი მხრიდან დაკვალიანება აუცილებლად მჭირდებოდა, რათა ოფიციალურად მოვლაპარაკებოდი რომ გერმანელ და ინგლისელ გამომცემლებს გაეთვალისწინებინათ ბიბლიური ატლასის მეორედ გამოცემისას საქართველოს ბიბლიური მატეიანის შესახებ ოთხგვერდიანი მასალა, რომელსაც ჩვენ მოვამზადებდით თავისი დოკუმენტური ფოტო-მასალების დართვით.

წერილის გაგზავნიდან დაახლოებით ორ კვირაში მანანა და მე საპატრიარქოში დაგვიბარეს. როცა მანანა შორენასთან მივიდა, მან უთხრა თარიღი, დღე და საათი, თუ როდის მიგვიღებდა პატრიარქი. ჩვენც, გულის ფანცქალით გავემზადეთ პატრიარქთან შესახვედრად.

გამოცხადდით საპატრიარქოში. შორენამ მოსაცდელში დაგვსხა და დამელოდეთო გვითხრა.

ცოტა ხანში შორენა პატრიარქის კაბინეტში შეგვიძღვა. კაბინეტში შესვლისას, პატრიარქი მისაღებ დარბაზში არ იმყოფებოდა. შორენამ იქვე მდგომ დივან-სავარძლებზე მიგვითითა, რათა მის მოსვლამდე ჩამომვსხდარვიყავით და პატრიარქს დავლოდებოდით. ჩვენც დავსხედით. წინ ჟურნალების მაგიდა იდგა, რომელზეც ყვავილებიანი ლარნაკი იდო.

ცოტა ხანში პატრიარქი შემობრძანდა, სახეზე თბილი ღიმილი ეფინა. ჩვენ მაშინვე წამოვდექით და მისაღმების ნიშნად თავი დავუხარეთ.

შეგვამჩნია, რომ ძალიან დაბნეულები ვიყავით და გამხსნევების მიზნით ღიმილით მოგემართა:

– ნუ მორცხვობთ. აბა, მომიყვით როგორ დაგებადათ ეს საინტერესო იდეა.

– ჩემო პატრიარქო, – მივმართე მე, – ჩემთვის უდიდესი პატივია თქვენთან პირისპირ საუბარი. მართლაც დაბნეული ვარ...

თვალეებზე ცრემლი მომადგა და ყელში ბურთი მომებჯინა... თავს ძალა დავატანე, არ მინდოდა პატრიარქი ჩემი ემოციით შემეწუხებინა, თავი ხელში ავიყვანე და დავიწყე საუბარი.

ავუხსენი, თუ რამ განაპირობა ბიბლიური ატლასის ქართულ

ენაზე გამოცემის იდეა და, რომ ეს იდეა ჩემი 10 წლის შვილიშვილისგან წამოვიდა, რომელსაც დაბადების დღეზე გერმანულ ენაზე გამოცემული ბიბლიური ატლასი ვაჩუქე და რომ მისი წაკითხვის შემდგომ გაკვირვებული დარჩა, იქ საქართველოზე რომ არაფერი ეწერა. ახლა კი მოვედი, რათა ეს იდეა თუ ღირებულად მიაჩნდა, – დავეკვალიები, მის შესრულებაზე კურთხევა მოეცა. ჩემი მხრიდან კი, პირობა მივეცი, რომ შემდგომ ღვთის შეწევნითა და მისი ლოცვა-კურთხევით ყველაფერს უკვე იოლად მოვაბამდი თავს.

ყურადღებით მომისმინა. მერე მანანამაც კარგად ჩამოუყალიბა თუ მას როგორ ესახება ქართულ ბიბლიურ ატლასზე მუშაობა და ვინ წარმოუდგენია საორგანიზაციო ჯგუფში, რომელიც ძალზედ კომპეტენტური წევრებისგან უნდა შემდგარიყო. გვარებიც დავუსახელეთ: მიხეილ ქურდიანი, დედა ელენე, მიხეილ ფხაჭიაშვილი, მალხაზ შველიძე, თამარ სხირტლაძე, ნინო კვანტალიანი, ნოდარ გაფრინდაშვილი, მანანა სოტკილავა, თეა გოგუაძე-აბფელი და თქვენი მონა-მორჩილი – ციური გარუჩავა. მან კანდიდატურები ძალიან მოიწონა და თავისი მხრიდან მეუფე დანიელი და ისტორიკოსი, იმ პერიოდში საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ზურაბ აბაშიძე შემოგვთავაზა. ჩვენ ვუთხარით, რომ მისი დასახელება უბრალოდ გამოგვრჩა, რადგან იგი ნამდვილად გვყავდა მხედველობაში.

პატრიარქმა ყურადღებით მოგვისმინა. იდეა ძალიან მოეწონა. მისი განხორციელების გზასაც დადებითად მოეკიდა. მიგვაგზავნა მეუფე დანიელთან და გვთხოვა, მასთან გვეკონოდა მჭიდრო კავშირი და თუ რაიმე საკითხში პრობლემა გაგვიჩნდებოდა მისთვის მიგვემართა. თავისი მხრიდან კი ყოველგვარი დახმარება აღგვითქვა. გვთხოვა, რომ ისიც საქმის კურსში გვეყოლოდა. დაგვლოცა, ორივეს თავზე ხელი დაგვადო, თბილად ჩაგვიკრა გულში და გამოგვიშვა...

მანანამ და მე მართლაც შესანიშნავი საორგანიზაციო ჯგუფი შევკარით. ვისაც კი მივმართეთ და გაიგეს რაშიც იყო საქმე, ყველანი სიხარულით და თან უსასყიდლო მუშაობაზე

დაგვთანხმდნენ! ყველა თავ-თავისი საქმის უბადლო პროფესიონალი იყო და სამ თვეში ქართულ ენაზე მთელი ბიბლია თარგმნილი იყო. მერე კრებულში საქართველოს შესახებ ოთხი გვერდიც მოვათავსეთ და ღია ბერუაშვილს დავაკაბადონებინეთ, რომელიც უკვე უნდა გერმანიაში წამელო... მაგრამ, როგორც ყველა საშურ საქმეს ეშმაკი ჰყავს ჩასაფრებული, აქაც არ „დააყოვნა“ მან და მრუდი ხრიკებით „ხელიდან გამოგვგლიჯა“ ბიბლიის ქართულად გამოშვების იდეა და დღეს ეს ბიბლია გამოცემულია ბაკურ სულაკაურის მიერ, ოღონდ ქართული ბიბლიური მატრიანის შეტანის გარეშე... ასე „ჩაიშალა“ ეს უნიკალური შესაძლებლობა, რომ მსოფლიო გაცნობოდა საქართველოს ბიბლიურ ისტორიას. მაინც მსურს სიმართლე ვთქვა, რომ ეს „ხელის შეშლა“ მოხდა ეკლესიის მაღალჩინოსნის მეოხებით, რომელმაც ბაკურ სულაკაურს აუნთო „მწვანე გზა“. ბაკურ სულაკაური მოვიდა ჩემთან სამსახურში და „მომახსენა“, რომ მას აქვს ინგლისთან ექსკლუზივი ინგლისურენოვან წიგნებზე და ბიბლიური ატლასიც მან უნდა გამოსცეს, ოღონდ ქართულის გარეშე და რომ მე არ მომცემდნენ ატლასში ქართული მატრიანის შეტანის უფლებას. როცა ავუხსენი, თუ რა დონეზეც იყო უკვე გერმანიასთან მოლაპარაკება და არა ინგლისთან, მაშინ „უკან დაიხია“ და ულტიმატუმი წამიყენა: თუ სამ თვეში არ გამოსცემთ, მაშინ მეუფე -ს კურთხევით იგი გამოსცემს ამ ატლასს... და, როცა უკვე გერმანიაში ველოდებოდი დაკაბადონებული მასალის ელექტრონულ ვერსიას, სამსახურიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ აზრი აღარ ჰქონდა გადმოგზავნას, რადგან ბაკურ სულაკაურს ატლასი უკვე გამოცემული ჰქონდა.... მეუფეს შეგნებულად არ ვასახელებ, მის სინდისზე იყოს ატლასის ქართული მატრიანის გარეშე გამოცემა და ბაკურ სულაკაურისთვის „მწვანის ანთება“. დარწმუნებული ვარ, უფლის წინაშე წარდგომისას მათ აუცილებლად მოუწევს თავის მართლება, თუ რატომ დააკარგვინეს საქართველოს მსოფლიო არენაზე წარმოჩენის კიდევ ერთი შესაძლებლობა...

დღეს კი, 2011 წლის 4 იანვარს, დღის 12 სთ-ზე ჩემს პატრი-

არქს, ჩვენს უწმიდესსა და უნეტარესს ილია II ჩემს მიერ თარგმნილი და გამოცემული ციმბირელი განდევილის „ანასტასიას“ 5 ნიგნი მივართვი.

ისე დავიბენი, რა „ვილულულულე“ თავადაც არ ვუწყი, მთავარი კი მოხდა ის, რომ პატრიარქი ნიგნს ფურცლავდა, მიცინოდა და მერე... ჰოი, საოცრებავ – თავად გადმოიხარა ჩემსკენ და გადამკოცნა!

– დიდი მადლობა ამ ძვირფასი საჩუქრისთვის! მართლაც რომ ტიტანური შრომა გაგინვეიათ, – მითხრა მან, – ჩემსკენ გადმოიხარა, გადამეხვია და მხარზე ამბორის საშუალება მომცა!

ამ დროს დაცვამ უქმაცოფილება გამოთქვა:

– რას ჩერდებით, გაიარეთო...

მანანამ თავი ვერ შეიკავა და უპასუხა:

– რა ქნას, ვერ ხედავთ პატრიარქი თავად ესაუბრება! როგორ მიატოვოს შუა საუბარში?! თავი შეიკავეთ! თქვენი შენიშვნა ახლა ნამდვილად უადგილოა!..

პატრიარქმა კიდევ ერთხელ გადამიხადა მადლობა, გვერდზე მდგომს მიაწოდა ნიგნები და მიუთითა, სადაც უნდა დაედო.

პატრიარქისგან ისეთი დაბნეული და ემოციით დატვირთული ნამოვედი, რომ კარგა ხანს ხმა არ ამოგვიღია მე და მანანას. მერე, ჩემს სახლში რომ ჩამოვედით, მაშინ უკვე ერთმანეთს ჩვენს ემოციებს ვუზიარებდით...

დიდი მადლობა შენ – ჩემო პატრიარქო! ჩემთვის დიდი პატივია შენი პატრიარქობის პერიოდში რომ მომიწია ცხოვრება და მოღვაწეობა! მთელი არსებით გისურვებ, იყო ჯანმრთელი, დღეგრძელი და მარადიულად სიყვარულის მატარებელი!

ღვთის შენევენით ჩვენ კვლავ შევხვდებით! აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს და ვეცდები მაშინ არ „ვილულულულო“ და გულითადად გესაუბროთ.

ციური გარუჩავა
04.01.2011 წ.

წირველი სიზმარი:

08. 04. 2011 წ.

მნახე ზღვა, რომელიც ძალიან მღვრიე იყო და დიდ ტალღებად ლელავდა. მე ნაპირზე, ტალღებთან რატომღაც ზურგით ვიდექი. ამ დროს ერთმა ტალღამ თავს ზემოთ გადმომიარა, არ შემხებია მღვრიე ზღვის წყალი... თითქოს კაპსულასავით სივრცულად გადამეველო თავზე და ტალღაში მომიქცია... ძალიან გაკვირვებული ვიყავი, ტალღაშემოვლებულში ისე ვიჯექი, რომ არც შემხებია მღვრიე წყალი და არც დავუზიანებებივარ... ამ დროს გამეღვიძა...

მეორე სიზმარი

11. 04. 2011 წ.

წუხელის ვნახე სიზმარი: ტყესთან მივედი, ხელში მურა დათვის მოზრდილი ბელი მეჭირა. თავად დათვი კი ჩემს ფეხებთან იდგა. მსურდა, რომ ისინი ჩემი ტყის ბინადრებს „მიელოთ“ და მათთვის არ ევნოთ. ამიტომ ჩამოვსვი დათვის ბელი ძირს და გავხედე ნადირ-მხეცებს. ახლო-მახლო პატარა მხეცუნები ცქვიტად დაცუნცულებდნენ. დათვის ბელს ტყეში შესვლის ემინოდა, ტყის სიღრმეში, შიგნით, მარცხნივ გავიხედე და დავინახე, ფეხაკრეფით მოაბიჯებდნენ ნადირ-მხეცები: ძუ ლომი ხვადთან ერთად და დიდი ვეფხვი. სამივე ფეხაკრეფით მოაბიჯებდა და თავდახრილები უკმაყოფილოდ ჩუმად ბრდღვინავდნენ. ისინი მე მემორჩილებოდნენ, ამიტომაც თავს იკავებდნენ დათვზე და ბელზე თავდასხმისგან და ფიქრობდნენ „მიელოთ“ დათვი და ბელი თუ არა... ამ დროს მე ჩემს თავს გვერდიდან, უფრო სწორად ზემოდან და უკანა მხრიდან ვაცქერდებოდი. მივხვდი, რომ ამ ტყის ანასტასია, ოღონდ ციური-ანასტასია ვიყავი და ისინი დათვის ბელს

ზიანს არ მიყენებდნენ, რადგან მე არ მსურდა ეს... თუმცაღა, მათი შეშვება ტყეში სულაც არ ეპიტნავებოდათ...

ნერილი მამა გიორგის

17.05.2011 წ.

მამა გიორგი, ცოდვაში ვერ ჩავაგდებ ვერც შვილს და ვერც შვილიშვილს დედა-ბებიასთან „ომის“ გამო, მითუმეტეს როცა ამ „ომში“ უცილობელი გამარჯვება ჩემსკენაა!

მათ ფულმა და უზრუნველი ცხოვრების სურვილმა გონება დაუბნელა, გული გაუცივა და სული წაუბილწა. ამაზე მეტი ღვთის რისხვა რაღა უნდა დასტყდომოდეთ თავს – დედა-ბებია მიტოვებული ჰყავთ! მე, რომელმაც მარტომ გავზარდე ჩემი შვილი, უანგაროდ ვემსახურე და ვეცადე ქართული სული შთამენერგა მასშიც და შვილიშვილშიც, როგორ შემიძლია ის დრო-ჟამი ამოვავლო ჩემი ცხოვრებიდან და ჩემი მათდამი გაცემული სიტბო, სიყვარული, თავდადება წავბილწო.

ამიტომ „ომზე“ უარს ვაცხადებ (თუმცაღა ამ ომით ჭკუის სწავლება მსურდა მათთვის), და გადავწყვიტე უომრად მივანდო ისინი ღვთის ნებას! მე კი ჩემი მხრიდან ერთი რამის გაკეთება შემიძლია: მათ „ბრძანებას“ დავაკმაყოფილებ! ბინას ჩავდებ მათ ვალში, ხოლო უფალს შევთხოვ, რომ ჩემს მიმართ ჩადენილი ეს ცილისმწამებლური და გაუგონარი საქციელი შეუნდოს და ამიერიდან მათ მიერ ჩადენილ ყველა ქცევას თავად მიჰხედოს, რადგან მე მათ ცხოვრებაში მათი მხრიდან გულწრფელი მონანიების გარეშე აღარასოდეს გამოვჩნდები, რადგან ვთვლი, რომ მათთან ურთიერთობით ცოდვაში ჩავვარდები...

მე კი, არ დავუშვებ სისუსტესა და ცოდვას ჩემში!

ციური გარუჩავა

17.05.2011 წ.

შოვიდნენ მათი გამოგზავნილი ბიჭები. ჩემი მეგობრის ინესა ჩომახიას და ჩემი ბიძაშვილის ნანა ესაკიას თანდასწრებით ბინა შვილის მიერ აღებულ ვალში ძველი პროცენტების მოხსნის და მომდევნო სამი წლის მანძილზე, სანამ ბინას გავყიდდი, პროცენტის გადახდის გარეშე გავუფორმე ხელშეკრულება შემდეგი სიტყვებით:

– შვილი როცა აშავებს, პირადად მე მიმაჩნია, რომ მის უსაქციელობაში მშობელია დამნაშავე, – ამიტომ ვიღებ მის მაგივრად პასუხისმგებლობას და ბინას ჩავდებ მის ვალში...

ახალგაზრდები სახტად დარჩნენ, ასე უპრობლემოდ რომ გავუფორმე ხელშეკრულება... ერთმა მათგანმა ასე მითხრა:

– ახლა ისეთ რამეს გეტყვით, შესაძლოა ამის გამო სამსახურიც დავკარგო, მაგრამ ჩემი ღირსება არ მომცემს უფლებას არ გითხრათ ის, რასაც ახლა განვიცდი და ვფიქრობ. ქ-ნო ციური, მე თქვენს ადგილზე, თქვენს შვილს ამას არ გავუკეთებდი, იგი ამას არ იმსახურებს... ძალიან დასანანია რომ თეა თქვენი შვილია...

ისინი მოვიდნენ „მტრებად“ და წავიდნენ „მოყვრებად“...

მამა გიორგი, ძალიან დიდი მადლობა ასეთი „მასტერ კლასის“ ჩატარებისთვის!!!

ციური გარუჩავა

18.05.2011 წ.

ჩემი მოსახრება

02.07.2011 წ.

სანამ ღმერთი იტყოდა სიტყვას – მანამდე შეჰქმნა აზრ-ფიქრი, ანუ თავისი თავი. ერთმან შეჰქმნა ერთი ანუ ღმერთი არის ერთმანერთი! (ვფიქრობ რუსთველსაც ამ მნიშვნელობით აქვს ეს სიტყვა გამოყენებული) ეს ნიშნავს წარმოქმნა ერთმანერთი. ეს კი ნიშნავს – **ერთმანერთი – არის ერთი, არის ორი და არის უსასრულობა**. ეს კი ნიშნავს, წარმოქმნა ერთმან + ერთი, რომელმაც შეჰქმნა ერთმანერთი, ანუ აზრ-ფიქრი. ერთმან აზრმა ჰქმნა ერთი ფიქრი ანუ შეიქმნა აზრ-ფიქრი, ერთმან ჰქმნა ერთი, ანუ ერთმანერთი ჰქმნა აზრ-ფიქრმა (აკაშა ქრონიკა), ესე იგი უსასრულობა, ანუ აზრ-ფიქრი არის მარადიული. ერთმანერთმა ჰქმნა აზრ-ფიქრი, აზრ-ფიქრმა ჰქმნა ხმოვანი ბგერა, ანუ ჰარმონია.

ერთმანერთი + აზრ-ფიქრი + ჰარმონია.

ამ სამივეს შერწყმა ერთმანერთში არის უფალი!

უფალი არის ერთმანერთი + აზრ-ფიქრი + ჰარმონია! ანუ უსასრულობა, შედგენილი უფალისგან! ანუ სამი ჰიპოსტასისგან: ერთმანერთი + აზრ-ფიქრი + ჰარმონია! ერთმანერთი თუ არ იაზრ-იფიქრებს და ჰარმონიაში არ იქნება ერთმანერთთან – მაშინ კვლავ ვაკუუმი შეიქმნება! ვაკუუმი კი ყველაფერ-არაფერია და უძრაობაა. ვაკუუმი არის ყველაფერს + არაფერი + უძრაობა. ვაკუუმი, – ყველაფერ-არაფერი + უძრაობა, ესეც, – ერთმანერთია. ვაკუუმი არის ერთმანერთი ჰარმონიის გარეშე. ერთმანერთი + აზრ-ფიქრი + ჰარმონია + ვაკუუმი არის ღმერთი, ანუ უფალი + ვაკუუმი არის, – ღმერთი!

ანუ **ვაკუუმში ჩაფლული უფალი არის, – ღმერთი!**

ვაკუუმი + შიგ ჩაფლული და მასში განმსჭვალული აზრ-ფიქრი, ერთმანერთი და + ჰარმონია- არის ღმერთი!

ვაკუუმია – არაფერი + ყველაფერი.

უფალია – აზრ-ფიქრი + ჰარმონია.

ერთმანერთია – მარადიული უსასრულობა.

ვაკუუმი + უფალი + ერთმანერთი – არის ღმერთი!!!

ღმერთის ნატამალი მის ქმნილებებშია, – შესაბამისად იგი ადამიანშია, ანუ – ჩვენშია!!!

ვსვამ კითხვას: ზღვასა და ზღვის წვეთს შორის რა სხვაობაა?!

ჩემის აზრით: არავითარი, – გარდა მასშტაბისა, იმ მარტივი მიზეზით, რომ ზღვის წვეთი ზღვის ქმნილია და მასში შესაბამისად ზღვის ნატამალია - ერთწვეთიანი ზღვაა...

ადამიანი ღმერთის ქმნილია, შესაბამისად ღმერთის ნატამალია – ერთმანერთია!

ციური გარუჩავა

02.07.2011 წ.

მამა ნიკოლოზი

2011 წლის 1 დეკემბერი. ხუთშაბათი.

წუშინნინ, სრულიად შემთხვევით იას მალაზიაში გავიცანი მაიას ამხანაგი თუ ნათესავი – მარინა ზარქუა. მაიას მისთვის ჩემს თარგმელ წიგნებზე უამბნია. ისიც დაინტერესებულა. მოკლედ, მეც სრულიად შემთხვევით შევხვდი მარინას მალაზიაში და მაიამ უთხრა:

– აი, ქალბატონი ციური. მან თარგმნა „ანასტასია“.

მე გავხედე მარინას და რატომღაც ვკითხე:

– თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?

– ფიზიკოსი ვარ... სკოლაში ვმუშაობ პედაგოგად.

– რას ამბობთ?! „ანასტასიას“ მსოფლმხედველობას შენი პროფესიის ადამიანები უფრო იოლად აცნობიერებენ... მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ფიზიკოსებს, თავადაც ძალიან მსურდა ფიზიკოსობა, მაგრამ დედამ არ დამართო ნება...

ცოტა გავისაუბრეთ. მან ისეთი დიდი ინტერესი გამოხატა „ანასტასიას“ მიმართ, რომ იგი საუბრის გასაგრძელებლად სახლში ჭიქა ყავაზე მივიპატიყუე. იმავე საღამოს, მაია და მარინა მესტუმრნენ. რამდენიმე ხანს ვისაუბრეთ. ამასობაში იაც შემოვიდა და წიგნის გარშემო საუბარი განვაგრძეთ. მოულოდნელად, მარინა მეუბნება:

– ქ-ნო ციური, მე ზეგ მამა ნიკოლოზთან (მაქარაშვილი) მივდივარ ბორჯომში...

– რა კარგია! იქნებ ჩემი პრობლემაც მოიხსენიო გულში...

ცოტა ხნის შემდეგ, როცა საფუძვლიანად ვისაუბრეთ თარგმანზე, მაშინ მარინამ მოულოდნელად მითხრა:

– იცით რა, ქალბატონო ციური? იქნებ თქვენც ჩემთან ერთად წამოხვიდეთ ხვალ ბორჯომში? რატომღაც ასე მგონია, რომ მამა ნიკოლოზს აუცილებლად უნდა შეხვდეთ... თუ ადგილი არ იქნება, ჩემსას დაგიტოობთ... ნამდვილად უნდა შეხვდეთ მას და ეჭვი არ მეპარება, რალაც მნიშვნელოვანიც მოხდება და თქვენ

აუცილებლად განახორციელებთ თქვენს სურვილს!

მე, ცოტა გაკვირვებულმა შევხედე მარინას, მაგრამ მერე რატომღაც თანხმობა ვუთხარი, იაც დამეთანხმა, – „კარგი იქნება თუ ნახვალო“...

მოკლედ, დღეს გავემგზავრეთ ბორჯომში. მე, ხუთივე წიგნი და ერთი ქილა თაფლი წავიღე. მარინა მთელი გზა ყველას უყვებოდა ამ წიგნის შესახებ... ბევრი დაინტერესდა. ამ დროს ჩვენს უკან ერთი ქალბატონი იჯდა და მოულოდნელად ასეთი განცხადება გააკეთა:

– ეს ის ანასტასიას წიგნია, საბერძნეთიდან მამა გიორგის რომ დაურეკეს და ჰკითხეს: „თქვენი კურთხევით ყოფილა გამოცემული და მართალიაო“?...

– რა წიგნი, არავითარი კურთხევა და საერთოდ დაანებეთ თავი მამა გიორგის, ნუ იყენებთ მის სახელს!... – თურმე ასე უპასუხეს იქიდან!

მე მივხვდი, რომ ბნელი ძალა „გამოძვრა“ და ჩემთან ბრძოლა მოისურვა... მეც არ შევეპუე და იმ ქალბატონს საკადრისი პასუხიც გავეცი:

– ძალიან კარგად მოქცეულა მამა გიორგი თუ ასე გიპასუხათ! თუმცაღა, მეეჭვება, რომ ეს ასე ყოფილიყო, რადგან მას მობილური არ აქვს და მითუმეტეს – თავად ეთქვა ასეთი რამ, ვინაიდან მან მშვენივრად უწყის ამ წიგნის არსებობის შესახებ, იმ მარტივი მიზეზით, რომ მე მას ეს ხუთივე წიგნი მივართვი, ისევე, როგორც ჩვენს პატრიარქს, რომელმაც გახარებისა და მადლიერების დასტურად თავად გადმოიწია ჩემსკენ და გულშიც ჩამიკრა! ასე რომ, ჩემო კარგო, თუ წიგნის წაკითხვა გნებავს, მას ნებართვის აღება კი არ სჭირდება, არამედ წაკითხვის შემდეგ მასზე საკუთარი შეხედულების მოძღვართან გამოხატვა, რაც მოძღვარს გააგებინებს ამ ადამიანის მსოფლმხედველობის დონეს! ხომ არ შეიძლება საერო წიგნის წაკითხვის გამო ამხელა წმიდანები შეაწუხოთ?! განა შეიძლება ყველა თქვენი ქმედება მათ შეუთანხმოთ?! რა? ამხელა ასაკის ხალხმა არ იცით სწორი რა არის და არასწორი კიდევ რა?! ცოდვა რა არის და

უცდველობა რა არის?! რაო, ვეფხისტყაოსნის წასაკითხად მამა გიორგის ნებართვა გჭირდებათ?! ქალბატონებო და ბატონებო, რობოტები ბრძანდებით, ხელოვნური მექანიზმები, ღილაკების დაჭერა რომ სჭირდებათ ასამუშავებლად?! – თუ ცოცხალი ადამიანები ხართ?!... კარგად მოქცეულა ის ადამიანი, ვინც ამ უტაქტო კითხვაზე ასეთი პასუხი გაუცია!

და კიდევ, ერთი შეკითხვა მინდა დავუსვა ყველა იმ ადამიანს, ვისაც მსგავსი კითხვის დასმა მოესურვება წმიდანისთვის: – სახლში ტელევიზორი ხომ გაქვთ? ხომ უყურებთ?! რა გადაცემებს უნდა უცქიროთ თქვენს მოძღვრებს უთანხმებთ? და თუ ეს ასეა, ძალიან ცუდ დღეში გყოლიათ ისინი... და თქვენი მოძღვრებიც, მე თუ მკითხავთ, არასწორად გექცევიან, თუკი თქვენს ასეთ აბსურდულ შეკითხვებს „მშვიდად“ ხვდებიან და სათანადოდ არ გაპასუხობენ! და, საერთოდ: – ჯობია წიგნები იკითხოთ, ვიდრე მსგავსი უაზრო კითხვები დასვით!

ამ დროს კამათით შეწუხებულმა მარინამ ყველას მოგვმართა:

– ნუ კამათობთ. მამა ნიკოლოზთან რომ მივალთ, ის მიგვანიშნებს ყველაფეს!..

ამის შემდგომ ის ქალი „დადუმდა“, ხოლო სხვებს ამ „დი-ალოგიით“ წიგნისადმი ინტერესი არ განელებიათ. მართალია, კითხვებს აღარავინ მისვამდა, მაგრამ მარინას ესაუბრებოდნენ. ერთ-ერთმა მამაკაცმა ფოტოსურათები ამოიღო და მარინას მიაწოდდა. სხვებსაც უჩვენა:

– აი, ეს სახლი მოვუძიე მამა ნიკოლოზს. ვფიქრობ, უნდა მოეწონოს. ეს კიდევ, – მეორე ფოტოზე მიუთითა, – საკუთარი სახლია. რომელიც მოესურვება იმას აარჩევს ალბათ... ეს ადამიანი, როგორც მოგვიანებით მარინამ ამიხსნა, მალხაზ ჯინორია ყოფილა, რომელსაც მამა გაბრიელზე წიგნი დაუწერია....

მალე ბორჯომშიც ჩავედით. ბაზრის ეზოში შევედით. ყველანი მანქანიდან გადმოვედით და მამა ნიკოლოზს დავუწყეთ ლოდინი.

დაახლოებით ერთ საათში, ბაზრის ეზოსთან სამგზავრო ავტობუსი გაჩერდა და იქიდან მამა ნიკოლოზიც ჩამოვიდა. ცოტა

ხანი ჭიშკართან გაჩერდა. ვილაც ორი მამაკაცი მიუახლოვდა, მათ რალაც ანიშნა და ეზოში შემოვიდა.

ისე ჩამიარა, ზედაც არ შემოუხედავს, მაგრამ რომ გამცდა გვერდულად გამოიხედა და მივხვდი, რომ ეს გამოხედვა მე მეკუთვნოდა: „ნამოდი, რას უდგეხარ!“ – თითქოს ასეთი მზერა ჰქონდა... მეც ჩემდაუნებურად მისი მიმართულებით გავემართე. ამ დროს მარინა მოვიდა ჩემთან და მეუბნება:

– დაინახე შენ რომ გამოგხედა?!

– რა ვიცი... შესაძლოა... – ცოტა შეფიქრიანებულმა ვუპასუხე.

მამა ნიკოლოზი ბაზრის დახურული დარბაზისკენ მიდიოდა და მთელი ხალხი უკან მისდევდა. მე და მარინაც ამ ნაკადს ბოლოში მივყევით.

იგი დარბაზის შენობაში შევიდა და დახლებს ჩაუყვავა. იქ მყოფი ხალხიც აედევნა და საითაც მამა ნიკოლოზი მიდიოდა ისინიც უკან მისდევდნენ. ნამდვილად მისდევდნენ, – სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით! მე, რატომღაც მომერიდა უკან გავდევენბოდი და ერთ-ერთ ცარიელ დახლთან შევჩერდი, რომ მყიდველ-გამყიდველთა ვაჭრობისთვის ხელი არ შემეშალა და შორიდან შევცქეროდი ამ სცენას. მარინაც მომიახლოვდა და მითხრა:

– მოდი ციური, იქნებ ახლოს მივიდეთ...

– მარინა, უხერხულია... ეს ხალხი გარს ახვევია და გასაქანს ისედაც არ აძლევს და ახლა ჩვენც ხომ არ მივემატებით... აქედან ვუცქიროთ...

მამა ნიკოლოზი ერთ-ერთი სვეტის კუთხეში განთავსებულ დახლთან დადგა. მას მამაკაცი მიუახლოვდა, ვისაც სახლი ჰქონდა და მისთვის მოძიებული და სადაც მამა ნიკოლოზი, როგორც სჩანს საცხოვრებლად უნდა გადასულიყო. ცოტა ხანი რალაცაზე საუბრობდნენ, უფრო სწორად, ეს კაცი ესაუბრებოდა, ის კი უტყვად, შესტიკულაციით პასუხობდა... ხან ხელს აუქნევდა და ხან თავს დაუქნევდა. მერე როგორც სჩანს მისი შეთავაზებული სახლი არ მოეწონა. ერთმა ქალმა იქვე დახლზე მოზრდილი ფუ-

თა დაუდო. მამა ნიკოლოზმა იქიდან რაღაცის შერჩევა დაიწყო. თავისი ქუდი მოიხადა და ერთი ყურებიანი ქუდი მოიზომა. მერე ცოტა ხანი ხელში ატრიალა და მგონი უკან დადო. ამ დროს მეორე მამაკაცი მიუახლოვდა და ახლა მან მიანოდა ფოტო. როგორც სჩანს, მან სხვა სახლი შესთავაზა. იმასაც უარი უთხრა,

– აბა როგორი გნებავთ?! – ჰკითხეს.

– მე კორპუსშიც მაქვს კიდევ კარგი ბინა... – კვლავ იმ პირველმა მამაკაცმა უთხრა.

– არა, კორპუსში არ წავა. მას საკუთარი სახლი უნდა ეზოთი... – შეეპასუხა მეორე მამაკაცი.

ამ დროს ჩემს გვერდზე მდგომ მარინას გადავულაპარაკე:

– მოდი ერთი, უკან ვდგავართ და მის სახეს ვერ ვხედავ. აი, იქით, გვერდზე გავიდეთ. მსურს მის სახეს შევხედო.

მართლაც, დახლებს გვერდიდან მოვუარეთ და დარბაზის ერთ-ერთ ბურჯთან დავდექით, საიდანაც უკვე ნახევრად პროფილში სჩანდა მამა ნიკოლოზი. რაღაც მომენტში ვიღაცას, მის გვერდზე მდგომ ადამიანს მოჰხედა და მეც უკვე გარკვევით დავინახე მისი ფერმკრთალი, სპილოს ძვლისფერი სახე.... ძალზედ დაღლილი, სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა.

მარინას რატომღაც ღიმილით ვეუბნები:

– იცი, მარინა? მე აქ იმიტომ ვარ, რომ მას მგონი ჩემი სახლი უნდა შევთავაზო?! ...

მე და მარინა უკან შემოვბრუნდით და გასასვლელისკენ ჩაყოლებულ დახლს ჩამოვყევით... არ მისული გასასვლელთან, ფარდა ჩამოფარებულ დახლთან შევჩერდი. ამ დროს ვიღაცამ ფარდა გადასწია და დახლ-მაცივარი გამოჩნდა, სადაც გაყინული თევზები ელაგა. მე უკან დავიხიე რადგან ხალხის ნაკადი ამ დახლს შემოეხვია. წინ მამა ნიკოლოზი იდგა და ხელით იკითხა, რა თევზია და რა ღირსო.

გამყიდველმა ჩამოუთვალა თევზის სახეობა. მამა ნიკოლოზმა ყველაზე უარი სთქვა. მე ვკითხე:

– იქნებ სკუმბრია უნდა?..

– სკუმბრია არა გვაქვს. – მოკლედ მომიჭრა გამყიდველმა.

მე გასასვლელისკენ შევბრუნდი და ის იყო, ფეხი უნდა გადამედგა, რომ მოვიხედე და ჩემს გვერდით ის პირველი კაცი აღმოჩნდა, ვინც სახლებს სთავაზობდა მამა ნიკოლოზს.

რატომღაც მივუბრუნდი მას და მორიდებით ვეუბნები:

– იცით რა, მე მაქვს თბილისთან ახლოს აგარაკი. თუ გნებავთ, შესთავაზეთ მამა ნიკოლოზს და ნახეთ რას გეტყვით...

ჩვენი საუბრისას მამა ნიკოლოზმა გვერდით ჩაგვიარა. ამ კაცმა შეაჩერა და ეუბნება:

– მამა ნიკოლოზ, ამ ქალბატონს ჰქონია თბილისთან ახლოს აგარაკი...

სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ მამა ნიკოლოზი ჩემსკენ შემობრუნდა, უკან დაიხია, ჩემს წინ დადგა და ხელით მეკითხება:

– „სად“?

მეც ვუთხარი:

– მამა ნიკოლოზ, ლისის ტბის თავზე, მუხათწყაროში მაქვს ორსართულიანი სახლი მანსარდით. ყველა სართულზე ბუხრით და ყველა კომუნიკაციებით. კარგი სამზარეულოთი და 1200 კვ/მ გამწვანებული ეზო-კარით.

იგი „მეკითხება“:

– წყალი არის? – და ხელი პირთან ისე მიიტანა, თითქოს ჭიქიდან სვამდა წყალს...

– დიახ, დენი, წყალი და გაზი არის. – ვუთხარი მე.

– როდის ნავიდეთ?! – ხელის მოძრაობით მკითხა და სახე სიხარულისგან გაეზადრა...

– როცა გნებავთ! – მეც ღიმილთვე და თან გაოცებით მივუბე.

– მაინც როდის?! – კვლავ ხელით მისვამს კითხავს

– როცა თქვენ ინებებთ! – თან იუმორში დავუმატე: – იცი, მამა ნიკოლოზ, იქ ქართული ნაგაზი მყავს. ჯიშისანი ძაღლია! – ისიც თქვენსავით „მდუმარებაშია“ – ძალიან იშვიათად ჰყეფს! – ახლა უკვე სიცილი ველარც მე შევიკავე...

მამა ნიკოლოზმა ისე გულიანად გაიცინა, რომ მთელი მრევ-

ლი „სახტად“ დასტოვა! სიცილს აგრძელებდა და თან ორივე ხელს იქნევდა:

– მაშინ ახლავე წავიდეთ! წავიდეთო!...

მეც სახეგაბადრულმა ვუთხარი:

– როგორც გენებოთ, მამა ნიკოლოზ! მე ახლა მივხვდი აქ რისთვის ჩამოვედი... ეს თქვენ ჩამომიყვანეთ, რომ ჩემს სახლში გეცხოვრათ... ახლა უკვე კარგად დავინახე ეს!...

და მამა ნიკოლოზმა, გახარებულმა შემომცინა და გულიანი სიცილით ხალხს გადახედა:

– დიახ, ასეაო! – და თავის დაკვრით დამიდასტურა.

შემდეგ, ერთ-ერთ თანმხლებს მიუბრუნდა და ანიშნა, რომ დიდი მანქანა მოეყვანათ, ბარგი ჩაელაგებინათ და იმ დღესვე ნამოსულიყვნენ თბილისში.

ხალხი გაოგნებული უცქერდა ამ სცენას. ყველანი პირჯვარს იწერდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ...

– „ნახეთ მამა ნიკოლოზი როგორ იცინის! რამდენი ხანია იგი გალიმებულიც კი არ გვინახავს! ახლა კი სახე როგორ უბრწყინავსო“...

მამა ნიკოლოზი გასასვლელისკენ წავიდა და ხალხი ჯგუფად მიჰყვა მას. მე და მარინა სულ ბოლოს გავედით.

მამა ნიკოლოზი ეზოს გასასვლელთან იდგა და თვალებით მეძებდა. რომ დამინახა, ხელი დამიქნია, „აქ მოდიო“ მანიშნა. მეც მაშინვე მისკენ გავეშურე. მან მისი თანმხლებლის პირით „მითხრა“:

– დღეს არ ესწრება მანქანის მოყვანა. ამიტომ ხვალ შენ სად დამხვდები მითხარი და იქ მოვალო.

მე ვუთხარი:

– მამა ნიკოლოზ, ლისის ტბის ასახვევთან დაგელოდებით. ოღონდ მითხარით რომელ საათზე დაგხვდეთ.

მან ფანქარი და ფურცელი მოითხოვა, ტელეფონის ნომერი და მისამართი ჩაიწერა და თანმხლების პირით „მითხრა“:

– ხვალ სამ საათზე ლისის ტბის ასასვლელთან დაგხვდებით და უნდა წასულიყო, რომ ამ დროს მე ვუთხარი:

– მამა ნიკოლოზ, „ანასტასიას“ წიგნების ჩემი თარგმანები და ერთი ქილა თაფლი ჩამოგიტანეთ და ინებეთ!...

– არა, ახლა არ მინდაო – ხელით მანიშნა და გამიღიმა.

მე მისი უარით გულდანყვეტილმა „ნავენუნუნე“:

– მამა ნიკოლოზ, აბა ტყუილად ვატარე ამხელა გზა?! უკან როგორ წავიღო?! სირცხვილი არ არის?!...

ჩემს „ნუნუნეზე“ მამა ნიკოლოზს გულიანად გაეცინა და თან-მხლების პირით მითხრა:

– არა უშავს. ხვალ სახლში რომ ამოვალ, მერე იქ დამიტოვებო...

მეც გამეცინა და ვუპასუხე:

– კარგით, რადგან ასეა, რას ვიზამ... აბა ხვალამდე!

მამა ნიკოლოზი შებრუნდა, იქვე მდგარ მანქანაში ჩაჯდა და წალვერისკენ წავიდა.

ჩვენც, სამარშრუტო ტაქსში ჩავსხედით. ვიფიქრე, თბილისისკენ წავიდოდით, მაგრამ მძღოლმა მანქანა მოაბრუნა და მამა ნიკოლოზის მანქანას უკან გაჰყვა. ასე, რომ ჩვენც წალვერში ავედით. მამა ნიკოლოზი თურმე იქ ბიძასთან, მერაბ ცინცაძესთან ცხოვრობდა. ქალების ნაწილი მანქანიდან გადავიდა და მის ჭიშკართან, ქუჩის პირზე დადგნენ და გალობა დაიწყეს. მრევლმა დაახლოებით ნახევარი საათი იგალობა, მერე კვლავ მანქანაში ამოვიდნენ და ამჯერად უკვე თბილისისკენ წამოვედით.

უკანა გზაზე ყველანი წიგნების შეძენის მიზნით ტელეფონის ნომერს და მისამართს ინერდნენ და თან დიდის მოწინებით მექცეოდნენ. იმ ქალბატონს, რომელმაც წიგნი „ანასტასია“ ასე ვთქვათ „დააკნინა“, მთელი გზა ხმა არ ამოუღია და „დარცხვენილი“ იჯდა თავისთვის...

მთელი საღამო დიდი ემოციების ქვეშ ვიყავი. ძალიან მსურდა მამა გიორგისთვის „შემეტყობინებინა“ დღევანდელი ჩემი სტუმრობა მამა ნიკოლოზთან და ამიტომ დავდექი და „ბარათი“ მივწერე:

„მამა გიორგი, ჩემო ძვირფასო ბერო! იყავ ჯანმრთელი და

დღეგრძელი! ძალიან მიყვარხარ! დიდი მადლობა შენ, რომ არსებობ ჩვენთვის, ქართველებისთვის!

მე ბედნიერი ვარ, რომ შენ მეხმარები!

გუშინ მამა ნიკოლოზთან შენ გამაგზავნე და შენი სურვილიც პირნათლად შევასრულე... რატომღაც ასე მგონია მე...

ხვალიდან მამა ნიკოლოზი მუხათწყაროში იცხოვრებს! ძალიან მიხარია, თუ მისთვის რაიმეს გაკეთება შევიძელი!

მამა გიორგი, როცა მახსენდება, რომ შენი გაცნობის ბედნიერება მხვდა წილად, ადგილს ვერ ვპოულობ სიხარულისგან! გაიხარე და გაგვახარე! შენ დიდებული ბერი ხარ! შენ ნამდვილი ქართველი ხარ! მადლობა უფალს შენი არსებობისთვის!“

ციური გარუჩავა
01.12.2011 წ. ღამის 11 სთ

02.12.2011 წ.

ქეორე დღეს, 2 დეკემბერს დილით, მამა ნიკოლოზის ახლობელმა მრევლმა დამირეკა და მითხრა, რომ იმ დღეს ვერ ასწრებდა მამა ნიკოლოზი ჩამოსვლას და თუ შეიძლებოდა ერთი დღით გადაგვედო მუხატწყაროში ასვლა.

მე ვუთხარი:

– რა პრობლემაა. მამა ნიკოლოზს როცა მოეხერხება და მოესურვება, მაშინ მითხრას და მე იქ დავხვდები. ისე, ერთი წინადადება მსურს შემოგთავაზოთ თქვენ, ვისაც მისი დაბინავება გევალებათ, იქნებ დამეთანხმოთ...

– გვითხარით ქალბატონო ციური, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ.

– კარგით, მაშინ იქნებ თქვენ დღესვე მოსულიყავით ჩემთან და ერთად ავსულვიყავით მუხატწყაროში. გენახათ წინასწარ იქაური სიტუაცია და უფრო გარკვევით აუხსნიდით მამა ნიკოლოზს, რა პირობებში მოუწევდა ყოფნა.

– მართალი ბრძანდებით. მაშინ ერთ საათში დაგირეკავთ და შეგატყობინებთ, რომელი საათისთვის მოვახერხებთ იქ ასვლას.

– კეთილი, ოღონდ ეცადეთ დღის საათებში ავიდეთ. უფრო კარგად დაათვალიერებთ იქაურობას, რადგან მალე ბნელდება.

– კარგით, ქალბატონო ციური. დაგირეკავთ. რამდენიმე საათში დამირეკეს, მომაკითხეს მანქანით და ჩვენც მუხატწყაროსკენ გავემარეთ. სანამ იქ ავედით უკვე დაბნელდა კიდეც. მათ შეძლებისდაგვარად დაათვალიერეს სახლიც, ეზო-კარიც და უკან დაბრუნებისას მითხრეს, რომ თავად სახლ-კარი მოეწონათ და მამა ნიკოლოზს თავიანთ შეხედულებას გადასცემდნენ. მეორე დილით დამირეკა ერთმა მათგანმა და მითხრა, რომ მამა ნიკოლოზმა დიდი მადლობა შემომითვალა და ასე დაუბარებია:

– გადაეცით ციურის, ჩათვალოს რომ მე მის სახლში უკვე ვიცხოვრე და მისი შემოთავაზებით ძალიან დიდი მადლობელი

ვარ. ისიც უთხარით, რომ სახლს გაყიდის და ყველაფერი კარგად ექნება!

მე, ცოტა არ იყოს, მათმა ნაამბობმა დამაბნია, მაგრამ აბა რა უნდა მეთქვა:

– გადაეცით მამა ნიკოლოზს: – როცა მოისურვებს ყოველთვის ღია იქნება ჩემი სახლის კარები მისი სტუმრობისთვის! და მათ დავემშვიდობე...

მერე როგორც შემატყობინეს, მამა ნიკოლოზი გადასულა სემიონოვკაზე, ჯაფარიძის ქუჩაზე. მე და ანა ჯოჯუა ერთხელ მამა ნიკოლოზთან ავედით. მსურდა ნიგნები და ქილა თაფლი გადამეცა, მაგრამ როგორც იქ შევიტყვე, მამა ნიკოლოზი იშვიათად გამოდის ხალხთან, მიუხედავად იმისა რომ მომლოცველები თითქმის ყოველ დღე იკრიბებიან მისი სახლის ეზოს გასწვრივ ქუჩაში.

როცა უკვე ორტომეული გამოვეცი, მაშინ გადავწყვიტე ეს სრული კრებული მიმერთმია მისთვის. თან ჩემი დამზადებული ერთი ქილა ტუიას მურაბაც წავუღე. დიდხანს ველოდი. ჭიშკართან იქ ერთი მამაკაცი დიდხანს მესაუბრებოდა, როგორც თავად გამეცნო ლაზარე ზაქარეიშვილი აღმოჩნდა, მამა ნიკოლოზის უახლოესი ადამიანი. ამ დროს გამოვიდა მამა ნიკოლოზი. ჩვენ პირისპირ შევხდით ერთმანეთს:

– მამა ნიკოლოზ, გამარჯობათ!

მან პასუხად გამიღიმა.

– მე ის ვარ, ვისთანაც თქვენ უნდა გადმოსულიყავით მუხათნყაროში საცხოვრებლად. მაშინ იმ ხუთნიგნეულზე და თაფლზე მითხარით, რომ ჩემს სახლში რომ გადმოსვიდოდით იქ დაგახვედრებდით. მას შემდეგ ახლა უკვე ორ ტომად გამოვეცი ათივე ნიგნი და აი, მოგართვით. ეს კი ერთი ქილა ჩემი გაკეთებული ტუიას ეგზოტიკური მურაბაა...

მან გამიღიმა, „დიდი მადლობაო“ თავი დამიქნია, თბილად დამაცქერდა და არ გამოურთმევია, ისე განაგრძო გზა. მე ცოტა დაბნეული დავრჩი. არ ვიცოდი რა უნდა მექნა... ამ ფიქრში ვიყავი, რომ უკან შემობრუნდა ჩემსკენ, გამიღიმა, თითქოს მე-

ბოდიშებაო ისე, თვალებთან ხელები მიიდო, მანიშნა მტკივაო და კითხვა მიჭირსო და ამიტომ არ გართმევო... კიდევ ერთხელ გამილიმა, შებრუნდა და დაღმართზე მომლოდინე ხალხისკენ დაეშვა.

იგი წინ წავიდა და ხალხიც ფეხდაფეხ მიჰყვა...

მე კი, ოდნავ შეცბუნებული დავუყევი სახლის ბილიკს და ქუჩაზე გავედი, რომ ამ დროს ის კაცი, ვინც მესაუბრებოდა, მომიახლოვდა და მითხრა:

– ხომ გითხარით ქ-ნო ციური, იგი არავის არ ართმევს არაფერს. თქვენ არ გეწყინოთ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მაინც-ცადამაინც თქვენ არ გამოგართვათ და თქვენს მიმართ უარყოფითად არის განწყობილი... მეც, ამდენს რომ გესაუბრებოდიტ მასზე, მისი ნების გარეშე არც მოხდებოდა... ამითიც რალაც მიგანიშნათ... – მერე გამილიმა და უკან გაჰყვა მამა ნიკოლოზს.

მე ცოტათი გულდანწყვეტილი მაინც დავრჩი...

მალე მამა ნიკოლოზი და ხალხი თვალს მიეფარა, როცა გონს მოვედი. ამ დროს ტაქსმა ჩამოიარა, ხელი დავუქნიე, ჩავჯექი და სახლისკენ წამოვედი.

გზაში, ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მამა ნიკოლოზს და მომლოცველებს დავენიეთ. ტაქსის მძღოლს მანქანა შევაჩერებინე... გზა დავუთმეთ სანამ მამა ნიკოლოზი და მის უკან მიმავალი მრევლი ქუჩას გადაკვეთდნენ და მანქანის სავალ გზას გაანთავისუფლებდნენ... თვალი გავაყოლე მიმავალ ჯგუფს და რალაცნაირად გული შემეკუმშა...

– ღმერთო შენ მიეცი დიდი მოთმინება და ძალა ამ შესანიშნავ ბერს, რომ ამ ადამიანების გონების და გულის კარების გახსნა შეიძლოს... – გავიფიქრე ჩემთვის.

მალე სახლში მივედი...

გავიდა რამოდენიმე დღე და მარინა ზარქუა ჩამოვიდა მარტვილიდან. ერთმანეთი მოვიკითხეთ. მერე მე მამა ნიკოლოზთან სტუმრობის ამბავი მოვუყევი და გულდანწყვეტილმა ვუთხარი:

– იცი, მარინა, არ ვიცი, წიგნები რატომ არ გამომართვა... კარგი, შესაძლოა სხვის გაკეთებულ საკვებს ხელს არ ჰკიდებს...

მე ვთვლი, რომ ამისთვის ალბათ აქვს ობიექტური მიზეზი, მაგრამ წიგნები ხომ შეეძლო დაეტოვებინა?!... ვთქვათ, თვალები სტკივა და ვერ კითხულობს, მაგრამ ხალხს ხომ დაანახებდა, ამ წიგნების მიღებით მის „მნიშვნელოვნობას“?!. იქნებ ამითი პირიქით, მე დამანახა რომ სულაც არ არის იგი ისეთი მნიშვნელოვანი, როგორაც მე მიმაჩნია?!

– იცი, ციური, მე მამა გიორგისთან უნდა წავიდე და ამ ამბავს მოუყვები... იგი, ალბათ თუ არ მეტყვის, მიმანიშნინებს მაინც რამეს...

მართლაც მარინა 11 იანვარს ერთ ჯარისკაცთან ერთად, რომელსაც კუჭის პრობლემები ჰქონდა, მამა გიორგისთან იყო ფოგნარში. მამა გიორგი ჯერ იმ ყმანვილს გასაუბრებია. ხოლო, როცა ჯარისკაცი კელიიდან გასულა მერე მიუბრუნდა თურმე მარინას და ჰკითხა:

– აბა, ანიჩკა, რაშია საქმე, რა გაინტერესებს?!...

მარინამ მისვლის მიზეზი აუხსნა და საუბრის მსვლელობისას მეც ვუხსენებდვარ. მოუყოლია ჩემი და მარინას მამა ნიკოლოზთან ბორჯომში სტუმრობის ამბავი. მერე ჩემი მამა ნიკოლოზთან უკვე თბილისში, ვერაზე სტუმრობის და წიგნების მიტანის ამბავი. მამა გიორგის ამ ამბის მოსმენისას სიხარული გამოუხატავს, შიგადაშიგ მოკლე-მოკლე კითხვებს უსვამდა ასეთი სახით „მერე?“... და თან თავს უქნევდა კმაყოფილების ნიშნად...

მერე მარინას უკითხავს:

– მამა გიორგი, მე ვკითხულობ „ანასტასიას“ თარგმანს და როგორ ფიქრობთ, კითხვა გავაგრძელო?...

– აბა რა უნდა ქნა! „მაგარია!“

მარინასთვის გაუღიმიდა, მერე მუშტ-მუშტოვანი ხელი მალლა აუნევიდა, რამოდენიმეჯერ აუქნევია ზემოთ მოწონების ნიშნად და თან დაუმატებია: – ყველაფერი კარგად იქნება!

მერე გულიანად დაულოცავს და ისე გამოუშვია კელიიდან.

მარინამ რომ ეს ამბავი მომიყვა, გულზე მომეშვა.

მე ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ანასტასიას მსოფლმხედველობა ძალიან დროული და უაღრესად მნიშვნელოვან-

ნია არა მარტო კაცობრიობისთვის, არამედ პირველ რიგში განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველებისთვის, რადგან ჩვენში, ქართულ გენშია ის უძველესი ცოდნა „დავანებული“, რასაც „ფარდა ახადა“ ანასტასიამ და დღევანდელ კაცობრიობას წიგნის სახით დაუდო, რითიც საბოლოოდ ნილაბი ჩამოხსნა ერში თუ ბერში „მოკალათებულ“ ბნელ ძალებს და მათი ხრიკები და ქმედებები სააშკარაოზე გამოიტანა!

ანასტასიამ ბნელი ძალების ხრიკების დაძლევის და საბოლოოდ დედამიწიდან მათი გაძევების, ცხოვრების მოწყობისა და ბავშვების აღზრდის უნიკალური პროგრამაც დადო!

ამ სახით ცხოვრების მოწყობისა და ბავშვების აღზრდის მეთოდი კი მთელს დედამიწაზე მხოლოდ ყველა კუთხის ქართველების ადათ-წესშია დღესამომდე შემონახული! ამიტომაცაა ჩვენი წინაპრები რომ „გვიკიჟინებენ“ კაცობრიობის გადარჩენის კოდი ქართველებში ძევსო და საქართველო აუცილებლად „გაბრწყინდება“!

ჰოდა, ეს მისია ქართველებს დაგვაკისრა უფალმა და უნდა გამოვიღვიძოთ კიდეც, რათა აღვადგინოთ ჩვენი ადათ-წესები და ამითი გადავირჩინოთ თავიც, გადავარჩინოთ სამშობლოც და შესაბამისად ზოგადსაკაცობრიო ცნობიერებაც!

* * *

ჩემი მიმართვა თანამემამულეებს:

02.12.2011წ. პარასკევი.

წამოიღვიძეთ ქართველებო! სირცხვილია! ამხელა სიბრძნის მფლობელები ხართ და მიწაში მარხავთ? იმის მაგივრად, რომ საკუთარ თავში დამარხულს ამჟღავნებდეთ და ახორცილებდეთ ჯერ თქვენი თავის, მერე თქვენი ოჯახის, შესაბამისად - სამშობლოს და მთელი სამყაროს საკეთილდღეოდ?! სირცხვილია. გაიღვიძეთ! ნუ დაღალეთ ისედაც თქვენს გამო დაღალული და გადაქანცული წმიდანები: მამა გიორგი, პატრიარქი, მამა იოანე, მამა ნიკოლოზი, აღარ ვამბობ ერის ადამიანებზე.... თორემ ხომ ხედავთ, მე ვხედავ და თქვენ ნუთუ ვერ ხედავთ, მათ გარდა და ზოგიერთი საერო ნამდვილი ადამიანების გარდა, თქვენი დამონება-დამორჩილების გამუდმებულ ცდაში რომაა ყველა!!!

გამოიღვიძეთ და თქვენთვის დამამწვრალ ადამიანებს ნუკი ლანძღავთ და ესევეთ წურბელებივით, არამედ თავად გახდით მათთვის სასიკეთო ენერგეტიკული წყარო!!! რაა, ვერა?!... თქვენ კი ამის მაგივრად რას სჩადით?! მოკალათებულხართ ორი მილიონი თბილისში, მცონარობთ და მიტოვებული გაქვთ ღვთივბოძებული და დედა მარიამის წილხვდომილი მადლიანი მიწა, რომელიც ყველა თქვენთაგანს ელის, რათა გადაგარჩინოთ და სამშობლო გაგაბრწყინებინოთ! გამოიღვიძეთ!

ციური გარუჩავა

* * *

მოსჯზრებზე – მოსჯზრება

იოანე ოქროპირი: ... ხალხის კრებული, საყვარელო, როდესაც იგი ღმერთის ნებას არ ასრულებს, არაფრით განსხვავდება მათგან, ვინც საერთოდ არ არსებობს!...

მე (ც.გ): – ღმერთის ნება კი – ბუნებასთან შერწყმაა, მისი კანონების აღსრულებაა, მასთან ერთად ჰარმონიული თანაცხოვრება და თანაქმნადობაა.

მამა გიოგი: როცა ერს არ აქვს საკმარისი სინანული, მაშინ კაცთმოყვარე ღმერთი, ისევ ჩვენდა სასიკეთოდ, გვიგზავნის ტკივილს, მწუხარებას, შიმშილს და სხვადასხვა სახის განსაცდელს, – ამით გვიბათილებს ცოდვებს.

მე (ც.გ): – ანუ მანამ გვექნება ტანჯვა, ტკივილი და განსაცდელი, სანამ ერთმანერთს დაპირისპირებული მხარე გულწრფელად არ აღიარებს თავის შეცდომებს, არ შეურიგდება ერთმანერთს და ერთობლივად არ იმოქმედებს საკუთარი თავის, ოჯახის და სამშობლოს ფეხზე დასაყენებლად! და ეს ორივე მხარემ უნდა შესძლოს დროზე, თორემ დაგვიანებულ მონანიებას – მისთვის შენდობის შედეგი არ მოაქვს. სამწუხაროა, მაგრამ ასეა, რადგან **ბუნების კანონი – მარადიულია და შეუცვლელი. იგი უფლის, თავად ღმერთის თავისუფალი ნებაა! და თუკი ადამიანის თავისუფალი ნება ხელშეუხებელია და თავად უფალიც კი არ ერევა მასში – მაშ მითუმეტეს, რაღაა უფლის, თავად ღმერთის თავისუფალი ნება თუ არა შეუცვლელი და მარადიული?! იგი საკუთარ ნებას არასდროს დათმობს და შესაბამისად, ღმერთმა ადამიანისთვის თავისუფალი ნების მინიჭებით, – მარადიული თანასწორობა დაამკვიდრა!**

ადამიანი თავისუფალი ნებით – სწორია* – უფალ-ღმერთის თავისუფალი ნების! ე.ი. როგორც კი ადამიანი ღვთის თავისუფალ

* შესაძლოა რუსთველმა „სწორი“ იმიტომაც სთქვა „მდედრსა და მამრს შორის“ და არა „ტოლი“...

ნებას შეეჭიდება და საკუთარი თავისუფალი ნების უპირატესად
ნარმოჩენას შეეცდება – იმ წამსვე მისი პინა ამპარტავნებისგან
(ერთ-ერთი ცოდვა) დაბლა დაიწვეს და უფალ-ღმერთის კი მალ-
ლა აიწვეს! ჩემის აზრით:

დაბლა დაშვება; – ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა;

მაღლა აწვევა; – სასუფევლისკენ მიმავალი გზა!

თანასწორობა კი: – სამოთხეში ცხოვრება!

* * *

ჩემი აზრ-ფიქრი:

„ვეფხისტყაოსანში“ გმირთა ცირიღზე...

წამოტირება: – „ღვთის წინაშე ცოდვების შენდობის თხოვნაა!“ – ანუ ვეფხისტყაოსანში ყველა მთავარი გმირი, ანუ წმიდა ადამიანები როგორც სჩანს ამიტომაც სტირიან!... ყოველ მათგანს ხომ ნაკისრი აქვთ თავ-თავიანთი წილი პასუხისმგებლობა ერთმანერთის, ქვეყნისა და შესაბამისად სამყაროს წინაშე?!

ჰოდა, ჩემის აზრით, რუსთველიც ზუსტად ამის გამო „ატირებს“ თავის გმირებს – ანუ მუდმივად უფალ-ღმერთთან „კავშირში“ ამყოფებს!..

ციური გარუჩავა

ქართვედ ერზე

ქართველების სისხლის ფორმულა: – ენა, მამული, სარწმუნოება!

საკაცობრიო სისხლის ფორმულა: – ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია!

ერთს ფარდა ახადა ილიამ, მეორეს – შოთამ!

ქართველების ღვთივ ბოძებული მისსიაა კაცობრიობის წინაშე და სრულიად სამყაროს წინაშე ამ სამი მცნების უპირობოდ დაცვა-შენარჩუნება. ამიტომ ვართ ჩვენ გამორჩეული და ამავდროულად, შეუცვლელი ერი. ამიტომ მოვდივართ დასაბამიდან და არასდროს გადავშენდებით. ამიტომ გვაქვს ჩვენი არსებობის ყველაზე კრიტიკულ მომენტში უფლის იმედი. მან

საკაცობრიო დვრიტის ჩვენში დავანებისა და მისი დაცვის მისსია მოგვანიჭა. ამიტომ ეძებენ უხსოვარი დროიდან ჩვენთან ოქროს სანმისსა თუ გრაალის თასს. ამიტომ ვერ დაიდგამს ანტიქრისტე ჩვენთან ტახტს!

ღმერთმა ადამიანი მოავლინა ქვეყნიერების მბრძანებლად, ანუ მისი საბრძანებელი – მამულია;

ღმერთმა ადამიანს მისცა ქვეყნიერებასთან საურთიერთოდ – ენა;

ღმერთმა ადამიანს ქვეყნიერებასთან თანაქმნადობის წესად დაუდგინა – სარწმუნოება;

ხილულ თვალსაწიერში ჩვენი მამული – საქართველოა;

ხილულ პლანში ასო-ბგერითი გამოსახულება და გამოხატულება – ენა ქართული;

ხილულ პლანში ჩვენი ქვეყნიერებასთან თანაქმნადობის მიმართულება – ქრისტეს გზაა.

ეს სამი მცნება კაცობრიობის მარადიული არსებობის ფორმულაა. ამიტომ, უფალმა ფიზიკურ პლანში ქართველს ასე გამოუსახა და დაუნესა:

მამული – ოქროს სანმისი! (ჩამოჰგავს კიდევ საქართველოს ტერიტორია ბატკნის გადაშლილ ტყავს...)

ენა – გრაალის თასი!

სარწმუნოება – ქრისტე, – გზა მამა ღმერთისკენ! („მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ იოანე. თავი 14/6.)

ციური გარუჩავა

15.10.2012წ. ორშაბათი 14.30 სთ.

მეხუთე შეხვედრა მამა გიორგისთან ჭოგნარში

29.12.2011 წ.

წუშინ, 29 დეკემბერს, ხუთშაბათს ჩავედი მამა გიორგისთან ჭოგნარში. ძალიან დიდი სურვილი მქონდა, „ადა-მიანურად“ მომენახულებინა. მომენახულებინა ისე, უბრალოდ, ყოველგვარი თხოვნის გარეშე,

კარებში ვილაც ხანდაზმულმა ქალმა გამომხედა, ხელჯოხით იდგა. მკითხა:

– საიდან ხარ? რა გვარის ხარ?

ვუპასუხე:

– თბილისიდან ვარ... გარუჩავა ციური

– ჰოდა, მიდი, შედი!

მამა გიორგი კელიაში იწვა... კისრამდე აქლემის ყელის პლ-ელი (მის ქვეშ კი საბანი) ეხურა... დიდრონი თვალებით მშვიდად შემომცქეროდა:

– გამარჯობა, მამა გიორგი... ავად ხომ არ ბრძანდებით?

– გამარჯობა... ჰო, შეუძლოდ ვარ...

– რატომ? რა მოგივიდათ?! – ვკითხე შენუხებულმა.

– ფეხების დამტვრევის შემდეგ, ზამთარს და სიცხეს ველარ ვიტან... ფეხები მანუხებს და აი, უკვე ორი თვეა ასე ვწევარ... – მშვიდად შემომჩვილა მან.

– ჰოო... – შევწუხდი და ისე გამოვხატე ეს შორისდებული...

– მე, უბრალოდ სანახავად მოვედი. აი, ფიჭა მოგართვით, კან-ფეტები და აი... ნახეთ, ნაძვისხის სათამაშო, გერმანიიდან ჩამო-ვიტანე, ძალიან უცხოა და ზედ თოვლის ბაბუაა გამოსახული... რატომღაც თქვენ მიგამგვანეთ და... გადავწყვიტე თქვენთვის მეჩუქებინა.

გაელიმა. თვალებით იქვე, ხატების ქვემოთ მდგარ მაგიდის-კენ მიმანიშნა და მეც ყველაფერი იქ დავანყვე...

– ჩამოჯექი... – მითხრა.

ოთახში ერთი სკამი იდგა და მასზეც დიდი ხატი იყო დასვენებული. შემოსასვლელ კარებთან, დერეფანში კი რამოდენიმე სკამი იდგა, მაგრამ შემოტანა მომერიდა და ფეხზე დგომა ვარჩიე...

– არა უშავს, მამა გიორგი, ცოტა ხანი ასე გაგესაუბრებით. თავს დიდხანს არ შეგანყენთ...

სიჩუმე ჩამონვა...

– მამა გიორგი, – უხერხული სიჩუმე კვლავ მე დავარღვიე, – შარშან ვიყავი თქვენთან და...

– არ მახსოვხარ, აქ იმდენი ხალხი მოდის, რა დაიმახსოვრებს მათ!... – შემანყვეტინა სიტყვა.

– ჰო, რა თქმა უნდა, რა მოხდა მერე... – მაგას არ აქვს მნიშვნელობა. მაგიტომ არ მითქვამს... უბრალოდ გამახსენდა, ამ ხატს რომ შემახედეთ... მე მაშინ ოთხი სახევა დავინახე, თქვენ კი მითხარით, რომ სულ შვიდი არისო...

გაიღიმა და მითხრა:

– გათხოვილი ხარ?!...

მეც, ღიმილით ვუპასუხე:

– შვილი და შვილიშვილი მყავს მამა გიორგი!

– მერე სად არიან?! – სივრცეს გახედა და ცოტა მკაცრად იკითხა.

– აქ არ არიან, გერმანიაში არიან...

– მერე რა უნდათ იქ?! – ახლა უფრო გაიმკაცრა ხმა.

მივხვდი რატომაც გაიმკაცრა ხმა... იგი ხომ მშვენივრად ხედავს ყველაფერს და ძალიანაც კარგად უნყის რა ხდება მასთან მიმსვლელ ადამიანთა ცხოვრებაში, მაგრამ მე არ მსურდა მამა გიორგი ჩემი ოჯახის პრობლემებით შემენუხებინა, ჩემი შვილის და შვილიშვილის გამო გამოწვეული გულისტკივილი და სევდა გამემხილა და ეს რომ არ შემემჩნევინებინა, ცოტა არ იყოს დაბნეულმა ვუპასუხე:

– ჩემმა შვილიშვილმა იქ უმაღლესში ჩააბარა და დედამისიც მის გვერდშია... მას უფლის...

თან შევეცადე საუბარი სხვა თემაზე გადამეტანა და ვუთხარი:

– რომ იცოდეთ, როგორ მიხარია ხოლმე თქვენს მოსანახულებლად როცა ჩამოვდივარ! როგორ მიყვარხართ... ისეთი მადლიერი ვარ თქვენი...

მან დაკვირვებით შემომხედა... თითქოს სიღრმიდან მიცქერდა. მერე მკითხა:

– რა გქვია, რა გვარის ხარ?

– ციური გარუჩავა.

– საიდან ხარ?

– მამა სენაკიდანაა, სოფელი ტყირი. დედა აბაში...

არ დამასრულებინა პასუხი ისე, თითქოს ხასიათზე მოვიდაო, უცებ მითხრა:

– ტყირი... ძალიან კარგი ადამიანები ცხოვრობენ იქ, ძალიან კეთილი და ღირსეული ხალხია...

მე გამელიმა და სიხალისე რომ შემეტანა ჩვენს საუბარში, უცებ ვუთხარი:

– იცი, მამა გიორგი, მე არ ვიციოდი და სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ჩემი ბაბუა აბრაგი ყოფილა?!...

ეს ვუთხარი თუ არა გულიანად გაეცინა და მითხრა:

– რაო, ყაჩალი იყო ბაბუაშენი?!...

– არა, აბრაგი ყოფილა... მეც ასე მეგონა აბრაგი ყაჩალი! და როცა ეს ამბავი გავიგე, მართალი გითხრათ გულიც კი გადამიქანდა... ცოტა მეხამუშა კიდევ და გულის კუნჭულში ვერ ვიჯერებდი, რომ ჩემი ბაბუა ყაჩალი იქნებოდა... მაგრამ მერე ამიხსნა მამიდამ:

– „რა ფერი შეგეცვალა მამიდა! „ყაჩალი“ სხვაა და აბრაგი სხვაა!. აბრაგი მთავრობასთან კონფლიქტში მყოფია... ბაბუაშენი ძალიან სახელოვანი და ვაჟკაცი კაცი იყოო!“

– ისე, მართალი გითხრათ, ასი წელი გავიდა, რაც ის აღარ არის და დღემდე კარგად ხსომებია მთელს სოფელს...

– ჰოო... თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და სადღაც სიღრმეში „გაიხედა“. მერე მე შემომხედა და ღიმილით დაუმატა, – ტყირი საუკეთესო ადამიანების ადგილია, ბაბუ!

– მეც გაკვირვებული ვარ, მამა გიორგი! 29 წლის ყმანვილმა

სად მოასწრო და ასეთი რა ჰქონდა გაკეთებული იმ ადამიანებისთვის, რომ თაობებს გადასცეს მისი სახელი...

მერე მომერიდა ბაბაუჩემზე და საერთოდ ჩემს პირად საკითხზე რომ გამიგრძელდა საუბარი და თემა შევცვალე:

– მამა გიორგი, იცით ერთი ძალიან საინტერესო წიგნი გამოსულა, – „ილიადი, ჯულა“ – მე ვფიქრობ თქვენ მან ძალიან უნდა დაგაინტერესოთ.

დაკვირვებით შემომხედა და მკითხა:

– ვინ არის ავტორი?

– ვინმე მერაბ რატიშვილი... აქ ახლა თან მაქვს პირველი ტომი. გნებავთ, მოგართმევთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მოგეწონებათ. რაზეც და ვისზეც სწერს, – შეგნებულად არ ვახსენე სტალინის სახელი, – იგი თქვენთვის ძალზედ ახლობელი და მნიშვნელოვანია...

და წიგნი ამოვიღე ჩანთიდან.

წიგნს შეხედა და მითხრა:

– მე, ვიცი მანდ რაც სწერია...

– ეჭვიც არ მეპარება, – ღიმილით მივუგე, – მაგრამ თუ წაიკითხავთ უფრო გესიამოვნებათ... იგი, თქვენს შეხედულებებს ადასტურებს... მე სიამოვნებით გაჩუქებთ, ოღონდ თავად უნდა მითხრათ თანხმობა, თორემ, თქვენ ისეთი ბრძანდებით, თუ რაიმე არ გსურთ, მკაცრი მოქცევა იცით... ჰოდა, თუ თქვენ გნებავთ იმ შემთხვევაში გაჩუქებთ... მე კი, გამეხარდება.

შემომხედა და ოდნავ უხერხულად მითხრა:

– მე არ მინდა შენ მოიკლო...

– რა საკადრისია, მამა გიორგი! – სიხარულით მივაგებე სიტყვა და წიგნი მაგიდაზე დავდე. – ოღონდ ჩვევა მაქვს, როცა რაიმე მნიშვნელოვანს ვკითხულობ მისი აღნიშვნა ვიცი და აქაც რაღაც-რაღაცეები მარკერით მაქვს აღნიშნული და არ დამძრახოთ...

– არა კაცო!... კარგი... მაჩუქე... ერთი ის ბურთი მიჩვენე... რა არის ასეთი, რომ მითხარი, – და მაგიდაზე ჩემს მიერ დადებული ნობათისკენ მიმითითა.

– ჰოო... აი, ნახეთ! – და ნაძვის ხის სათამაშო მივანოდე, – ნახეთ, შუშის არ არის... ზედ თოვლის ბაბუაა გამოსახული... რატომღაც თქვენ გამგვანებთ!...

კეთილად გაიცინა და მითხრა:

– მართლაც კარგია...

ცოტა ხანი ორივენი ვდუმდით.

მერე მოულოდნელად, ხელები საბნის ქვეშიდან გამოიღო, მაღლა ასწია და ორივე ხელის მტევნებს დაუნყო დაჟინებული ცქერა.

მეც მისი ხელის მტევნებს შევხედე და აღტაცება ვერ დავფარე:

– უყურე შენ! მამა გიორგი! რა ლამაზი თითები გქონიათ?!

– ჰო... გრძელი თითები მაქვს, სიგრძე 14 სანტიმეტრია, – კმაყოფილმა მიპასუხა, – ხომ იცი შენ, ამ თითების გამო „ქურიებს“ უნდოდათ, რომ მათთან ერთად ვყოფილვიყავი.

– ვის უნდოდათ? მაპატიეთ, სიტყვა ვერ გავარჩიე...

– ქურდებს, კაცო, ქურდებს... გრძელი თითები გაქვს და კარგად მოიპარავო...

და გულიანად გაიცინა.

მის შემხედვარეს მეც სიცილი ამიტყდა და ვუთხარი:

– უყურე შენ!.. ნახე მაგათ რა მოსდომებიათ!.. თქვენც არ დასთანხმდით, არა?! – გავეხუმრე:

– აბა, კაცო, – არ დავთანხმდი, – და კვლავ გაიცინა.

– მართლა ლამაზი თითები გაქვთ, – და ხელი გავინვდინე მისკენ.

მან თავისი ხელის შეხების უფლება მომცა და უფრო მეტიც – თავისი ხელი, მისკენ გაშვერილ ჩემს ხელის გულში ჩამიდო.

– მამა გიორგი, ცოტა არ იყოს მომეტებულად თბილი გაქვთ ხელი... სიცხე ხომ არ გაქვთ? – ჩემდაუნებურად ზრუნვით მივმართე...

არ მიპასუხა. აშკარად ამჯობინა „ხაზგასმული“ დუმილი.

თითქოს, მე მისი ეს დუმილი არ „შევიმჩნიე“ და საუბარი კვლავ განვაგრძე, თან მეორე ხელითაც მსურდა პულსი გამესინ-

ჯა, მაგრამ მისკენ გაშვერილ ხელზე უკვე მეორე ხელიც ჩამიღო ხელისგულში. მივხვდი, რომ მას პულისის გასინჯვა არ სურდა და თემა შევცვალე:

– იცი, მამა გიორგი, მე ხელის თითებში კარგად ვერკვევი, პიანისტი ვარ, კონსერვატორია მაქვს დამთავრებული და ვიცი ლამაზი თითების ფასი... – კვლავ გავეხუმრე მას.

მან კი სულ სხვა რამ მიპასუხა:

– კაცო, მე სულ ოქროს კბილები მქონდა ჩასმული, მერე ღრძილები დამიზიანდა, ვერ მიიღო ეს ოქროს კბილები და დავაძრობინე... ახლა ვარ უკბილო...

– პროთეზი გაქვთ?!

– არა, არა, დასიებული მაქვს ეს ღრძილები, ფაფებს ვჭამ ახლა... ოჰ ისე... რა მაგარი იყო, თუ იცი?! ის 35-ვე კბილი სულ ბაჯალლო ოქროსი მქონდა...

– იქნებ რაიმე მალამოთი დაიზილოთ ნუნები?...

– არა, კაცო... ახლა ფაფებს მივირთმევ... რბილად რომ ვჭამო... – კვლავ აიცილა ჩემი მზრუნველობითი ტონი, თან თბილად, ისეთი რაღაცნაირი სიყვარულით შემომხედა, რომ გულში სითბო ჩამელვარა და სულზე მომესალბუნა...

მე კვლავ მის თითებს დავხედე და შევნიშნე, რომ ნეკა თითი მოღუნული ჰქონდა. ვკითხე:

– ეს რა, მოტეხილი გაქვთ?!

– ჰოო, – მიპასუხა.

მერე ღიმილნარევი გამომეტყველებით მითხრა:

– კალათბურთს ვთამაშობდი, ბურთი უშნოდ მომხვდა და... იმის შემდეგ ასე მაქვს.

მეც გავუღიმიე და მზრუნველად ვუპასუხე

– რა უჭირს მერე, ეგ ხომ სულაც არ გიშლით ხელს არა, მამა გიორგი?... ნეტაი თქვენ...

ამას რომ ვეუბნებოდი ძალზედ თბილად და სიყვარულით შემომცქეროდა! ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ვიღაც შორეული, მაგრამ ძალიან ახლობელი, სისხლისმიერი წინაპარი შემომცქეროდა!...

მე თავი დავხარე... უცნაური უხერხულობა ვიგრძენი და თე-
მა შევცვალე.

– მამა გიორგი, გინდათ წიგნზე წარწერა გაგიკეთოთ?

– აბა, რა! თუ მაჩუქე, წარწერაც უნდა გააკეთო, აბა რა უნ-
და ჰქნა?! – უკვე, ომახიანად და ოდნავ მბრძანებლური კილოთი
მომმართა მან და თან იღიმებოდა...

მე, მაგიდისკენ შევბრუნდი, ავიღე ბურთულიანი სანერ-კალ-
ამი და წიგნის პირველ გვერდზე წარწერა გავუკეთე...

– დღეს რა რიცხვია? – ისე ჩავილაპარაკე, თითქოს საკუთარ
თავს ვეკითხებოდი და თან ვიხსენებდი...

– ოცდაათი! – მონყევტით და ძალზედ ლაკონური ტონით
მიპასუხა.

მეც, უკვე დაწერილი ორიანი მექანიკური მოძრაობით სა-
მად გადავაკეთე, ნულიც მივუნერე, წელიც დავუსვი და ხელი
მოვანერე, რომ ამ დროს, კვლავ მისი ბუბუნა ხმა შემომესმა, –
თითქოს საიდანღაც სიღრმიდან, დახშული ხმით მითხრა:

– არა... დღეს 29-აა!

მე თანაგრძნობით გავხედე, მისი უკვე ნათქვამი სიტყვა არ
„გავუცუდე“, დავემონწეე მის პირველ ნათქვამ თარიღს და მორ-
ჩილად ვუთხარი:

– კარგით... უკვე დავწერე 30-ი! რადგან ასეა, იყოს ასე, ვი-
თომ დღეს ოცდაათია... რა მოხდა მერე! შარშანაც ხომ 30-ში
ვიყავი.

წელში გავსწორდი, ერთხელ კიდევ მაღლიერად შევხედე და
დავამატე:

– კარგი, მამა გიორგი, წავედი ახლა მე... აღარ შეგანყენთ...
იცით, ძალიან მიყვარხართ... რალაც ღვიძლი მამასავით გიყუ-
რებთ... ბაბუასავით... დიიდი პაპუსავით!

– 78 წლის ვარ!

– მართლა?! ჰოდა ძალიანაც კარგი. 100 წლამდე აუცილე-
ბლად უნდა იცოცხლოთ და მერე თქვენი ნებაა... – ღიმილით
მივუგე.

– ისე, ბაბუაჩემმა 124 წლამდე იცოცხლა...

– ჰოდა, აგაშენა ღმერთმა... თქვენც, ესე იგი დიდხანს იცოცხლებთ... აბა, თქვენ იცით! გამოჯანმრთელდით!.. ხომ იცით, მთელს ქართველ ხალხს უყვარხართ და გაფასებთ! მე კი, ყველაზე მეტად მიყვარხართ, იცოდეთ! – თითქოს ნათქვამი ხუმრობაში გავატარე და ისე გავუღიმე...

მანაც კეთილად მიიღო ეს ჩემი მისდამი თბილად ნათქვამი სიტყვები და საპასუხოდ მშვიდი ღიმილი შემომამგება. სიტყვა არ დაუძრავს ისე, თვალების გამომეტყველებით დამემშვიდობა... მე კარებისკენ შევბრუნდი ისე, თითქოს ფეხს ვითრევდი... წამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ მისი შეწუხებაც მერიდებოდა... ადამიანი მწოლიარე იყო, ავადმყოფობდა და...

კიდევ ერთხელ მივმართე მხნედ:

– აბა, კარგად იყავით! ბედნიერი ახალი წელი გაგთენებოდეთ!

და ამჯერად უკვე კარისკენ მტკიცედ გადავდგი ნაბიჯი.

გასვლისას რატომღაც უკან მოვხედე, კიდევ ერთხელ მსურდა თვალი შემეველო მისთვის და... თითქოს „წავასწარიო“ ისე შეერთა საწოლში...

მარჯვენა ხელი მაღლა ჰქონდა აწეული, ძალიან სიღრმიდან, დაფიქრებული მიყურებდა და ძალიან დიდზე მსახავდა პირფვარს...

მისი ამ ქმედებით დიდად მაღლიერმა, – სევდანარევი ღიმილით გავუღიმე და უტყვად დავტოვე კელია...

სახლის ეზოს მივუყვებოდი ჭიშკრისკენ და თან გულში უდიდესი მაღლიერებით სავსე სითბო მეღვრებოდა:

დიდი მაღლობა მამა გიორგი ასეთი მშვიდი და გულითადი მიღებისთვის! რომ იცოდეთ როგორ მიყვარხართ! იყავი დღეგრძელი და გაიხარე! დიდხანს გაგვახარე შენი მოსიყვარულე ქართველები შენი კარგად ყოფნით!

ვფიქრობ არ გამინანყენდები და სულგრძელად მომცემ უფლებას ამიერიდან შენი დალოცვის სიტყვებით ვისარგებლო და ასე მივმართო ყველას, ვინც ჭეშმარიტად ინდომებს და ისურვებს ღვთის გზაზე შედგომასა და მასთან ერთად თანაქმ-

ნადობას! – „დაგლოცოთ ღმერთმა თქვენ და ყველა ქართველი და აგიხილოთ თვალები დედა ღრმთისმშობელმა და სინმინდის გზაზე შეგწოდეთ ყველა წმიდანი!“ ამინ!

ერთი წლის წინ ზუსტად 30 დეკემბერსაც ვიყავი მამა გიორგისთან. ოღონდ მაშინ ლალი და მისი ძმა მახლდნენ.

30.12.2011წ.

ციური გარუჩავა

* * *

სახლში დაბრუნებულს, სალამო ხანს, საბერძნეთიდან ნიგნები რომ გავუგზავნე იმ ქალმა, მანანა ყაბანაშვილ-მა დიდი ბოდიშებით დამირეკა...

საყვედური ვუთხარი:

– ეს როგორ გაბედეთ და მამა გიორგი როგორ შეაწუხეთ და თან ასეთი სისულელე რამ გაკითხინათ „ნიგნები წავიკითხოთ თუ არაო“?! – მამა გიორგის რაში ეკითხება თქვენ რას წავიკითხავთ? ასეთი ბეცები როგორ ხართ და გონება ასე რამ დაგიბინდათ?..

მანანამ შეწუხებულმა მიპასუხა:

– ჰო... ქალბატონო ციური... მე ათენში გადავაგზავნინე ერთი ეგზემპლარი და იქიდან დაურეკიათ მამა გიორგისთან... მეც ისე გავბრაზდი რომ... სულ შავი დღე ვაყარე... მე კრიშნაც მაქვს წაკითხული და რა, ამიტომ მკრეხელურ ნიგნებს ვკითხულობ მეთქი?! – თქვენ არ ინერვიულოთ... უბრალოდ 7 ნიგნის მეტი ვერ გავყიდე და დანარჩენი უკან გამოვგზავნე... აქ, უბრალოდ ძალიან გონებადახშული ხალხია...

– როგორ თუ 7 ნიგნი?... მე ხომ ასი გამოვაგზავნე?

– ჰოდა 13-ს ვაგზავნი.

– რა ცამატს?

– ჰო, ქალბატონო ციური, 7 კომპლექტი, ანუ 35 ნიგნი გავყიდე და 350 ლარს გამოვიგზავნით.

უცებ გავაცნობიერე... მამა გიორგიმ ხომ ასე მითხრა:

– „35 სულ ბაჯალლო ოქროს კბილები მქონდაო, მაგრამ ღრძილებმა არ იგუეს და მე თვითონ ამოვალებინეო... ისე, იცი რა მაგარი ოქროს კბილები მქონდაო, სულ ბაჯალლო იყო და ძალიან მიხდებოდაო“... დიდება და მადლობა უფალს! როგორ „ირიბად“ მიმანიშნე ჩემო მამა გიორგი, რომ ჩემი თარგმანები მოგწონთ და უფრო მეტიც, – „ბაჯალლო ოქროდ“ მიგაჩნიათ! ისიც მიმანიშნეთ, რომ ხალხი ჯერ ვერ იგებს და უშრომელ და იოლ ცხოვრებას ამჯობინებს... უღრმესი მადლობა ჩემო მამავ, ბაბუ, პაპუ და კიდე უფრო დიდო წინაპარო!!!

დიდება და მადლობა უფალს, ჩემო მამა გიორგი შენი თავი რომ გამიხადა მეოხად და შემწედ!

* * *

მამა გიორგის გახვდა...

2013 წლის 25 აპრილი მამა გიორგის მიწიერი სამყაროდან „გასვლის“ დღეა...

დღეს 30 აპრილია... მამა გიორგის უხრწნელი ნეშტის ჭოგნარის მიწისთვის მიბარების დღე!

დიდება და მადლობა უფალს საქართველოში შენი გაჩენისთვის, ღვანლისთვის და ქართველი ერისადმი თავდადებისთვის!

დიდება და მადლობა უფალს შენთან შეხვედრისთვის, შენი თანადგომისთვის და შენი გულწრფელი სიყვარულისთვის!

დიდება და მადლობა უფალს ჩემი ქართველობისთვის და ქართველთა მსახურებისთვის!

მართლაც, რომ: – **„თავნი და ბოლონი იტყვიან: გიორგი!“**

მამა გიორგის ორმოცზე ჩასვდა 31 მაისი. 2013წ. 02.01 სთ. (ლამის)

მზივარ კომპიუტერთან. ამ დროს ფეისის „მეგობარი“ მწერს:

– გამარჯობათ ქ-ნო ციური. პირველში ჭოგნარში მიდის მრევლი.

– გამარჯობათ. მეც მსურს, რომ წამოვიდე... რა უნდა გავაკეთო ამისთვის?

– ხვალ ნინოსთან დარეკეთ. დიდუბიდან გავა სამარშრუტო ტაქსები.

– ნინოს ნომერი მითხარით თუ შეიძლება.

– 599 730 560;

– დიდი მადლობა. ძალიან მესიამოვნა თქვენი შეტყობინება! აუცილებლად წამოვალ...

– არაფრის. ვიცოდი, რომ გაგეხარდებოდათ.

– კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას!

– გაიხარეთ.

დილით გადავრეკე ნინოსთან. თავი გავახსენე და ვკითხე, თუ შეიძლებოდა, რომ მეც გავეთვალისწინებინე წამსვლელთა რიცხვში.

მან მიპასუხა:

– ქ-ნო ციური, გიცანით. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ადგილი უკვე შევსებულია. ორმოცი რამოდენიმე დღეშია, მაგრამ ყველა ვერ ახერხებს იმ დღისთვის ჩასვლას, რადგან სამუშაო დღეა და ამიტომ გადაწყვიტა მრევლის ნაწილმა, რომ შაბათს, 1 ივნისს გამგზავრებულიყო.

მე გული დამწყდა... მერე გადავურეკე მარინა ზარქუას ახლობელს, ანას და მას ვთხოვე, იქნებ მოეხერხებინა ჩემთვისაც ადგილის გამონახვა. მან მიპასუხა, რომ თავად არ მიდის და არც იცის ვინ აპირებს წასვლას...

ფეისით დილის 12.08 ს-ზე კვლავ დავუკავშირდი ლია ტურაშ-

ვილს და გზავნილი მივწერე:

– გამარჯობათ ღია, ახლა ვესაუბრე ნინოს და მითხრა, რომ მანქანაში ადგილი აღარ არის... სამწუხაროა, რომ გვიან შევიტყვე... სხვა დროს როცა წახვალთ, იქნებ ჩემი ადგილიც გაითვალისწინოთ. დიდად დამავალებთ. წინასწარ გიხდით მადლობას...

გადის რამოდენიმე საათი და მირეკავს ნინო მობილურით:

– ქ-ნო ციური, იცით, ადგილი გამოჩნდა... შემთხვევით, ერთი ადამიანი ვერ მოდის... მაგრამ სამარშრუტო ტაქსში ჩადგმული სკამია და თუ უხერხულად არ იგრძნობთ თავს, შეგიძლიათ წამობრძანდეთ...

– რას ამბობ, ნინო! რომელ უხერხულობაზე მელაპარაკებით! აუცილებლად წამოვალ! დიდი მადლობა ყურადღებისთვის!

– მაშინ ხვალ დილიდ 8 სთ-ზე იდგება სამარშრუტო ტაქსი სამთო ქიმიასთან და იქ მობრძანდით. დაგელოდებით.

– უღრმესი მადლობა! აუცილებლად მოვალ!

მაშინვე შევხედე კედელზე გაკრულ მამა გიორგის სურათს, მადლობა გადავუხადე და თვალები სიხარულის ცრემლით ამეცსო...

მთელი საღამო და თითქმის ნახევარი ღამე, დრო და დრო სიხარული მეუფლებოდა და მაშინვე „მახსენდებოდა“, თუ რა მახარებდა... მთელი თვის მანძილზე მსურდა ჭოგნარში მამა გიორგის სახლში ჩასვლა და ჩემი ორტომეულის ჩატანა... რატომღაც „დამნაშავედ“ ვგრძნობდი თავს, რომ გამოცემისთანავე ვერ ჩავუტანე... ძალიან განვიცდიდი ამ ამბავს, მაგრამ ვერაფრით მოვიხელთე იმდენი თანხა, რომ სამგზავროდ მყოფნოდა... დაკრძალვაზე მართალია წავილე, ვიფიქრე რომ სახლში მიტანას და მისი ძმისშვილისთვის, მერაბისთვის გადაცემას მოვახერხებდი, მაგრამ ნამდვილად ვერ მოვახერხე და წიგნები უკან წამოვიღე... გადავწყვიტე, რომ ამისთვის სპეციალურად მარტო ჩავსულვიყავი და აი, როგორი შესანიშნავი შესაძლებლობა მომეცა! დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მამა გიორგიმ „მომიხერხა“! დადევქი მის სურათთან და გულმხურვალე მადლობა მოვუხადე რომ არ

ვაიწყდები... და რომ არც მისი „გასვლის“ შემდეგ არ მიმატოვა და ასეთ თანადგომას მიცხადებს!!!

„მე სულ თქვენთან ვიქნები“ – დაუბარა მან ქართველ ერს, რასაც მე თვალნათლივ ვხედავ და ვგრძნობ პირადად ჩემთან მიმართებაში! დიდება და მადლობა უფალს ამისთვის! დიდება და მადლობა შენ ჩემო მამა გიორგი!

მოკლედ, გავამზადე წიგნები და დილით სამთო ქიმიისკენ ტაქსით გავეშურე. ზუსტად 8 სთ-ზე იქ ვიყავი. რამდენიმე სამარშრუტო ტაქსი უკვე იდგა და ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა. მოულოდნელად ნაცნობი ქალი მომიახლოვდა (დასაფლავების დღეს ერთად მგზავრობისას, მაშინ გავიცანი ერთმანეთი) და მითხრა:

– ქ-ნო ციური, ეს მე ვარ, ლია ტურაშვილი. ძალიან მიხარია, რომ მოხერხდა თქვენი წამოსვლა! – უი, რას ამბობთ... ეს თქვენ ბრძანდებით?! თქვენ მომიხერხეთ ეს მგზავრობა?!...

– არა, მე არ დამირეკავს ნინოსთან... როგორც სჩანს, თქვენი დიდი სურვილი მამა გიორგიმ აგისრულათ!

– თქვენ გაიხარეთ! მოდით ერთ მანქანაში ჩავსხდეთ. ხომ შეიძლება?!

– რა თქმა უნდა... მეც ნინოს მგზავრი ვარ... – და გაიცინა.

ერთ მანქანაში კი ჩავსხედით, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე მოგვინია ჯდომა. იგი პირველ სკამზე დაჯდა. მე კი ბოლოს წინა სკამზე „მერგო“ ადგილი...

ნახევარი საათი ველოდეთ მგზავრების შეკრებას. როგორც იქნა, ადგილები შეივსო და დავიძარით.

ჩემდა გასაკვირად მანქანა, იმის მაგივრად რომ დასავლეთისკენ წასულიყო, დიღმის ხიდთან წრე დაარტყა და ქალაქის ცენტრისკენ გაეშურა. ჩემს გარდა არავის „გაკვირვებია“ მძღოლის ეს ქმედება... უფრო მეტიც, ნინომ გამოაცხადა:

– ცოტა ხანი მოვილოცებთ გიორგინშიდაში და იქიდან მალე წამოვალთ.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა... არც ვიცოდი, რომ

ჯერ საგარეჯოში უნდა წავსულვიყავით და მერე იქიდან ჭოგ-ნარში. ჩემთვის ხომ ეს არავის უთქვამს. არადა ვინ მეტყოდა... მე ხომ მოულოდნელად დავემგზავრე ამ ჯგუფს...

ცოტას უკან დავიხევ და ერთ ამბავს გავიხსენებ:

მამა იოანეს (ოლარი) საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ, მისი და მამა გიორგის პირისპირ შეხვედრა მოხდა გიორგინმინდაში. იქ ერთობლივი წირვა-ლოცვა ჩაატარეს სამივე სასულირო პირმა: მამა გიორგიმ, მამა იოანემ (ოლარმა) და გიორგინმინდას წინამძღვარმა მამა გიორგი-პავლოვმა.

მე მაშინ არ წავსულვარ. ჯერ ერთი არც ვიცოდი, როგორ წავსულვიყავი და მეორეც საერთოდ არ მიყვარს, როცა უამრავი ხალხი ირევა ეკლესიაში და ერთმანეთს „მუჯღუგუნის“ კვრით აქეთ-იქით სწევენ... მღვდლებს ცხვირწინ ეტუზებიან და სულ „მაკურთხე, მაკურთხეს“ ძახილში არიან... ძალით ავალდებულებენ, გინდა თუ არა „შემამჩნიე და მომაქციე ყურადღებაო“...

მოკლედ, გიორგინმინდას ამბები ლალიმ მომიყვა. დედამისის ახლობლები ყოფილან წირვაზე და მათ დაწვრილებით მოუყოლიათ, თუ რა ხდებოდა იქ. მამა გიორგიც (პავლოვი) შეპირებია, რომ ერთ კვირაში ჩავიდოდა უჯარმაში და მას მიიყვანდნენ მათი სახლის საკურთხებლად.

ერთ დღეს ლალი მოვიდა ჩემთან და გიორგინმინდაში მამა გიორგის (ბასილაძე), მამა იოანეს (ოლარი) და მამა გიორგი (პავლოვის) ერთობლივი წირვის ჩატარებისას მომხდარი სასწაულის ამბავი მომიყვა, რომელიც მისი დედისთვის იქ თვითმხილველადამიანებს უამბნიათ.

თურმე, წირვას უამრავი მომლოცველი დასწრებია. ტაძარი ხომ ხალხით გავსებულია და ვინც შიგნით არ დატეულა გარეთ, ეზოში დამდგარა და დიდის გულმოდგინებით ყოფილან ჩართული წირვა-ლოცვის მიმდინარეობაში. როცა წირვა-ლოცვა დასრულებულა, ტაძარში მყოფი მომლოცველებიც გარეთ გამოსულან, მათთან ერთად მამა გიორგი, მამა იოანე და ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი პავლოვიც ხალხში გარეულან.

ამ დროს, წინამძღვარი რალაცის გამოსატანად ტაძარში შე-
ბრუნებულა და... იქ, ერთი ხანდაზმული მამაკაცი თავდახრილი,
საკურთხევლის წინ „მომლოდინის“ პოზაში დაუნახავს.

– ბერიკაცო, შენ აქ რალას უდგახარ, ხომ ხედავ წირვა-ლოც-
ვა დასრულდა, ყველა გარეთ გამოვიდა და შენც გამოდი გარეთ.

– არა, მამა გიორგი, კიდევ ერთი მოძღვარია საკურთხევე-
ლში და იმის გამოსვლას ველოდები...

– რას ამბობ კაცო, ჩვენ სამივე გარეთ ვართ და შენ აქ ვის
ელოდები?

– მამა გიორგი, როგორ თუ ვის? თქვენ სამივე რომ სწირავდით,
თქვენთან ერთად ერთი ძალიან მაღალი, ნათელ სამოსში გამოწ-
ყობილი ბერიც გამოვიდა საკურთხეველიდან და თქვენთან ერ-
თად სწირავდა. როცა საკურთხეველში მამა გიორგი, მამა იოანე
და თქვენ შეხვედით, ისიც შემოგყვათ. წირვის დასრულების შემ-
დგომ თქვენ სამივე გამოხვედით... ის იქ დარჩა და მე ახლა მის
გამოსვლას ველოდები, კურთხევა მინდა ვთხოვო!..

მამა გიორგიმ ძლივს დააჯერა, რომ ყველანი უკვე გარეთ
იყვნენ გამოსულები და საკურთხეველშიც კი შეახედა, რათა
დაერწმუნებინა, რომ იქ აღარავინ იყო.

ბერიკაცი ძალიან დაბნეული და გულდანყვეტილი გამოსულა
ეზოში და ყველასთვის უთქვამს:

– ნამდვილად იდგა იქ მეოთხე, ნათელ სამოსში გამოწყო-
ბილი ბერი, განა თქვენც არ დაინახეთ?!... ხალხში აქეთ იქიდან
ბევრი დაეთანხმა კიდევ, რომ იქ მართლა იდგა ნათელ სამოსში
მაღალი აღნაგობის ბერი და ნამდვილად იღებდა წირვა-ლოცვა-
ში მონაწილეობას!

ამ დროს თურმე მამა გიორგიმ და მამა იოანემ ერთმანეთს
გადახედეს და ღიმილით მიმართეს ხალხს:

– იდგა, მარა ის ადრე წავიდა, თქვენ რომ არ შეგინიშნავთ
ისე!... სხვა წირვა-ლოცვისთვისაც უნდა მიეხსნო, კაცო!...

და, მამა გიორგიმ (ბასილაძემ) თურმე ხალხზე ნაკურთხი წყ-
ლის სხურება განაგძო...

მე დაფიქრებული ვუსმენდი და ლალის ვუთხარი:

– უფალი იდგა მათთან ერთად! აბა სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა ორი უდიდესი ბერი: – ერთი საქართველოს უდიდესი წმიდანი და მეორე დიდი რუსეთის წმიდა სალოსი ერთად სწირავდა! უფალი როგორ შეიძლებოდა იქ, მათთან ერთად ფიზიკურად არ მდგარიყო! მადლობა და დიდება უფალს! მადლობა და დიდება ღმერთს!

ცოტა ხანი ვდუმდით. მერე ლალის ვუთხარი:

– მამა გიორგი (პავლოვი) სახლს რომ გიკურთხებთ, იქნებ ტელეფონის ნომერი სთხოვო. მიინდა დავურეკო და ჩემს თარგმანებზე გავესუბრო. იქნებ თავის მრევლს მაინც წააკითხოს...

მართლაც, რამოდენიმე დღის შემდგომ ლალიმ მომიტანა მამა გიორგის (პავლოვი) მობილურის ნომერი და თან მითხრა, რომ იგი დედასთან ერთად ფონიჭალაში ცხოვრობს. დედა რუსი ჰყავს და მას რუსულად უნდა დავლაპარაკებოდი.

გავიდა ხანი და ერთ დღეს გადავწყვიტე დამერეკა და შეხვედრა მეთხოვა მამა გიორგისთვის. მართლაც დავრეკე. მის დედას ვესაუბრე. მითხრა, რომ მისი შვილი სახლში არ არის და მთხოვა სალამოს გვიან დამერეკა. მერე, რატომღაც მომერიდა გვიან დარეკვა და როგორც ხდება ხოლმე, უკვე აღარ დამირეკავს... ვიფიქრე, მოვახერხებდი გიორგინმინდაში ჩასვლას და იქ პირადად გასაუბრებას...

ჰოდა ახლა, როცა უკვე ვადექით გიორგინმინდის გზას, მივხვდი, რომ მამა გიორგიმ გადაწყვიტა გიორგინმინდას მოძღვარი – მამა გიორგი პავლოვი გამეცნო...

გზაში ვფიქრობდი, რომ ამით მამა გიორგი „რალაცას“ მიმანიშნებდა, მაგრამ აზრზე ვერ მოვდიოდი, რა უნდა ყოფილიყო ეს...

მოკლედ მივინდე ბედს და ზედმეტი „ტვინის ქყლეტვის“ გარეშე მივუყვებოდი გიორგინმინდისკენ მიმავალ გზას...

ამ ეკლესიაში არასდროს არ ვყოფილვარ და მისკენ მიმავალ გზას სიამოვნებით ვათვალიერებდი. როგორც სჩანს, მძლოლს გზა აერია, სხვაგან გადაუხვია და როცა ნინო მიხვდა რომ გზას

ასცდნენ, კვლავ უკან დაბრუნდნენ და ერთ ოთხას მეტრში სხვა, ტყეში მიმავალი გზისკენ ჩაუხვიეს. მალე მივადექით გიორგინმინდას ეზოს...

დილის ლოცვა დაწყებული იყო. ჩვენ ფეხაკრეფით შევედით ტაძარში. მე სულ უკან, ტაძრის შესასვლელ კართან დავდექი.

მამა გიორგიმ მალე დაასრულა ლოცვა, დაახლოებით 5 წუთი იქადაგა და გასასვლელისკენ წამოვიდა. მე რომ მომიახლოვდა მრევლს გამოუცხადა:

– მამა გიორგის სურათი ვისაც არ გაქვთ, ჩემს კელიაში წამოდით და იქ მოგცემთ... შენც წამოდი, – ახლა მე მომმართა პირადად.

ცოტა კი გამიკვირდა, მე რომ მომმართა, რადგან არ მიცნობდა და საერთოდაც პირველად მხედავდა, მაგრამ რადგან მითხრა – მეც მივყევი ადამიანებს ვინც მისი კელიისკენ დაეშვა. ჩვენ მის ეზოში დავდექით. მამა გიორგიმ სურათები გამოიტანა და ყველას ჩამოუჩინა. მე კი, მამა გიორგი და მამა იოანე ერთად რომ იდგნენ ის სურათი მომანოდა. ერთმა ქალმა უთხრა:

– ეგეთი სურათი მეც მომეცით რა?...

– ეს სურათი ერთი მაქვს და ხომ ხედავ ისიც ამას მივეცი...

მრევლის ზოგიერთი ადამიანი კელიაში შეჰყვა. მე აივანზე დავრჩი. კელიაში შესულებმა სურათის გადარება სთხოვეს. მანაც მათთან ერთად გადაიღო სურათი. მერე რატომღაც მე მომიბრუნდა და მკითხა:

– შენ არ გინდა სურათის გადაღება?

– მერიდება, თორემ რატომ არ მინდა...

– აბა მაშინ აქ მოდი, მანდ რას დგეხარ.

მეც კელიაში შევედი და მამა გიორგის და მე სურათი გადაგვიღეს. მომიბრუნდა და მკითხა:

– შენ მამა გაბრიელის ხატი გაქვს?

– არა, მამა გიორგი... უკვე დანერეს მისი ხატი?!

– კი დანერეს და მისი რეპროდუქციაც ახლა დაიბეჭდა. ერთ ცალს ახლა შენ მოგცემ.

– დიდი მადლობა მამა გიორგი! ძალიან გამახერეთ ამ

საჩუქრისთვის! იცით, ჩვენ ჭოგნარში მივდივართ და მე არც ვიცოდი ჯერ აქ თუ უნდა ჩამოვსულვიყავით. თქვენმა ჩემდამი ყურადღებამ დამაფიქრა და გამახსენდა, რომ მე თქვენთვის ჩემი წიგნების მოცემა მსურდა და ვერ მოვახერხე. ახლა თან მაქვს და მოგართმევთ. გნებავთ?

– რატომაც არა, მიდი მომიტანე და მაჩუქე.

მე ავბრუნდი ტაძართან, სადაც ჩვენი სამარშრუტო ტაქსი იდგა. გადმოვიღე ორივე ტომი და მივუტანე მამა გიორგის. – მამა გიორგი, რომ წაიკითხავთ, მაინტერესებს თქვენი შეხედულება. მე ჩამოგაკითხავთ და მერე ვისაუბროთ იმ თემაზე, რაც ამ წიგნში სწერია. – ძალიან კარგი. ჩამოხვალ აბა რას იზამ... და გულიანად გაიცინა

დავემშვიდობე მამა გიორგის და სამარშრუტო ტაქსისკენ წავედი.

ჩემთვის ვფიქრობდი, რომ მამა გიორგის კელიაში წიგნებს ჭოგნარში ჩემი შემდეგი ჩასვლისას მივიტანდი...

მართლაც ასე მოხდა, როცა მამა გიორგის 80 წლისთავე ჩავედი ჭოგნარში, პირადად მის ძმისშვილს, – მერაბის გადავეცი წიგნი, რომელსაც ძალიან გაუხარდა და აუცილებლად წავიკითხავო მითხრა...

მამა გიორგის 80 წლის გახდა!

31.08.2013 წ.

წუშინ ვიყავი მამა გიორგისთან ჭოგნარში. ნავედი მომლოცველებთან ერთად დაქირავებული სამარშრუტო ტაქსით. ნავილე ანასტასიას მეორე ტომი და ჩემს მიერ გამომცხვარი „სამეფო“ პეროგი.

გზაში დამირეკა არიადნამ და მამა გიორგის დაბადების დღე მომილოცა. სასიამოვნოდ გაკვირვებული ვიყავი მისი ზარით. დავპირდი, რომ მის მაგივრადაც დავუნთებდი მამა გიორგის სანთელს.

ჭოგნარში რომ ჩავედით, დავინახე, ეკლესიის ეზოში მამა გიორგის საფლავთან უკვე უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. მეც მის საფლავზე ორი სანთელი არიადნას და ჩემს მაგივრად დავანთე. მერე შევედი ეკლესიაში და იქაც დავანთე სანთლები.

ცოტა ხანს ეკლესიის ეზოში დავდექი და ჩემთვის ვფიქრობდი, როგორ მომეხერხებინა მამა გიორგის კელიაში წიგნის მიტანა. ამ დროს ეკლესიიდან მამა გიორგის ძმისშვილი მერაბი გამოვიდა. ვილაცას ხელის ჩამორთმევით მიესალმა და ის იყო, კვლავ ტაძარში უნდა შებრუნებულიყო, რომ უცებ თვალი მომკრა, თითქოს „შეერთა“ – კიდევ კარგი დავინახეო, – და ღიმილით ჩემსკენ გამოემართა. მე, ცოტა არ იყოს დავიბენი. არ მეგონა, თუ მიცნობდა. მან ხელი ჩამომართვა და მომმართა:

– გამარჯობათ. დიდი მადლობა ჩამობრძანებისთვის.

– რას ბრძანებთ, მერაბ. მე წიგნი ჩამოვიტანე და მსურს, რომ მამა გიორგის კელიაში დავდო...

ეტყობა უცებ ვერ მიხვდა რა ვუთხარი და დაბნეულმა მითხრა:

– თქვენ, საფლავზე თუ გნებავთ წიგნი დადოთ, კი ბატონო, თქვენი ნებაა...

– არა, მერაბ, საფლავზე კი არა, თქვენს სახლში მსურს ჩავიტანო და მამა გიორგის კელიაში დავდო. მარტო მეორე ტომი ჩა-

მოვიტანე, რომელშიც ბოლო ხუთი წიგნია. პირველი ხუთი წიგნი ხომ თავად მამა გიორგის მივართვი და ისინი უკვე ალბათ უდევს კიდეც კელიაში...

– რასაკვირველია, დევს! ახლა მეუფე გამოვა, მას უნდა დავხვდე და თქვენ აუცილებლად წამობრძანდით ჩვენთან ერთად!

– დიდი მადლობა!

– აი, გაიცანით, ეს ჩემი პატარა გოგონაა! და იქვე მდგომ პატარა გოგონას თავზე ხელი გადაუსვა, – იგი იქნება თქვენთან ერთად და ჩამოგყვებათ სახლში.

– კეთილი. გმადლობთ.

მართლაც, ძალიან მალე მეუფე თადეოზიც გამოვიდა. თავის ჯიპში ჩაჯდა. მერაბმა მიუთითა, საითაც უნდა წასულიყო, ხოლო ჩვენ სახლისკენ ფეხით დავეშვიტ. სახლის რემონტი უკვე დაესრულებინათ. ეზოც შესანიშნავად მოეპირკეთებინათ, ამერიკაზე ხანდაზმული ხის გარეშემო ფილები დაეწყოთ და მის წინ ქვის სკამძელი დაედგათ... და რაც მთავარია ეზოსთვის ულამაზესი გალავანი შემოერტყათ. ხოლო ქუჩის მხრიდან გალავნის გასწვრივ, უამრავი ეგზოტიკური ნარგავები გაეხარებინათ!

მამა გიორგის კელიაში რამდენიმე მღვდელი იდგა და გარს მომლოცველები ეხვიათ. ჩვენ პირდაპირ მისაღები ოთახისკენ გავემართეთ და შევედით, სადაც დიდი სუფრა იყო გაშლილი. მერაბმა მითხრა რომ მე წვეულებას აუცილებლად უნდა დავსწრებოდი.

– დიდი მადლობა, მერაბ!

მერე ჩანთიდან წიგნი ამოვიღე და მერაბს მივანოდე.

– მე აუცილებლად უნდა ნავიკითხო ეს წიგნი! – როგორც კი ჩამომართვა წიგნი, მაშინვე მითხრა მერაბმა. – აი, მერე კი აუცილებლად კელიაში დავდებ თქვენს წინა წიგნებთან ერთად.

– კეთილი. რასაკვირველია. ძალიან კარგი იქნება, რომ წაიკითხოთ!

მე იქვე კედელზე მიდგმულ წიგნების კარადას მივუახლოვდი, კვლავ უკან ჩამოვართვი მერაბს წიგნი და „ანასტასიას“ მეორე ტომი ერთ-ერთ თაროზე დანყობილი წიგნების თავზე ჩამოვდე.

მერე მივუბრუნდი მერაბს და ვუთხარი:

– აი, აქ დავდოთ მერაბ ეს წიგნი. შემდეგ რომ ჩამოვალ, ახალ გამოცემულ პირველ ტომსაც ჩამოვიტან და აი, წარწერას იმაზე გავაკეთებ. კარგით?!

– კარგით! რასაკვირველია. თქვენ ხომ მერაბ რატიშვილის „ჯულაზეც“ გაქვთ წარწერა გაკეთებული!

– ეგეც გახსოვთ?! ჰო, მე შეგნებულად ვაჩუქე მამა გიორგის ეგ წიგნი! მახსოვს, მას ესიამოვნა კიდეც ამ წიგნის ჩუქება და ასე მითხრა:

– „მე ვიცი რაც სწერია ამ წიგნში, არ მინდა შენ მოიკლო... მაგრამ რადგან გსურს მაჩუქო, – მაჩუქე! ოღონდ წარწერა გაუკეთეო!“...

– არსად არ წახვიდეთ რა, – მითხრა მერაბმა, – აუცილებლად აქ იყავით...

მე კელიასთან დავდექი. როცა სამღვდელოება კელიიდან გამოვიდა და მისაღებ ოთახში სუფრისკენ გაემართა, მე კელიაში შევედი. ორი სანთელი ჩემი და არიადნას მაგივრად დავანთე... ცოტა ხანი დავდექი და მერე შეუმჩნეველად წამოვედი.

დავბრუნდი ეკლესიასთან. სამარშრუტო ტაქსის საბარგულიდან ავიღე ვაშლის პეროგი, მძლოლმა შემომძახა:

– სად მიგაქვთ?!

– ჩემი გამომცხვარი ვაშლის „სამეფო ღვეზელია“. მამა გიორგის ოჯახის ნევრებს მსურს რამდენიმე ნაჭერი მივართვა...

– მაშინ აი, დანასაც მოგცემთ, რომ ადვილად ჩამოჭრათ.

– ძალიან კარგი! დიდი მადლობა!

და ნამცხვარი მერაბის სახლში ჩავიტანე. იქ მისი მეუღლე შემეგება. ვუთხარი, რომ ეს თავად გამოვაცხვე მამა გიორგისთვის და მსურს, რომ მისმა ოჯახის ნევრებმაც დააგემოვნონ, ხოლო ნაწილს კი მომლოცველებს მივართმევ. მან ერთი ლანგარი გამოიტანა.

– ეს რა არის? მეორეც გამომიტანეთ. ყველამ მსურს რომ დააგემოვნოთ.

მან მეორეც გამოიტანა. მე პეროგის ნაჭრები ორივე ლან-

გრაზე დავუწყვე. დანარჩენი უკან წავიღე მომლოცველები-
სთვის, რომელთაც ეკლესიის ეზოს წინ მდგარ მაგიდაზე სუფრა
გაეშალათ და მამა გიორგის 80 წლისთავს აღნიშნავდნენ. მე ისე
გავანაწილე პეროგი, რომ იგი ყველას შეხვედროდა. **ისეთი შეგ-
რძნება დამეუფლა, რომ მათ, თავად მამა გიორგი უმასპინძლდე-
ბოდა!... ერთმა მათგანმა რეცეპტიც კი მიხოვა:**

**– ეს რა გემრიელია, მართლაც „სამეფოა“! გაიხარეთ! რა
მადლიანი ხელი გქონიათ!**

ძალიან მესიამოვნა, როცა პეროგი ყველას შეხვდა და რაც
მთავარია, უკლებლივ ყველას მოწონება დაიმსახურა!

**დიდი მადლობა მამა გიორგი შენ ასეთი ყურადღებიანი „დახვე-
დრისთვის“!**

**მამა გიორგი, ჩემო საყვარელო ადამიანო, ჩემო უშორესო და
უახლოესო დიდო სულო! გილოცავ დაბადებიდან 80 წელს! შენ
ჩემთვის ცოცხალი ხარ! და არა მარტო ჩემთვის!**

ყველა ნამდვილმა უწყის ეს!

**დიდება და მადლობა უფალს, რომ შენი სახით ცოცხალი წმი-
დანის გაცნობისა და მისი მხრიდან თანადგომის ღირსი გამხადა!**

**მამა გიორგი, დიდო ბერიკაცო! – გილოცავ დედამიწაზე
დაბადებიდან 80 წელს!!!**

ციური გარუჩავა

მამა იოანე (ოღარი)

2014 წლის 17 თებერვალს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ვესწრებოდი ახალგაზრდა ყმანვილის გიორგი სისაურის შემოქმედებით სალამოს, რომელზეც მისი ახალი ნიგნის „კომედია“-ს წარდგინება ხდებოდა.

18 წლის ახალგაზრდა ყმანვილის შემოქმედებაზე საუბარი სხვა სფეროს პრეროგატივაა. მხოლოდ ერთს ვიტყვი: საქართველოში 1000 წლის შემდეგ „დაბრუნდა“ რუსთველი... ეს ყმანვილი აბრუნებს რუსთველის ენას და ცნობიერებას.

მამა გიორგისთან რუსთველის ვეფხისტყაოსანზე კამათისას მან 80%-ი რომ „მოიტოვა“, – იქნებ ამ მოვლენაზე მიმანიშნა?!...

ამ სალამოს ესწრებოდა ჩემი საუკეთესო მეგობარი და თანამოაზრე გიგლა გობეჩია, რომელმაც მითხრა:

– ქ-ნო ციური, მგონი მამა იოანე ჩამოსულა და ხომ არ გსმენია შენც ამის შესახებ რამე?..

– რას ამბობ ბ-ნო გიგლა, მართლა? რა კარგია. აუცილებლად დაფურეკავ არიადნას და შევიტყობ ამ ამბის შესახებ!

მეორე დღეს დაფურეკე არიადნას და მან მართლაც დამიდასტურა მისი ჩამობრძანება საქართველოში. იმავე დღეს პაატამ დამირეკა და მითხრა რომ მამა იოანე აფხაზეთის უნიში იქნება 3სთ-ზე და იქ მოდიო. მეც რასაკვირველია მაშინვე გავეშურე აფხაზეთის უნი-სკენ.

ერთ-ერთ კაბინეტში მამა იოანესთან და ელისაბედთან ერთად რამოდენიმე ადამიანიც იყო. მამა იოანე სალოსობდა... შამპანურით შემივისო ფუჟერი, მომანოდა და დალიეო მითხრა. არ მიყვარს შამპანური და ისე, შეუმჩნევლად მსურდა მაგიდაზე ჭიქის უკან დადგმა, მაგრამ ამ დროს ელისაბედმა შეამჩნია ჩემი მოძრაობა და მითხრა:

– უკან არ დადგათ ეგ ჭიქა, კურთხევა გაქვთ მოცემული და უნდა დალიოთ...

მეც რალა დამრჩენოდა და ნელ-ნელა გამოვცალე ფუჟერი.

დაცლილი ჭიქა უკვე მამა იოანემ გამომართვა და მაგიდაზე დადგა. ახლა ერთ საიდუმლოს გეტყვითო მოგვმართა:

– მამა გიორგიმ სამი წლის წინ აქ რომ ვიყავი, მაშინ მითხრა: „ მე მალე გავალ და იცოდე, შენ გიბარებ, რომ საქართველოს მიხედოო... მე იქიდან მოგეხმარებოო...“ – ეს სთქვა და თვალე-ბზე ხელი აიფარა, ატირდა, მუშტით ცრემლი მოიწმინდა და რატომღაც მე ქვემოდან გამომხედა...

მეც აცრემლებული მქონდა თვალები და ამით მიმანიშნა, რომ ყველაფერს ვხედავო.

ცოტა ხანში ჩვენთან ერთად სურათები გადაიღო და წავიდა. ჯერ იგი, პაატა და ერთი ახალგაზრდა ქალი (თურმე მისი ექიმი) ბავშვთან ერთად ჩავიდნენ ლიფტით. მერე მე და ორი ყმანვილი ჩავედით. მეგონა ისინი უკვე წასულები იქნებოდნენ, მაგრამ როგორც სჩანს გველოდებოდნენ.

მე კიდევ ერთხელ დავემშვიდობე მამა იოანეს, პაატას და ის იყო გამოვბრუნდი, რომ მამა იოანემ მანქანის კარები გამოაღო, მე მომიბრუნდა და მითხრა:

– ჩვენ ბევრი საქმეები გველის წინ, ნახე რამდენი რამე მოხდებაო...

ცოტა გამაკვირვა მისმა სიტყვებმა, რადგან მომეჩვენა, რომ „ჩვენ“-ში მგონი მეც მგულისხმობდა...

ელისაბედსაც დავემშვიდობე და დაფიქრებული წამოვედი...

სალამოს არიადნას დავურეკე და მადლობა გადავუხადე მამა იოანესთან შეხვედრისთვის. ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ. ვკითხე:

– ახლა მაინც მითხარი რისი თხოვნა გსურდა... ხომ ხედავ ვერ ვახერხებთ ერთმანეთთან შეხვედრას და ტელეფონში მაინც მითხარი...

– რა ვიცი ციური, მერიდება... შენ, ვხედავ ბელას კარად იცნობ და მე ძალიან მსურს მისი პირადად გაცნობა... ძალიან მომწონს ეგ ქალი, ძალიან კეთილშობილის შთაბეჭდილებას სტოვებს...

– კეთილი, რა პრობლემაა. აუცილებლად მოვანყობ ისე,

რომ ორივემ ახლოდან გაიცნოთ ერთმანეთი...

მართლაც, ჩემთან, რამოდენიმე ხანში სამი ქართველი ქალი შევახვედრე ერთმანეთს. ერთ-ერთის ვაჟი გიორგი სისაური, ცოტა ხნით შემოგვიერთდა. თურმე ჩემი დაბადების დღისთვის საჩუქრად თავისი ხელით დანერილი მამა გიორგის ხატ-სახე სურდა რომ მოერთმია, რამაც ძალზედ გამახარა:

– გიორგი, შვილო, როგორ მოიფიქრე, რომ ეს საჩუქარი ჩემთვის უძვირფასესი და განუმეორებელი იქნებოდა?! მართლაც ენით აღუწერელი სურპრიზი გაგიკეთებია!... უღრმესი მადლობა!

გიორგიმ მორცხვად თავი დახარა და დასამშვიდობებლად მოემზადა, მაგრამ ჩემი თხოვნით მცირე ხნით დარჩა და საკუთარი შემოქმედებითი სალამო მოგვიჩვენა, რითიც ბელა და არიანდა გულწრფელად განცვიფრებულები დატოვა. მათმა განცვიფრებამ სტიმული მომცა და განვუცხადე:

– ჩემო კარგებო, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეტყვით, რომ საქართველოს 1000 წლის შემდეგ რუსთაველის სული დაუბრუნდა, ეს ყმანვილი იმ პერიოდის ქართულ მეტყველებას, ცნობიერებას და პოეზიას კვლავ აალორძინებს...

გიორგი მალე დაგვემშვიდობა და ჩვენც, რალაცნაირად ამალღებულ განწყობაზე დაგვტოვა. თითქმის მთელი სალამო საინტერესო და სასიამოვნო სჯა-ბაასში გავატარეთ.

ჩემი მხრიდან მსურს აღვნიშნო, რომ სამივე მანდილოსანი ინდივიდუალური და გამორჩეული მისიის მატარებელია საქართველოს სინამდვილისთვის.

ქეთი ყიფიანი – ცნობილ მხატვარ გოგი სისაურის მეუღლე, ოთხი შვილის დედა მათ შორის გიორგი სისაურის, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე.

მის მთელს ოჯახს განსაკუთრებული მისია აკისრია და ამას საქართველო მალე შეიგრძნობს.

ბელა ალანია: ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის მეუღლე რომელთაც შესანიშნავი ქალ-ვაჟი ჰყავთ. ბელა ქართველი ერის მსახურებაში ტოლს არ უდებს მეუღლეს.

მისი ფაქიზი და რომანტიული სულის გავლენა შეიმჩნევა მის ოჯახშიც და სამეგობროშიც.

არიადნა ჩაგუნავა: კობა ვეკუას მეუღლე, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის მამა გიორგის წიგნების გამოცემაში, არიადნას კი, ლომის წილი უძევს მის სამზეოზე გამოტანაში.

ამ სამი ქალის მოღვაწეობას საქართველოში ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, ნამდვილად ბადალი არ ჰყავს, და ეს სულაც არ არის ხმამაღლად ნათქვამი სიტყვა. ეს რელობაა.

საერთოდ ყველა ნამდვილი საქმე უხმაუროდ კეთდება და ამ სამი ქაბატონის უხმაურო მოღვაწეობაც ამის დასტურია. ვიმედოვნებ, რომ ამ სამ ქალზე და მათ ოჯახებზე ცალ-ცალკე წიგნი უცილობლად დაინერება და ქართველი ერი გაეცნობა მათ.

... სანამ ამ სამ მანდილოსანს ერთმანეთს შევახვედრებდი ერთი უცნაური რამ გადამხდა. მამა გაბრიელის აღმოყვანების შემდგომ ორშაბათს, 24 თებერვალს, სალამოს გადავწყვიტე სვეტიცხოველში მისვლა. დავურეკე ჩემს დეიდაშვილს და ვთხოვე მანქანით წავეყვანე.

– ციური, მე მოვალ, არ მეზარება, მაგრამ ახლა ჩამოვიდნენ იქიდან ჩემი ამხანაგები და მითხრეს, რომ გზა გადაკეტილია, ხიდის შემდეგ მანქანით არავის უშვებენო.

– შენ მოდი და აი, ნახავ, ჩვენ შევალთ. – რატომღაც დამაჯერებელი ტონით ვუპასუხე.

მართლაც მოვიდა და ჩვენ სადღაც ცხრის ნახევარზე უკვე ხიდთან მივედით. მართლაც უამრავი ყვითელი ავტობუსი იყო ჩამწკრივებული და იქვე სამხედროებიც ჯგუფად შეკრებილიყვნენ. ჩვენს წინ ერთი მანქანა მიდიოდა. მან ხიდისკენ გადაუხვია და ჩვენც არ შევჩერებულვართ ისე მივეყვით მას. ისე მივადექით სვეტიცხოველის გალავანს, რომ არავის შევუჩერებვართ. მხოლოდ ერთმა სამხედრომ მოგვმართა რაციით, რომ მარცხნივ გადაგვეხვია და გალავანთან მიგვეყენებინა მანქანა. ჩვენც ასე მოვიქეციით. მერე გადმოვედით მანქანიდან და შევედით სვეტიცხოველის ეზოში. იქაც ხალხი ხალვათად იყო. მამა

გაბრიელის სასახლეს რომ მივუახლოვდით ჯარისკაცები გვერდზე გადგნენ და გზა დაგვითმეს. ეს ისე მესიამოვნა, რომ მამა გაბრიელის ლოცვა, რომელიც რატომღაც 15 ეგზემპლარად მქონდა ამობეჭდილი და თან წამოღებული, უკლებლივ ყველა ჯარისკაცებს ჩამოეფურჩავა:

– ეს მამა გაბრიელის ლოცვაა და შეგიძლიათ თქვენც იკითხოთ ლოცვისას!

ზოგმა გაკვირვებულმა გამომართვა, ზოგმა დაბნეულმა, ხოლო რამოდენიმემ ძალზედ გაიხარა და დიდი მადლობებიც მიხადა...

მოვილოცე სვეტიცხოველში და მალე გამოვბრუნდით უკან.

სახლში რომ მოვედი მობილმა დარეკა და უცხო ქალის ხმა მეუბნება:

– ქ-ნო ციური, მე საბერძნეთიდან ჩამოვედი, რომ მამა გაბრიელის აღმოყვანებას დავსწრებოდი. ახლა კი ისე არ მინდა წავიდე, თქვენც მადლობა არ გადაგიხადოთ ანასტასიას თარგმნისთვის. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა დიდებული საქმე გაგვიკეთეთ ქართველებს. მე მთელი საქართველოს სახელით მსურს მადლობა გადაგიხადოთ...

ისე დავიბენი, ცოტა ხანი ხმა ვერ ამოვიღე. მერე ცოტათი შეცბუნებულმა და დარცხვენილმა მივუგე:

– დიდი მადლობა ქ-ნო... არ დაგიმალავთ და ნამდვილად გამეხარდა, რომ ანასტასიას წიგნი მოგეწონათ... ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია თქვენი ასეთი კეთილგანწყობა ამ თარგმანისადმი...

– რას, ამბობთ, რა კეთილგანწყობა... კეთილგანწყობა კი არა, ეს წიგნი ყველა ქართველის ოჯახში უნდა იდოს და სასწრაფოდ განახორციელოს ის რასაც ანასტასია გვიჩვენებს... თუ არ მიწყენთ, ერთი სათხოვარი მაქვს, ზვალ მივდივარ და ძალიან მსურს თქვენი გაცნობა პირადად. შეიძლება რომ გესტუმროთ?...

– მობრძანდით, უბრალოდ ახლა უკვე ღამის 12 საათია და რითი მოხვალთ...

– ეგ პრობლემა არ არის, თქვენ თუ არ შენუხდებით მე ჩემი დისშვილი მომიყვანს მანქანით...

– კეთილი, მაშინ მობრძანდით.

ორმოც წუთში ქ-ნი მზია ნიკლაური მესტუმრა. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ჩემი გეგმებიც გავაცანი, რაზეც ძალიან აღფრთოვანდა. კომპიუტერშიც ვუჩვენე მომავლის მასალები, ვურჩიე მერაბ რატიშვილის წიგნების შეძენა, რაზეც მიპასუხა, რომ გაგებული ჰქონდა ამ წიგნების შესახებ და სურდა ნაეკითხა, მაგრამ ვერ მიაკვლია სად იყიდებოდა ეს წიგნები.

– მე შემიძლია მერაბის მეუღლის ნომერი მოგცე და თავად მისგან შეიძენ წიგნებს.

– იცით, ხვალ უკვე მივდივარ...

რალაცნაირად ვისურვე, რომ ამ ადამიანს დავხმარებოდი და ვუთხარი:

– მზია, მოდით ჩემს წიგნებს გაგატანთ და თქვენ რომ გამოგზავნით თანხას, თავად გიყიდით მერაბის წიგნებს, გადმოგიგზავნით და თქვენ კი ჩემები დამიბრუნეთ, იმიტომ, რომ ისინი ავტოგრაფებითაა ჩემთვის გადმოცემული...

– რას ამბობთ ქ-ნო ციური, თქვენ თუ ამ სიკეთეს გამიკეთებთ, ჩავალ თუ არა ფულს მაშინვე გადმოგიგზავნი.

მოკლედ გადმოვუღე თაროდან ხუთივე წიგნი და ცელოფანში ჩავუდე.

კომპიუტერში მამა იოანესთან გადაღებულ სურათს რომ მოჰკრა თვალი, შემეკითხა:

– თქვენ პირადად იცნობთ მამა იოანეს?!... რა ბედნიერებაა.... მე სამი წლის წინ ჩამოსული ვიყავი და ძალიან მსურდა მასთან შეხვედრა და შორიახლოს მისვლაც კი ვერ მოვახერხე...

– დანანებით დასძინა მან...

შუალამისას დავემშვიდობეთ ერთმანეთს...

მეორე დღით მზია მირეკავს.

– მზია, უკვე ჩახვედით ათენში? – ცოტა გაკვირვებულმა ვკითხე.

– არა ქ-ნო ციური, არ წავსულვარ... გადავწყვიტე კიდევ

რამოდენიმე დღით დავრჩე... მაგრამ თუ თავხედობაში არ ჩამომართმევთ ერთი სათხოვარი მაქვს...

– მითხარით, თუ შემიძლია უარს ნამდვილად არ გეტყვით...

– იქნებ მომიხერხოთ მამა იოანესთან შეხვედრა?... იქამდე დავრჩები სანამ მომიხერხებდეთ ამას...

ცოტა დავიბენი, მაგრამ რას ვიზამდი:

– კეთილი, მე არიადნას დავურეკავ და ვთხოვ რომ მითხრას სად იქნება მამა იოანე და შევეცდები იქ მიგიყვანოთ...

გადავურეკე არიადნას. მოვუყვები ყველაფერი ისე, როგორც იყო და ვკითხე, თუ მოხერხდებოდა მზია სანამ თბილისში იყო მამა იოანესთან მისი შეხვედრა. არიადნამ მიპასუხა:

– ქ-ნო ციური, თქვენ როგორ გეტყვით უარს, მაგრამ მამა იოანე ახლა შეუძლოდაა და წვეთოვანზეა... ხვალ თუ აღარ დაუყენებს ექიმი წვეთოვანს, დაგირეკავთ და გეტყვით სად შეიძლება მისი ნახვა...

მეორე დღით დამირეკა პაატამ:

– ციური, არიადნამ მითხრა შენ რაც გსურს. მე მამა იოანეს ვუთხარ და ასე მითხარა გითხრას იმ ქალის მისამართი და წავიდეთო...

– რას ამბობ პაატა! ეგრე როგორ შევანუხებ მამა იოანეს! ჯერ ერთი მე არც ვიცი იმ ქალის მისამართი, მეორეც მითხარი სად იქნებით, დავურეკავ იმ ქალს და თავად მე მოვიყვან მასთან.

– კაცო, შენ მიეცი ჩემი ტელეფონი იმ ქალს. მე დამირეკოს და შენ აღარაფერზე ინერვიულო, ბატიუშკამ როგორც სთქვა ისე უნდა გავაკეთო...

მაშინვე გადავურეკე მზიას, ვუთხარი რომ მამა იოანე თავად მივა მათთან სახლში და არ დაბნეულიყო. მზია ამ ინფორმაციისგან სახტად დარჩა და აღარ იცოდა როგორ გამოეხატა მადლიერება...

მოკლედ მამა იოანე პირდაპირ მასთან მივიდა სახლში. პაატასგან კი შემდეგი გზავნილი მივიღე:

– ციური, შენი დავალება შესრულებულია!

გამოცა გზავნილმა... რა დავალება, რის დავალება... გადა-
ვურეკე.

– რას ამბობ პაატა, მეხუმრები? რა დავალება, თავად ვარ
გაკვირვებული იქით როგორ მივიდა სახლში ბატიუშკა? ჩემგან
დიდი მადლობა გადაეცი და უთხარი, რომ ეს არასდროს დამა-
ვინყდება...

– მე რა შუაში ვარ... ბატიუშკამ სთქვა ასე... დავალება უნდა
შევასრულოთო.

მოკლედ კიდევ ერთხელ შევუთვალე მამა იოანეს მადლობა.
არიადნასაც მადლიერების გამოსახატავად გადავურეკე...

მზიამ აღფრთოვანებულმა დამირეკა, მერე ჩემთან მოვიდა
და უკვე „ნამდვილად“ დამემშვიდობა.

... ახლა, კვლავ იმ ამბავს დავუბრუნდები ეს სამი მან-
დილოსანი რომ შევახვედრე ერთმანეთს.

ბელას ფეხი სტკივა და ამერიკაში უთხრეს, რომ ოპერა-
ცია იქნება გასაკეთებელიო. ეს ამბავი არიადნას ვუთხარი და
ვთხოვე:

– არიადნა, მოდი იქნებ ბელა მამა იოანეს შევახვედროთ,
როცა იგი თბილისში ჩამოვა და ოპერაციას გადარჩეს კიდევ...

– მართალი ხართ ქ-ნო ციური, როცა ბატიუშკა ჩამოვა შე-
გატყობინებთ და ღვთის ნყალობით იქნებ მართლაც მოხერხდეს
მათი შეხვედრა...

მოკლედ გადაწყდა. როცა მამა იოანე თბილისში ჩამოვი-
დოდა არიადნა გადასცემდა ჩემს თხოვნას. დაახლოვებით ერთი
კვირის შემდეგ არიადნა მირეკავს:

– მამა იოანე ნუხელის ჩამოვიდა და ახლა ვაზისუბანშია,
პაატა სამ საათზე თქვენთან მოიყვანს და ბელასთან სახლში
შეგიძლია მიიყვანოთ.

– რა კარგი გოგო ხარ რომ შემატყობინე არიადნა... შენ არ
ნამოხვალ?...

– არა, ქ-ნი ციური, ძალიან მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ...
სხვა დროს იყოს... თქვენთან შეხვედრა ისედაც მსურს, თქვენი

ნანერი ნავიკითხე და ისეთი აღფრთოვანებული ვარ, ეს აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს რაც შეიძლება მალე, რომ ყველამ ნავიკითხოს... ამაზე მსურს რომ მოგეთათბიროთ.

– რას ამბობ არიადნა, მართლა მოგეწონა?!... კარგად იკითხება?... მანდ ხომ ყველაფერი სრული სიმართლე დაწერე... შეუღამაზებლად...

– შესანიშნავია... და აუცილებლადაა გამოსაცემი...

ძალიან მესიამოვნა არიადნას სიტყვები. მის შეხედულებას ჩემთვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ალბათ თუ ეს წიგნად გამოიცა უკეთესი რეცენზენტი არც მეგულება კიდევ ერთი ადამიანის გარდა და თუ იგი წიგნად გამოვეცი, აუცილებლად ვთხოვ, რომ თავისი შეხედულება გამოსთქვას...

მოკლედ, ბელას გადავურეკე და ვუთხარი, რომ საათნახევარში მამა იოანე მასთან მივიდოდა სახლში. იგი ძალზედ დაიბნა, სიხარულისგან არ იცოდა რა ეთქვა...

ცოტა ხანში პაატას კვლავ გადავურეკე და ვუთხარი, რომ ჩემთან კი არ გამოველოთ, არამედ პირდაპირ ბელასთან მოსულიყვნენ და მეც იქ დავხვდებოდი, რათა ჩემთან გამოვლით არ შემენუხებინა ისინი.

მართლაც ჯერ მე მივედი ბელასთან. ცოტა ხანში მერე პაატამაც დამირეკა და მითხრა:

– რა ვქნა ციური, არ ვიცი... ძალიან სალოსობს და ვერ გეტყვი რას იზამს...

– შენ უთხარი რომ აქ ველოდებით და მერე როგორც თავად გადანყვეტს ისე გააკეთე...

– კარგი, მე ვეტყვი რომ შენ ელოდები...

ცოტა ავნერვიულდი... ვაი თუ არ მოვიდეს და ასე თუ მოხდა, გამოდის ბელას მაინც მოუნევს ოპერაციის გაკეთება მეთქი... ამ ფიქრებში ვიყავი, რომ პაატამ კვლავ დამირეკა და მეუბნება:

– ციური, უკვე სახლთან მოვედით და დაბლა ჩამოდი...

სიხარულისგან კი არ ჩავედი, არამედ „ჩავეფრინდი“... მანქანასთან რომ მივედი მამა იოანემ მინის მიღმიდან გამიღიმა, მერე კარები გამოაღო და მომმართა:

– Ну, Анастасиюшка, я пришёл! – ამ სიტყვებით ავტომანქანიდან გადმოვიდა, გადამეხვია და მხარზე ამბორისას ყურში ჩამჩურჩულა:

– А касиначкой почему не накрыта?

– Отец Иоан, в спешке растерялась... вот, оно на шее висит и сейчас же накроюсь!...

– Подожди! Не надо!.. – მითხრა და!... ჩემდა გასაკვირვად, თავისი ქუდი ორივე ხელით მოიხადა და თავზე გვირგვინივით დამადგა!...

– Вы что! Отец Иоан! Не надо! Как это можно!...

– Надо! Я благословляю тебя чтобы насила Его! – მერე ხელი ხელში ჩამავლო და თავად წამიყვანა სადარბაზოსკენ...

ისე დავიბენი ველარაფერი ვუთხარი... ჩემთვის გავიფიქრე: სალოსობს, ცოტა ხანში უკან დავებრუნებ მეთქი და ამ ფიქრში ვიყავი რომ ლიფტში შევედით და ბელას სახლში ავედით...

მე, ცალკე ავლწერ იმ შეხვედრას, მაგრამ ახლა ბელას ემოციებს გადმოვცემ, რომელიც მან გუშინ ფეისში დანერა: ... „ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი დიდებული დეკანოზი იოანე, შეიძლებოდა სტუმრად მწვეოდა. თქვენი დიდი დამსახურებით, მონდომებით ციური, ჩვენი შეხვედრა შედგა. სასიამოვნოდ უცნაური იყო თქვენი და დეკანოზის შეხვედრა, მან თქვენი ნახვით აღფრთოვანება ვერ დამალა და საკუთარი ქუდი მოიხადა და თქვა: „ანასტასიუშკა, კაკ რაზ ვაშ რაზმერ“. მართლაც მოგერგოთ. გვერდიდან არ მოგცილებიათ, ბევრი საინტერესო რამ გვითხრა. იმაზე, რომ „ქართველები დიდებული ხალხია, რომ ძალიან უყვარს, რომ აუცილებლად ყველაფერი იქნება კარგად...“ გულწრფელად დამეხმარა და ერთი კარტოფილის ხინკალიც მოახვია. გასაკვირია, რომ არ ჩაიშალა. ფორტეპიანოზე როცა უკრავდით, გეხმარებოდათ და „ბავშვობდა“... დიდი სითბო ჩამელვარა მისი სტუმრობით და დიდი იმედი. წასვლისას დაგვლოცა და შემპირდა: „მე თქვენთან კიდევ ორჯერ მოვალ“-ო... როცა წავიდა, დატოვა იმედი. ეს დიდი საჩუქარი იყო ჩვენთვის, ქართველებისთვის. კეთილი იყოს თქვენი ყოვე-

ლი მომდევნო სტუმრობა მამა იოანე. დიდი მადლობა ციური...”

მე კი, ჩემდამი გამოხატულ ასეთ მადლიერებაზე ვუპასუხე:

– „რას ამბობ ბელა, რას შემარცხვინე... რა დამსახურება... მეგობრობა ყველაზე ძლიერი და ხელშეუხებელი გრძნობაა სიყვარულში! ჩვენ ხომ მეგობრები ვართ! მეგობრებისთვის კი დაუძლეველი არაფერია! მამა იოანესთან ჩემი შეხვედრა ვეკუე-ბის ოჯახის დამსახურებაა! მადლობა მათ ამისთვის... მადლობა არიადნას, საოცარი და ფაქიზი სულის ქალ-ადამიანს!“...

ახლა მე ავლნერ მამა იოანეს, მისი პირადი ექიმისა და პაატას იმ შუადღის სტუმრობას...

როგორც უკვე ზემოთ ვთქვი ჯერ მე მივედი ბელასთან. კარები მისმა ქალიშვილმა დაკომ გამიღო და ბელაც შემომეგება. მისაღებში შევედი თუ არა მაშინვე შევიგრძენი ნამდვილი ქართული, ტრადიციული ოჯახის ზღურბლს რომ გადავაბიჯე და ოჯახის წევრების გულწრფელი შემოგებებისგანაც სიტბო ჩამელვარა გულში... როგორც უახლოეს ადამიანებს სჩვევიათ, პირდაპირ სამზარეულოსკენ გავემურეთ. ბელას უკვე სუფრაც კი გაეწყო და მეც ჩემი მხრიდან ბოთლი შამპანურიც დავდგი მაგიდაზე...

მოვიკითხეთ ერთმანეთი და მამა იოანეს სტუმრობის მოლოდინისგან დაბნეული დიასახლისის „გამხნევენას“ შევუდექი:

– ბელა, მინდა ერთი ორი სიტყვით პირადად ჩემთვის რაც ცნობილია და რისი თვითმხილველიც ვარ ის ამბები მოგიყვე. მამა იოანე უდიდესი მადლის მატარებელი ბერია. ჩემსას არა, მამა გიორგის სიტყვებს მოვიშველიებ: „სალოსი და წინასწარმეტყველია რუსეთში იოანე (ოლარი) - პეტერბურგში“... „... იოანე ძალიან დიდი სულია. დიდი წინასწარმეტყველი - რუსეთში მასზე დიდი არ დადის დღეს. მას დიდი ჯვარი ადევს! მასში ღმერთი ჩამოდის! ეხუმრები რუსეთს?!.“ (ფეხთმოსიარულე III გვ.274).

სამი წლის წინ იგი საქართველოში იმიტომ ჩამოვიდა, რომ აქ დარჩენილიყო, ემსახურა და ადამიანები გამოეფხიზლებინა, მაგრამ აქაურ სამღვდელოებაში მოკალათებულმა ბნელმა

ძალებმა იმძლავრეს და იოანე იძულებული გახადეს რომ უკან დაბრუნებულიყო... ახლა კი მამა გაბრიელის აღმოყვანებისთვის ჩამოვიდა და იგი უკვე აქ იცხოვრებს. სამღვდელოებაში მოკალათებული ბნელი ძალები მან უკვე დაამარცხა და ისინი ხელს ვეღარ შეუშლიან. ასე, რომ საქართველოში დაიწყო „წმიდანების თავმოყრის“ ხანა, მათი მეშვეობით ხალხის გამოფხიზლება და ნამდვილი მართლმადიდებელი ქართველი ერის ფეხზე დაყენება, რათა მარტო თავი კი არ გადაირჩინოს ერმა, არამედ სამშობლო იხსნას და შესაბამისად დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ერს მაგალითი მისცეს, თუ ღმერთთან ერთად და მისი შეწევნით როგორ უნდა იცხოვროს და იღვანოს წინაპართა მიერ ათასწლეულობით დახვეწილი და დღემდე შემონახული ტრადიციისამებრ ნამდვილმა ადამიანებმა.

იმისთვის ჩამოვიდა მამა იოანე, რომ ქართველში „მიყურებული“ ეს ცოდნა „გააღვიძოს“ და ყოფით ცხოვრებაში კვლავ დაამკვიდრებინოს. მოარჩინოს არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერად გააძლიეროს და ღვთივ დაკისრებული სულიერი მისია შეასრულებინოს.

– ბელა, შენ მამა იოანე მოგარჩენს, შენს ოჯახსაც შეენევა, მთავარია მართებულად და ნდობით მოეკიდო მისი მხრიდან შენდამი და შენი ოჯახისადმი მადლის გადმოცემას.

იგი ახლა სალოსობს და გთხოვთ არ დაბრკოლდეთ... შესაძლოა ბევრი რამ უცნაურად და უფრო მეტიც, რალაცნაირად უხერხულად მიუღებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ ჩვენ დავფიქრდეთ და ჩავენვდეთ, თუ რას მიგვანიშნებს იგი...

ორ ეპიზოდს მოგიყვებით მის მიერ სამი წლის წინანდელი საქართველოში მოხდენილი მინიშნებებისა და ადამიანთა ფიზიკურად განკურნების შესახებ.

დასავლეთში ერთ ძალზედ შეძლებულ და „ახალი ქართველის“ ოჯახში მიიწვიეს. მამა იოანეც ესტუმრა მათ. სახლის კარებშივე მიეგებნენ ოჯახის წევრები: ცოლ-ქმარი, ბებია და ორი ბავშვი. მამა იოანე ყველას მიესალმა. მოულოდნელად იმ

ახალგაზრდა ქალს ორივე ხელით მკერდში ჩააფრინდა და ... თან მკერდზე ხელს უსვამდა და თან გულში იხუტებდა... ყველანი სახტად დარჩენილები შეჰყურებდნენ ამ სცენას. მეუღლემ აღარ იცოდა რა ელონა... გაეგდო სახლში წვეული სასულიერო პირი თუ რალაცის მინიშნებად მიელო მისი საქციელი... მოკლედ ქართული სტუმართმოყვარეობა არ დაარღვია, სასულიერო პირსაც საკადრისად მოექცა და როცა გაისტუმრა ოჯახის წევრებს განუცხადა, რომ ხვალ მეუღლეს ექიმთან წაიყვანდა. მართლაც ექიმთან მიყვანის შემდეგ გაირკვა, რომ მეუღლეს სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსიმის პირველი სტადია ჰქონდა. დაენიშნა მკურნალობა და რამდენიმე თვეში ქალს სიმსიმე სრულიად გაუქრა.

მეორე შემთხვევა შამგონელმა მეფუტკრემ ზაზა ხუბუამ მომიყვა. როცა სამეგრელოში ჩავიდა მოსალოცად მამა იოანე, იქ ერთ-ერთ ოჯახში შეიტყო, რომ მეზობელ სოფელში ახალგაზრდა მომაკვდავი ბიჭი საავადმყოფოს გამოეწერა, რათა სახლში აღსრულებულიყო... მამა იოანემ მოითხოვა მასთან წაყვანა. როცა იმ ახალგაზრდის სარეცელთან მისულა დაუჩოქია და მყისიერად ლოცვა დაუწყია... მთელი საღამო მუხლმოდრეკილი ლოცულობდა. მერე მასპინძლებისთვის მუთხოვია რომ იმ ღამეს იქ დაეტოვებინათ. აბა უარს როგორ ეტყოდნენ და მამა იოანე კიდევ ორი დღე და ღამე იქ დარჩენილა. არც ოთახში უშვებდა არავის და არც თავად გამოდიოდა გარეთ. განუწყვეტილად ლოცულობდა. მესამე დღეს მისულან მისი ახლობლები წასაყვანად და ჭიშკრიდან დაუძახიათ მასპინძლებისთვის. ცოტა ხანში ახალგაზრდა ბიჭი გამოსულა ჭიშკრის გასაღებად და მოსულები სახტად დარჩენ ილან. ეს იმ მომაკვდავმა ყმანვილმა გაულო მათ ჭიშკარი. მამა იოანე სად არისო უკითხავთ და ტახტზეა წამოწოლილი, ცოტა შეუძლოდ გრძნობს თავსო უპასუხია ყმანვილს.

მამა იოანე სამი დღის განმავლობაში წვეთოვანზე ჰყავდათ, მერე ისიც გამოჯანმრთელდა და „დაღალაულს“ უთქვამს:

– Выгнал я беса с него... Он пока еще будет жить!.. – და კეთილად გაუღიმა.

მოკლედ კვლავ დავუბრუნდები ბელასთან მის მობრძანებას. კარებში ბელა და მისი ქალიშვილი დაკო შემოგვეგება. ჩვენ თან გვახლდა ექიმი, რომელიც მამა იოანეს ახლავს ხოლმე, ხოლო პაატა მოგვიანებით სულ ძალის-ძალით ამოვიყვანეთ ზემოთ.

მამა იოანე პირდაპირ სამზარეულოში შემოვიდა. დაინახა რომ მასპინძელი კარტოფილის ხინკალს ახვევდა და თავადაც მოისურვა ხინკლის მოხვევა. მხიარულად მივიდა, ცომი გააბრტყელა, კარტოფილის პიურე ჩადო, მერე ცომი გადაკეც-გადმოკეცა და უცნაურად მოახვია. მეც და ბელამაც ჩავთვალეთ, რომ ხინკალი გაიხსნებოდა, მაგრამ შევცდით. მიუხედავად იმისა, რომ კარტოფილი გვერდებიდან სჩანდა, ხინკალი არ გახსნილა ისე მოიხარშა... მერე მაგიდაზე დადგმული შამპანურის ბოთლი აიღო, გახსნა და ფუჟერებში ჩამოასხა. მე ჭიქა არ მედგა, რადგან დაღევა არ მსურდა, რაზეც ხმამაღლა განვაცხადე კიდევ, მაგრამ მამა იოანემ ჩემთვისაც მოათანინა ფუჟერი და იქ უკვე თავისი ჭიქიდან შამპანური ცოტა გადმომისხა. უფლის სადიდებელი შესვა და ჩვენც დაგვალევინა. თან ხუმრობდა და სალოსობდა... პაატამ მითხრა კიდევ:

– ციური, ხომ ხედავ როგორ სალოსობს...

– მერე რა... არა უშავს... მთავარია შესანიშნავ ხასიათზეა და ეტყობა, რომ ჩვენთან ყოფნა სიამოვნებს...

მამა იოანემ გვერდით მომისვა და მეუბნება:

– Ты ведь играеш на пианино.

მე გაკვირვებულმა შევხედე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ მას არ უნდა სცოდნოდა ჩემი სპეციალობა. უფრო მეტიც, სამი წლის წინ რომ მოვიდა ჩემთან სახლში ზღურბლიდანვე მომაცხა:

– „Ну, здравствуй Анастасиюшка“-ო, რითიც მიმანიშნა, რომ ვიცი რასაც საქმიანობო.

ამჯერად კი პირდაპირ მითხრა, რომ ვიცი რა სპეციალობისაც ხარო... მეც გაკვირვებულმა მორიდებით მივუგე:

– Так себе, немножко умею играть...

– Не „немножко“, а даже очень хорошая профессионалка! –

და ბელას მიუბრუნდა

– У вас есть пианино? Мы вам сыграем!

ბელამ უპასუხა, რომ პიანინო ჰქონდათ და ჩვენ ყველანი გვერდით ოთახში გავედით სადაც ფორტეპიანო იდგა..

მე მივუჯექი ინსტრუმენტს და რუსული რომანსის დაკრა დავიწყე. ამ დროს მამა იოანე უკანა მხრიდან მომადგა, კლავიატურისკენ გადმოიხარა და ორივე ხელით აქეთ-იქიდან რიტმული ტყაპუნნი დაიწყო კლავიატურაზე და თან ამას ისე აკეთებდა, რომ ვითომ ჩემთან ერთად ანსამბლში უკრავდა... მე გავხალისდი და მას „დაკვრის“ საშუალებას ვაძლევდი... „დავუკარიტ“ მეორე რომანსიც... მე თან ვიმღერე კიდევ. მამა იოანე ძალიან გახალისდა... მსმენელებიც კი კმაყოფილები სჩანდნენ. როცა „დაკვრა“ დავასრულეთ მე წამოვდექი, ხოლო მამა იოანემ „მსმენელებს“ მიმართა:

– Ну вот! Мы же вас хорошо развеселили!...

ყველა მათგანი ხალისიანად გამოიყურებოდა... უფრო მეტიც, ექიმს სიუჟეტის გადაღებაც კი მოუხერხებია... იმედია მოვახერხებ ამ სიუჟეტის ნახვას...

მოკლედ კვლავ სამზარეულოში შემოვბრუნდით. მამა იოანემ ამჯერად საქართველოს სადღეგრძელო შესვა და გვითხრა, რომ ქართველი ერი ძალიან უყვარს და რომ რუსები ცუდები არიან, რადგან ჩვენ უსამართლოდ გვექცევიან.

ამასობაში მე პაატას მივუბრუნდი და ვუთხარი, რომ მამა იოანეს ქუდს მას მივცემდი და მერე იგი გადასცემდა მამა იოანეს, რაზეც მან მკაცრად მიპასუხა:

– რას ამბობ ციური, მე რა უფლება მაქვს ქუდი გამოგართვა. მამა იოანემ გაჩუქა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შენ უნდა გქონდეს.

მე უხერხულობისგან აღარ ვიცოდი რა მექნა.

მამა იოანეს როგორც სჩანს არ გამოპარვია ჩემი წუხილი, ამიტომ მომიბრუნდა და მითხრა

– Наси шапку Анастасиушка. Это твой размер. Оно тебе идёт.

მერე მხარზე ხელი გადამხვია და თავი თავზე მომადო...

მეც მეტი აღარ შემინუხებია ჩემი უხერხულობის გამოხატვით და დიდი მადლობა გადავუხადე საჩუქრისთვის!

იგი კვლავ ბელას მიუბრუნდა და ხუმრობა დაუნყო, რომ ქმარი არ აქცევს მას ყურადღებას და სახლში გვიან მოდის... ბელამ იუხერხულა და მიუგო, რომ მისი მეუღლე ძალიან დაკავებულია, თორემ მას მისი ოჯახი ძალიან უყვარს და ძალიან ყურადღებიანიცაა...

მეც ბელას ავუბი მხარი და მამა იოანეს ვუთხარი, რომ ბელას ძალიან კარგი მეუღლე ჰყავს, და რომ იგი შესანიშნავი მამაცაა, უბრალოდ ლეიბორისტული პარტიის ლიდერია და ძალიან დაკავებულია.

– Значить, возглавляет лейбористов?... Тогда я тоже помогу ему! – მტკიცედ განაცხადა მან. მერე მამა იოანე წამოდგა, დაკოსთან მივიდა:

– Вот она хорошая девочка! - გადაეხვია მას და მამაშვილურად მიუალერსა.

მერე მიუბრუნდა ბელას და უთხრა:

– შენ ოპერაცია არ დაგჭირდება. ჩვენ კიდევ ორჯერ შევხვედებით ერთმანეთს.

მერე წამოდგა და გასასვლელისკენ წავიდა. ბელამ შესთავაზა სასმელების კოლექციიდან რომელიც მოგნონთ შეარჩიეთო, მაგრამ მამა იოანემ უარი უთხრა. იქვე მდგომ პაატას მიუბრუნდა, საეკლესიო ნივთები ამოაღებინა, ოლარი გაიკეთა, ბელას ლოცვები წაუკითხა და ზეთი აცხო.

მსახურებას რომ მორჩა ჩვენსკენ შემობრუნდა, გულითადად დაგვემშვიდობა და წავიდა.

მამა იოანემ ძალზედ დიდი სითბო და სასიამოვნო განწყობა დაგვიტოვა...

ციური გარუჩავა
02.04.2014 წ.

* * *

ღუშინ მოვისმინე მამა არჩილის (მინდიაშვილის) ქადაგება ბოლო ჟამზე და ძალზედ მენიშნა ერთი ეპიზოდი: „... არის წინასწარმეტყველება, რომ შესაძლოა რუსეთი არ შევიდეს ახალ მსოფლიო კავშირში რაც დასავლეთის კიდევ უფრო მეტ გაბოროტებას გამოიწვევს, ყოველ შემთხვევაში თუ რუსეთი არ შევა, გარდა რუსეთისა მთელს ძალაუფლებას ის მიიღებს მთელს დედამიწაზე, თუმცაღა რუსეთში თვითონ მოხდება ასევე განდგომა ჭეშმარიტებისაგან. როგორც ერთი რუსი დედა წინასწარმეტყველებს, კიდევ ერთხელ შემოუვლის დედამიწას ღვთისმშობელი მარიამი და მერე იქაც, რუსეთში წყვილი სიბნელისა ჩამოწვება. მაშინ იქაც დაიწყება დევნა სარწმუნოებისა. იქიდან ბევრი წმიდა მამა და მართლმადიდებელი ქრისტიანი ჩამოვა საქართველოში...“

დღეს უკვე სულ საცხოვრებლად ჩამოვიდა მამა იოანე (ოლარი) საქართველოში. იგი ახლა ჩვენი უწმიდესის კურთხევით ჭოგნარის ტაძარში შაბათ-კვირის წირვა-ლოცვას ატარებს. მამა გიორგი მას ასე ახასიათებს: „... იოანე ძალიან დიდი სულია. დიდი წინასწარმეტყველი, რომელიც სალოსობით ნიღბავს ღმერთშემოსილებას... რუსეთში მასზე დიდი არ დადის დღეს მას დიდი ჯვარი ადევს! მასში ღმერთი ჩამოდის!..“ (ფეხთმოსიარულე III გვ.286).

მამა იოანეს საქართველო და ქართველი ერი ძალიან უყვარს და იმიტომაც ჩამოვიდა აქ, რომ ჩვენ დაგვეხმაროს ანტიქრისტესთან ბრძოლაში. იგი ამბობს „... ეს პატარა ტერიტორიის ქვეყანაა, მაგრამ ამ ქვეყნის შვილები ყოვლადწმიდას „დედა“-თი მიმართავენ, არა იმიტომ, რომ მკრეხელობენ ან კადნიერებენ, არამედ ამის უფლება მათ ღმერთისგან აქვთ!.. იბერთა ენაზე განიკითხავს ღმერთი კაცობრიობას. საქართველო ინახავს ქრისტესა და ღვთისმშობლის კვართს. ჩვენ, ორივე ერს (მეორეში

რუსეთს გულისხმობს) ერთი საერთო მტერი გვყავს და მტერი უნდა ვიცნოთ მტრად და არა მოყვარე – მტრად!...” (ფეხთ-მოსიარულე ლლლ გვ.299).

აქვე მსურს ბესო მიქავას და ნანა კახიანის საავტორო ფილმ-კლიპში გადმოცემული თსუ-ს ასოცირებული პროფესორის ნათელა გოგებაშვილის მონათხრობიდან მოვიყვანო ამონარიდი:

„– გასული საუკუნის 70-იან წლებში ქ.ზაგორსკის სამონასტრო კომპლექსში დავესნარი კვირის დილის ლოცვას. იმ დროინდელი აკრძალვის პერიოდში აღფრთოვანებული ვუყურებდი იქ მოქმედ ეკლესიებს და თანაც ქართულად ვლაპარაკობდი. ორი საეკლესიო მსახური მოგვიახლოვდა და როცა გაიგეს, რომ საქართველოდან ვიყავით, გახარებულებმა გვითხრეს:

– ბედნიერი ქვეყნის შვილები ხართ. არსებობს წმიდა წიგნი, სადაც სწერია, რომ კავკასიის მთებში მყოფმა პატარა, ქრისტიანულმა, მართლმადიდებლურმა ქვეყანამ თავისი თავიც უნდა გადაიჩინოს და დანარჩენი მთელი კაცობრიობაც უნდა იხსნას! კავკასიაში საქართველოს გარდა სხვა ასეთი ქვეყანა არ არსებობს. საქართველო ყველაზე მეტად შეინახავს ქრისტიანულ რწმენას, ზნეობას და აუცილებლად გაბრწყინდება! **მანამდე კი თქვენ უდიდესი განსაცდელი და უბედურება დაგატყდებათ თავს და ორი მესამედი დაილუპება...**

ჩვენ შეშინებულებმა ვიკითხეთ:

– ომი იქნება?!...

მათ გვითხრეს:

– **ომში სიკვდილს არ ვგულისხმობთ, რადგან უფლისთვის მხოლოდ ის კვდება, ვინც სულიერად დაილუპება და გენაში მოხვდება!**

იმ დროინდელი რელიგიური გაუნათლებლობის გამო ბევრს ვერ მივხვდით, მაგრამ დასახელებული რიცხვის სიდიდემ, მაინც ძალიან შეგვაშინა. მათ კი გვითხრეს:

– ერთი მესამედი გადარჩებით და ეს ძალიან ბევრია, რადგან სოლომისა და გომორის დასალუპად რომ მოვიდა უფალი, იქ ერთი მართალი კაციც ვერ ჰპოვა... საქართველოში კი ერთ

მესამედს შეინყალებს ღმერთი! მოვა დრო და თითქმის მთელი მსოფლიო აღსდგება თქვენი ქვეყნის დასაღუპავად, **მაგრამ ერთი მესამედი ამ შემოტევას გაუძლებს და სხვებსაც იხსნის სულის დაღუპვისგან! იმ დროს ჩვენ საქართველოში ჩამოვალთ, რადგან გადარჩენაც იმ მიწაზე იქნება!..**

მათ კიდევ ბევრი რამ გვითხრეს, მაგრამ ჩვენ იქიდან ვერც ვერაფერი გავიგეთ და დავიმახსოვრეთ...“.

როგორც სჩანს ეს კლიპიც შემთხვევით“ არ აღმოჩნდა ჩემი ფეისის გვერდზე... მისი მოსმენის შემდეგ მამა გიორგის ნათქვამი გამახსენდა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე და ახლა კვლავ მსურს კიდევ ერთხელ გავიხსენო და თან დავაკონკრეტო მამა გიორგის მიერ ჩემთვის გამხელილი ამბები:

მან როცა ეფუთი მიჩვენა, მასზე ხელი შემახებინა და მითხრა:

– „...აჰა, მოკიდე ხელი, ჩაიხედე შიგნით! ამ წიგნსაა რომ ამდენი ხანია ეძებენ! ამის გულისთვის მოსაკლავდაც გამიმეტეს, მაგრამ ვერ იპოვეს! რომც იპოვონ, მაინც ვერ მიხვდებიან რომ ეფუთია და ვერც წაიკითხავენ! ეს წიგნი ამათ არ „გაეხსნებათ“! სტალინმა ბაბუაჩემს შემოუთვალა, რომ ეს წიგნი მისთვის ერუქებინა, მაგრამ ბაბუაჩემმა უარი შეუთვალა და არც გაუგზავნა! ბაბუამ იგი მე გადმომცა! აქ ყველაფერი სწორია, რაც იქნება და მოხდება...“ „... საჭიროა რუსებთან ისევ ურთიერთობის აღდგენა... ჩვენ ვიცით მათი ენა... ორი ქრისტიანული ქვეყანა გვებრძვის: ერთი ამერიკა, მეორე რუსეთი... მაგრამ ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებენ, – ერთმანეთს კი ჩაყლაპავენ... საქართველო მსოფლიოს გადამრჩენია... ჩვენ მსოფლიოს სულიერი მისია ვართ...“ „... მე, ერთ ბიჭს 7 წლიდან ვზრდი. ახლა ცხრა წლისაა... იგი იქნება საქართველოს მომავალი პატრიარქი. აი, იმას გადავცემ სამემკვიდრეოდ...“ „... კიდევ ერთ რამეს გაგიძხელ ბაბუ, ხუთი ნამდვილია საქართველოში და ხუთიც მსოფლიოში... უწმიდესი ილია II, მამა გიორგი (ბასილაძე), ცხინვალის ეპისკოპოსი ისაია, ერთიც ერის ქალია, რომელსაც ჯვრის ტარების უფლება აქვს...“

ასევე მითხრა:

„...ნამდვილია რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

მეოთხე საფეხურის მასონია ეღუარდ შევარდნაძე.

მიშა სააკაშვილიც მასონია.

მამა იოანე ციგანია... და თან გულიანად გაიცინა. მერე სერიოზული სახით მითხრა:

– იოანე მსოფლიო დონის პიროვნებაა! შემთხვევითი როდია, რომ ღმერთმა სწორედ საქართველოში ჩამოიყვანა იგი. ქართველებს ევალებათ მისი პატივისცემა და დაფასება. უნდა დაინეროს მასზე, რომ გაიგონ რუსებმა ვინ ჰყავთ...”

ჩემთან სტუმრად რომ იყო სამი წლის წინ მამა იოანემაც ხომ მკითხა:

– Анастасиушка, ты обо мне тоже напишеш книгу?..

ჰოდა ახლა ეს წიგნი ხომ იმის დასტურია, რომ მამა გიორგმაც და მამა იოანემაც წინასწარ მითხრეს, რომ მე მომიწევდა მათზე მოგონებების დაწერა?!.. და რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ახლა გავისიგრძეგანე, რომ:

მამა გიორგიმ უდიდესი გმირობა გამოიჩინა, ანასტასიას გამოცემას ღიად რომ აუნთო მწვანე თავისი ლოცვა-კურთხევით, რითიც ზუსტადაც, რომ ეკლესიაში მოკალათებული ბნელი ძალების ხრიკებს ამ წიგნის აღიარებით და გამოცემაში ხელის შეწყობით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და მასთან მისულ მრევლსაც უთხრა: „– ეს ძალიან მაგარი წიგნებია, აიღეთ ყველამ, თქვენთვის იქნება კარგი... ღმერთი მაინც იზამს ყველაფერს, მაგრამ ამ წიგნის წაკითხვით უფრო მეტნი შეემზადებით და თავსაც გადაირჩენთ...”

მამა იოანემაც „ანასტასიუშკა“ მიწოდა... ამასწინათ კი საკუთარი ქუდი თავზე დამახურა, შენი ზომააო მითხრა და ეკლესიაში ატარეო...

განა საკმარისი მინიშნებები არ არის?!..

ჩვენ რატომღაც გვგონია ღმერთს მხოლოდ სიტყვიერად უნდა მივავაოთ დიდება და ვთხოვოთ შეწევნა, არადა ჩემო საყვარელო თანამემამულენო რწმენა ხომ ცხოვრების ნირია, ღმერთთან ერთად თანაშემოქმედებითობაა!

ღმერთისადმი თხოვნით წარმოთქმული სიტყვა, რომელსაც

ჩვენივე საკუთარი ძალისხმევა არ ერთვის, განა ხმად მლაღადებლის უდაბნოსა შინად არ რჩება?!

დიახ, – „სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არს...“

არადა, ჩვენ უფალმა მარადიული სიცოცხლისთვის და ბედნიერებისთვის შეგვქმნა!!!

ნაიკითხეთ განდევილ ანასტასიას წიგნები, რომელმაც თქვენთვის დაანერინა ვლადიმირ მეგრეს და რომელიც მე თქვენთვის ვთარგმნე, რათა დაუბრუნდეთ წინაპრების მიერ ათასწლეულობით დახვეწილ და დღემდე ჩვენთვის შემონახულ ტრადიციებს, განმტკიცდეთ ნამდვილ მართლმადიდებლურ რწმენაში, რომლის სწორი აღქმა იაკობ ვეკუასა და არიადნა ჩაგუნავას მეშვეობით წიგნების სახით დაგიტოვათ ჩვენმა დიდებულმა ბერმა და დიდმა მამულიშვილმა მამა გიორგიმ, რომელმაც გვითხრა, რომ „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“ და ასეთი დიდებული ლოცვით დაგვლოცა სრულიად ქართველობა: – „დაგლოცოთ ღმერთმა თქვენ და ყველა ქართველი! და აგიხილოთ თვალები დედა ღმრთის მშობელმა! და სინმიდის გზაზე შეგწეოდეთ ყველა წმიდანი!“ ამინ!

მე კი, ასე გეტყოდით ჩემო თანამემამულენო: – დიდება და მადლობა უფალს, რომელიც უპირობოდ და მარადჟამს მზად არის შეგვეწიოს ერთმანეთისთვის გულწრფელი სიყვარულით მსურველ თანაშემომქმედებს თანაშემოქმედებაში!

P.S.

იგნი უკვე გამომცემლობა „დანის“ მფლობელ დათო დოლუაშვილისთვის მქონდა დასაკაბადონებლად და დასაქმებლად გადაცემული, რომ ზაზამ გახარებულმა დამირეკა შამგონადან:

- ციური გამარჯობა შენი!
- გამარჯობა ზაზა! როგორ ხარ? რა ხდება შენსკენ?...
- ციური! აბა გამოიცანი ვინ არის ჩემთან?!
- ვინ?...
- მამა იოანე მესტუმრა!

- რას ამბობ ზაზა?! რა ბედნიერებაა!.. გახსოვს, მე რომ მოგიყევი, მამა გაბრიელის აღმოყვანების წინა დღეს მამა იოანეს შევხვდი და როცა ვკითხე: – Отец Иоанн, наверное помните меня? — (მამა იოანე, ალბათ გახსოვართ?)

- Не помню... Со сколькими встречаюсь, всех не запомнишь... (არ მახსოვხარ... იმდენს ვხვდები, რომ ყველას ვერ დაიმახსოვრებ...)

მაგრამ როცა ვკითხე ზაზაც არ გახსოვთ-მეთქი, მაშინვე მიპასუხა:

- Как не помню... Он ещё не женился?... Как его пчёлы?!... (როგორ არ მახსოვს... იგი კვლავ არ დაქორწინებულა?... ფუტკრები როგორ ჰყავს?!...)

- Ну вот, если так хорошо помните, когда придёте в западной Грузии, обязательно зайдите к нему, Он обрадуется! (მაშ, თუ ასე კარგად გახსოვთ, როცა დასავლეთ საქართველოში ჩახვალთ, აუცილებლად შეიარეთ მასთან, ძალიან გაეხარდება!)
- ღიმილით მივუგე მე.

- Зайду конечно! (რასაკვირველია, შევუვლი!)

- ჰოდა, აი მოსულა კიდევ! აბა შენ იცი ზაზა, მისი სტუმრობა შემთხვევითი არ გეგონოს. ყურადღებით იყავი და დაიმახსოვრე რასაც გეტყვის და რასაც მოიმოქმედებს...

- ვიცი, ციური. - ზაზამ ეს მითხრა თუ არა მამა იოანეს მიმართა:

– Вот, Циური у телефона, помните Её? Вы с ней в Тбилиси встречались... (აი, ციურია ტელეფონთან, გახსოვთ იგი? თქვენ მას თბილისში შეხვდით...)

– Не помню... Со сколькими встречаюсь, всех не запомнишь... (არ მახსოვს... იმდენს ვხვდები, რომ ყველას ვერ დაიმახსოვრებ...) – ეს კი უთხრა, მაგრამ ზაზას ყურმილი მაინც გამოართვა და შემომეხმინა:

– ალო?!..

– Отец Иоанн, здравствуйте! Как поживаете? Как хорошо, что Вы там! (მამა იოანე, გამარჯობათ! როგორ ბრძანდებით? რა კარგია, რომ თქვენ მანდ ხართ!)

– Здравствуй, Анастасиюшка!... Как Ты? (გამარჯობა ანასტასიუშკა!.. როგორ ხარ?)

– Хорошо! Как иначе!... Вы же Мне Вашу шапку подарили?!... Знаете, Отец Иоанн, как Вы тогда сказали, Я уже написала книгу про Отца Георгия и про Вас!... (კარგად! სხვაგვარად როგორ შეიძლება!... თქვენ ხომ თქვენი ქუდი მაჩუქეთ?!... იცით, მამა იოანე, როგორც თქვენ მაშინ მითხარი, მე უკვე დავწერე ნიგნი მამა გიორგიზე და თქვენზე!..)

მამა იოანემ ხუმრობით გამომაჯავრა:

– Написала!... Написала!... Раз Ты написала про Нас, то и Я тоже напишу про Тебя! (დავწერე!... დავწერე!... რადგან შენ ჩვენზე დანერე, მაშინ მეც დავწერ შენზე!)

– Что Вы... Смеётесь?... Обо Мне что писать?... (რას ამბობთ... დამცინით?... ჩემზე რაა დასანერი?...)

– Хо... Хо... Хо... Что Вы... Что Вы... – (ჰა... ჰა... ჰა... რას ამბობთ... რას ამბობთ... – სიცილით გამომაჯავრა და მერე ყურმილში ჩამძახა:

– Настенька, встретимся!... (ნასტენკა, შეხვდებით!...) – და ზაზას გადასცა ყურმილი.

მეორე დღეს ზაზამ დამირეკა და მომიყვა მასთან მამა იოანეს სტუმრობის ამბავი:

– ციური, საფუტკრეში ვმუშაობდი, როდესაც დედაჩემმა დამიძახა: მეზობელი ნაზი სორდია მოვიდა და გვეუბნება, რომ მის შვილს სურს შენთან საუბარი.

შევედი სახლში და თავად გადავურეკე დათოს. მან მაცნობა, რომ მამა იოანე ზუგდიდშია ჩამოსულიო. სულ შენზე გვესაუბრება... ახლა შენთან სოფელში ჩამოდის და დახვედით.

საუბარი არ მქონდა დასრულებული, რომ ფანჯრიდან დავინახე ეზოზე მომდგარი მანქანა, რომელშიც მამა იოანე იჯდა...

მაშინვე გავედი ჭიშკართან მისაგებებლად. მამა იოანეც თავისი ცნობილი ნთელი ღიმილით გადმოვიდა მანქანიდან, გადამეხვია და გადამკოცნა... მას თან ოთხი ადამიანი ახლდა. ორი ახალგაზრდა ყმანვილი და ორიც მანდილოსანი. ბიჭები რომლებიც გამეცნენ ირაკლი სულაქველიძე და გაგა ლიპარიშვილი ქუთაისიდან იყვნენ, ხოლო მანდილოსნები წალენჯიხიდან. ისე შევედით სახლში, რომ მამა იოანეს ჩემთვის ხელი არ გაუშვია.

– Отец Иоанн, со пчёлами возился, одежда пыльная... На минутку, переоденусь и приду... (მამა იოანე, ფუტკრებთან ვმუშაობდი და ტანსაცმელი დამტვერილი მაქვს... ერთი წუთით, გამოვიცვლი და მოვალ...)

– Не нужно переодеваться, Твоя одежда чистая! (საჭირო არ არის გამოცვლა, შენი ტანსაცმელი სუფთაა! – მითხრა, ტახტზე ძალით დამსვა და თავადაც გვერდით მომიჯდა.

ხელს არ მიშვებდა, სულ პატარა ბავშვივით მეფერებოდა, მკოცნიდა და გამუდმებით მიმეორებდა „მომენატრე, მომენატრეო“... ამის შემხედვარეს, ბიჭებმაც დამიდასტურეს:

– ე.ი. ეს ზაზა შენ ხარ?! მამა იოანე სულ შენზე გვესაუბრებოდა, როგორ კარგად უვლი ფუტკრებს და რა ლამაზად ცხოვრობ სოფელში.

– Отец Иоанн, как так запомнили Меня, что так соскучились обо Мне? (მამა იოანე, ასე როგორ დამიმახსოვრეთ, რომ მოგნატრებივართ კიდევ?) – ცოტა დარცხვენილმა ვკითხე...

– Я всё время помнил Тебя и молился... Как мог забыть,

ведь Я так любил Тебя! Я же здесь хорошее время провёл вместе с Лашой, Зазуля!... Я этим парням всё время рассказывал, как Ты хорошо обходишься с пчёлами и как красиво живёшь в деревне... Помнишь, Я Тебя не Зазой, а «заразой» называл? (მე სულ მახსოვდი შენ და ვლოცულობდი შენზე... როგორ შემეძლო დამვიწყებოდი, მე ხომ ისე ძლიერ შემიყვარდი! მე ხომ აქ შესანიშნავი დრო გავატარე ლამასთან ერთად, ზაზულა!... მე ამ ბიჭებს სულ ვუყვებოდი, როგორ შესანიშნავად უვლი ფუტკრებს და როგორ ლამაზად ცხოვრობ სოფლად... გახსოვს, მე შენ ზაზას კი არ გეძახდი, არამედ „ზარაზას“?) – და გაიცინა...

– Да, помню! Как могу забыть!... (დაახ, მახსოვს! როგორ დამავიწყდება!...) – და მეც გულიანად გავიცინე...

ცოტა ხნის მერე წამოდგა და მითხრა:

– Давай пойдём к Твоим пчёлам, и гостям тоже покажем, как Ты с ними возишься и за ними ухаживаешь... (მოდი ნავიდეთ შენს ფუტკრებთან, და სტუმრებსაც ვანახოთ როგორ უვლი და ზრუნავ მათზე...)

სახლის უკან თხილნარი მაქვს გაშენებული, მის გვერდით პატარა ტყე და ტყის შემდეგ კი სიმინდის ყანა ბიბინებს.... თხილნარის ჩრდილში ფუტკრის ორას ოჯახამდე სკა მიყენია. სტუმრებმა აღფრთოვანება ვერ დამალეს:

– ამდენ ფუტკრებს როგორ უვლი?! – მკითხეს გაკვირვებულემა

– ჩემი თანასოფლელი ბიჭები მეხმარებიან, თორემ მართო მე რას გავხდები მეთქი – ვუთხარი – რამოდენიმე სული ძროხა მყავს, ხბოები, ღორი და ქათმები... ვცხოვრობ ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს სოფელში ადამიანი თავისი აქტიური ცხოვრებით... მართლაც, რომ ლამაზი სანახავია გაზაფხულზე აქაურობა, აყვავებული და გამწვანებული. მილიონობით ცაში აჭრილი ფუტკრების ბზუილით გამონვეული ბგერათა ვიბრაციები სიცოცხლის ენერგიით გავსებს და ხალისს გმატებს ადამიანს. – მოვუყევი ბიჭებს

მამა იოანემ ეზოში სეირნობა დაიწყო. მამლის ყვილზე ისიც ყვილით „პასუხობდა“... ტოტებზე შემომსხდარი ჩიტების ჭიკ-ჭკს სტვენით „ეხმაურებოდა“...

შევატყვე, რომ ფრინველებთან და ცხოველებთან ურთიერთობა ეხალისებოდა და რომ მისთვის ხელი არ შემეშალა, სტუმრებთან ანასტასიას წიგნებზე დავინყე საუბარი. ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე ვუყვებოდი და ვუხსნიდი მათ რალაც-რალაცებს სამყაროზე, ბუნებაზე, ფრინველების, ცხოველების, მცენარეების დანიშნულებაზე, თუ როგორ ვართ ჩვენ, ადამიანები და ისინი ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი, ერთმანეთზე დამოკიდებულნი, და მიუხედავად ამისა როგორ დაუდევრად ვექცევით სამყაროს და ვანადგურებთ მას ჩვენივე ხელით, და რომ ეს ჩვენი დაუდევრობა, რომელსაც გარემოს, ბუნების მიმართ ვავლენთ, ბუმერანგით ნეგატივად გვიბრუნდება უკან...

რომ ამ ყველაფრის შესახებ დანვრილებით სწერია წიგნ „ანასტასიაში“ და რაც მთავარია, ის სწერია, თუ ადამიანმა როგორ შეიძლება დაიბრუნოს ბუნებასთან კვლავ ჰარმონიული ურთიერთობა და ბედნიერი ცხოვრება აიწყოს ყოველგვარი ზედმეტი ხარჯებისა და რაც მთავარია, საერო თუ საეკლესიო „პატრონების“ გარეშე! ზუსტად ამისი განხორციელების გზისკენ მიგვითითებს ანასტასია და პრაქტიკული ქმედებისა და თანაქმნადობის მექანიზმს გვიშიფრავს კიდევ იგი...

ამასობაში, დედამ განყობილ სუფრასთან მიგვიწვია. ჩვენც სახლში შევედით და სუფრას მივუსხედით.

მამა იოანემ ჯერ სუფრა აკურთხა... მერე იგალობა და რადგან უკვე ცოტათი ნასვამიც იყო, ამიტომ თავისი თამადობით სულ რალაც 4-5 ჭიქა ღვინო დაგვალევინა...

მამა იოანე რუსულად საუბრობდა, ჩვენ კი ქართულად ვსაუბრობდით და თან არავინ უთარგმნიდა მას ჩვენს საუბარს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მისმა შემდგომმა საქციელმა გამაკვირვა...

მაგიდასთან კვლავ გავაგრძელეთ ბუნებაზე საუბარი, თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს ფრინველები, ცხოველები, მწერებიც კი.... ამ დროს მამაო ატირდა და თან მითხრა:

– Прости, Заза, что Тебя тогда «заразой» называл! (მაპატიე, ზაზა, მაშინ „ზარაზას“ რომ გეძახდი! – ღიმილით მითხრა და დაამატა: – С сегодняшнего дня буду называть «бриллиантовой заразой!» (დღეიდან „ბრილიანტის ზარაზას“ დაგიძახებ!) – და გულთანად გაიცინა.

– Не обижаюсь Батюшка, что Вы так Меня звали, и сейчас не обижаюсь. (არც მწყენია ბატიუშკა ასე რომ მეძახდი და არც ახლა მწყენს) – ვუპასუხე და მეც გავიცინე.

– Зато Ты Любовь будешь сеять потому, что так любишь животных и птиц!.. (სამაგიეროდ შენ, სიყვარულს თესავდე იქნება, რადგან ასე გიყვარს ფრინველები და ცხოველები!..) – მომიგო მან.

ბიჭები ანასტასიას წიგნებით ძალიან დაინტერესდნენ და იკითხეს სად შეიძლება მათი შეძენა. მე ვუთხარი, რომ სახლში მქონდა ეს წიგნები და მათ ვაჩუქებდი.

წიგნები როცა გამოვუტანე, ბიჭებმა ფასი მკითხეს.

– კაცო, ამ წიგნებს მე გჩუქნით და თქვენ ფასი რაში გაინტერესებთ. მაინც არ გეტყვით და... – ღიმილით ვუპასუხე და დავამატე.

– თქვენ ვერ წარმოიდგენთ რამხელა სურპრიზი გელით წინ. ეს წიგნი უკვდავების წყაროსავითაა, გრაალივით... ასეთი წიგნი დედამინაზე არ არსებობს, მასში ძალზედ დიდი ინფორმაცია ძევს და რაც მთავარია – პრაქტიკულად თანაქმნადობის სრული პროგრამაა გადმოცემული...

ამ დროს მამა იოანემ ჯიბიდან ამოიღო ორმოცდაათმანეთიანი და სრულიად სერიოზულად სთქვა:

– Нельзя! Без оплаты не возьмём этих книг! Эту Книгу обязательно нужно приобрести! (არ შეიძლება! შეძენის გარეშე არ წავიღებთ ამ წიგნებს! ეს წიგნი აუცილებლად შეძენილ უნდა იქნას!)

– Что Вы делаете, Отец Иоанн! Вы же стыдите Меня?! Я дарю, а Вы Мне деньги платите?!.. (რას შვებით მამა იოანე, მარცხვენო? მე გჩუქნით და თქვენ კიდევ ფულს იხდით?!..)

– Стыдно, когда ночью дают... При белом Свете когда дают, не стыдно! (სასირცხვოა, როცა ღამით გაძლევენ... ნათელში მოცემა სასირცხვო არ არის!) – ასე მომიგო მამა იოანემ და ფული მაგიდაზე დადო.


მე ბიჭებს გაეხედე, თვალებით შევეკითხე როგორ მოვქცეულავი. მათ კი ხმამაღლა მიპასუხეს:

– რაკი მამა იოანე გაძლევს, ესე იგი ასეა საჭირო და აიღე ფული!

– ციური. როცა სტუმრები წავიდნენ და ჩემთვის ვიხსენებდი მამა იოანეს ქმედებებს, იცი რა გამიკვირდა?... ჯერ ასე სთქვა, რომ არ ახსოვხარ... შენთან სალაპარაკოდ ყურმილი რომ გადავეცი, მაშინვე ანასტასიუშკა დაგიძახა... მერე წიგნების ფასი არც მითქვამს, თანაც ქართულად ვსაუბრობდით ბიჭებთან, მას კი არავინ უთარგმნიდა... იგი საიდან უნდა მიმხვდარიყო, რომ ორივე ტომი ორმოცდაათი ლარი ღირდა?!...

– ჩემო ზაზა, წმიდანებმა ყველაფერი იციან... მამა იოანეც წმიდანია და თანაც სალოსი... სალოსები კი უმეტეს წილად „რებუსებით“ საუბრობენ...


გაბრძელება იქნება...













ციური გარუჩავა

გზა ცოცხალი წმიდანებისა...



ჰუბლონი მოდოკანი-მოდოკანი, მამა გოლოგი ბანტადის
ღვრამინი (1933-2013 წწ.) მოკლინიდანა და მოკლინიდან!


აქლინი

ჰუბლონი მოდოკანი-მოდოკანი, მამა გოლოგი ბანტადის ღვრამინი
(1933-2013 წწ.) მოკლინიდანა და მოკლინიდან!

აქლინი

ჰუბლონი მოდოკანი-მოდოკანი, მამა გოლოგი ბანტადის
ღვრამინი (1933-2013 წწ.) მოკლინიდანა და მოკლინიდან!

აქლინი



ISBN 978-9941-0-6899-7



9 789941 068997